ყოველთვიური ბეჭდვითი, „ვერსიის“ ერთი

ვერსია

№25 (781) 6 - 7 მარტი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

20 გვერდი 40 თეთრი

სოსო მანჯავიძე მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად კენჭს ნაძალადევში იყრის

გვ. 5

ექსკლუზიური ინტერვიუ საქართველოს თავდაცვის მინისტრთან

ირაკლი ალასანია: „კრიმინალზე ყველამ პასუხი უნდა აგოს, მაგრამ არა სამოხელეო გადაცდომებზე, რითაც თითქმის მთელი სახელმწიფო აპარატი იყო დაკავებული!“

გვ. 3

გამოხმაურება „ვერსიის“ პუბლიკაციაზე

„ვერსიაში“ გასული ინტერვიუს შემდეგ ირაკლი წერეთელი საქართველოს კონტრტერორისტულ ცენტრში დაკითხეს

გვ. 2

„14 აპრილს ხალხი ხელისუფლებას ეტყვის, ესაა ჩემი ნება და თუ ამას არ შეასრულებ, შემდეგ არჩევნებზე არ იქნები არჩეულიო!“

როგორ აპირებს რეჟიმის გასამართლებას ნანა კაკაბაძე და ვინ უერთდება 14 აპრილს დაგეგმილ საპროტესტო აქციას

გვ. 4

გიორგი ისაკაძე სამთვიან დუმილს არღვევს

გვ. 7

რა სარჩელს ამზადებენ ბიზნესმენის უცხოელი ადვოკატები, რატომ აბრალებენ „ქართუს“ გაკოტრების სქემაში მონაწილეობას, რატომ უნდა უჩივლოს თბილისის მერიას და რა ექსკლუზიურ დეტალებს უმხელს „ვერსიას“

საქართველოს „მაკდონალდსი“ ევროპის მასშტაბით საუკეთესოა

ბავშვების ჯანსაღი რაციონი „მაკდონალდსში“

გვ. 12

სოსო თოფურიძის პირადი პატიმარი სამართლის აღსრულებას ითხოვს!

გვ. 10

როგორ აიძულეს კუდ-ის მაღალჩინოსნებმა მიწების უკანონო რეგისტრაცია და როგორ იშოვა სოსო თოფურიძემ 2 000 000 დოლარი?

გიორგი სუხიტაშვილის სკანდალური ინტერვიუ

„თუ ვინმეს აქვს ერთი ადგილი, მოვიდეს და მითხრას, რომ მე ფული ვთხოვე ან მაშინდელმა ხელისუფლებამ თანხა ჩამირიცხა!“

გვ. 9

ნარკომომხმარებელთა გამოკითხვის სკანდალური შედეგები

ჰეროინი და სუბუტექსი „კრავადილმა“ ჩაანაცვლა, გამოკითხულთა 48% ნარკოტიკს კვირაში რამდენჯერმე მოიხმარს!

გვ. 11

გამოხმაურება „ვერსიის“ პუბლიკაციაზე

„ვერსიაში“ გასული ინტერვიუს შემდეგ ირაკლი წერეთელი საქართველოს კონტრტერორისტულ ცენტრში დაკითხეს

რუსუდან შელია
557-100-768

„ვერსიის“ №23 (779) ირაკლი წერეთლის სკანდალური ინტერვიუ დაიბეჭდა, სადაც ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი პრეზიდენტის წინააღმდეგ დაგეგმილ ტერაქტზე საუბრობს და აცხადებს:

„მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ რუსეთის სპეცსამსახურების დავალებით, კრიმინალური ელემენტები ტერაქტს ამზადებენ. ოპერაციას სახელწოდებაც აქვს — „გველგესლა“, რომლის განხორციელებაც 26 მაისამდე იგეგმება“.

მისივე განცხადებით, ამის შესახებ ორი ძველი მეგობრისგან შეიტყო, რომლებიც საქართველოში არ იმყოფებიან და ერთ-ერთი მათგანი მასთან შესახვედრად სპეციალურად ჩამოვიდა. ირაკლი წერეთელი იმასაც ამტკიცებს, რომ ტერაქტის მიზანი ქვეყნისთვის საერთაშორისო ასპარეზზე ავტორიტეტის შელახვა, ანტიდასავლურ-ანტიდემოკრატიული არეულობის შექმნა და ბიძინა ივანიშვილთან კონფრონტაციაა.

„სააკაშვილსაც და ივანიშვილსაც მოვუწოდებ, ფრთხილად იყვნენ და სანამ ქვეყანაში სამოქალაქო თუ საჯარო ინსტიტუტები არ გაძლიერდება, რადიკალური განცხადებებისგან თავი შეიკავონ.

ხუთ თვეში სააკაშვილი პოლიტიკიდან ისედაც მიდის. არ მესმის, რა საჭიროა ერთმანეთთან ურთიერთობის დაძაბვა?! ივანიშვილს, როგორც ხალხის მიერ არჩეულ პოლიტიკურ ძალას, რეალური საფუძველი კი აქვს, რომ სააკაშვილის მიმართ კრიტიკულად იყოს განწყობილი, მაგრამ დაპირისპირება ანტაგონიზმსა და დესტრუქციულ პოლიტიკაში არ უნდა გადაიზარდოს. მხოლოდ რუსეთს აწყობს საქართველოში მართული ქაოსი და არა საერთო ეროვნულ-კონსტრუქციული ჩარჩოებში მოქცეული პოლიტიკური ცხოვრება. ასე რომ, გადაჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვი, რომ რუსეთი საქართველოში მიმდინარე პროცესების სათავისოდ გამოყენებას შეეცდება“, — აცხადებდა ირაკლი წერეთელი „ვერსიასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში.

აღნიშნული ინტერვიუს დაბეჭდვიდან მეორე დღეს, ირაკლი წერეთელი შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ საქართველოს კონტრტერორისტულ ცენტრში დაიბარეს, სადაც პრეზიდენტის წინააღმდეგ დაგეგმილ ტერაქტთან დაკავშირებით, დეტალურად დაკითხეს.

„ვერსია“ ორსაათიანი დაკითხვის დეტალების გასარკვევად **ირაკლი წერეთელს** დაუკავშირდა:

— „ვერსიაში“ ჩემი ინტერვიუს დაბეჭდვის შემდეგ, საქართველოს კონტრტერორისტულ ცენტრში დამიბარეს, სადაც, დაახლოებით, ორი საათის განმავლობაში მეკითხებოდნენ, იყო თუ არა გაზეთისთვის ჩემ მიერ მიწოდებული ინფორმაცია გაზვიადებული ან დაბეჭდა თუ არა ჟურნალისტმა ჩემი ინტერვიუ არასწორად. ვუთხარი, რომ ჩემმა მეგობრებმა სიტყვასიტყვით ის ინფორმაცია მომაწოდეს, რაც „ვერსიის“ ამ ნომერში დაიბეჭდა. ამასთან, მეკითხებოდნენ, რა გარემოებაში მივიღე ინფორმაცია და ა.შ. შეადგინეს შესაბამისი ოქმიც. ეს არ იყო დაკითხვა, უბრალოდ, მოქალაქის სტატუსით, ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციის შესახებ გამომკითხეს.

ექსკლუზიური

სააკაშვილის წინააღმდეგ ოპერაცია „გველგესლა“ იგეგმება!

რუსუდან შელია
557-100-768

„წაიღოს დაცვა, მე ჩემი ხალხისგან დაცვა არ მჭირდება“, — ასე გამოეხმაურა პრეზიდენტი სახელმწიფო დაცვის სამსახურში განხორციელებულ ცვლილებებს და 27 თებერვალს, პირველ ლედისთან ერთად, თბილისის საერთაშორისო აეროპორტში დემონსტრაციულად, „ნისანის“ მარკის ელექტრომობილით მივიდა... ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ირაკლი წერეთელი „ალრსიას“ სკანდალურ ინფორმაციას აწვდის იმის შესახებ, რომ „დაუცველ“ პრეზიდენტზე ტერაქტი ოგვგმება.

— ორი მეგობრისგან, რომლებიც ამჟამად საქართველოში არ ცხოვრობენ, საოქვი და ამაზრზენი ინფორმაცია მივიღე — მიხეილ სააკაშვილის წინააღმდეგ რუსეთის სპეცსამსახურების დავალებით, კრიმინალური ელემენტები ტერაქტს ამზადებენ. ოპერაციას სახელწოდებაც აქვს — „გველგესლა“, რომლის განხორციელებაც 26 მაისამდე იგეგმება. ერთ-ერთი წყარო, ჩემთან შესახვედრად საქართველოში სპეციალურად ჩამოვიდა.

— იქნებ ეს ინფორმაცია მხოლოდ „შემოგდებულია“. გაუგებარია, რისთვის სჭირდება რუსეთს სააკაშვილის ფიზიკური ლიკვიდაცია ახლა, როცა ახალი ხელისუფლება მასთან ურთიერთობის აღდგენას ცდილობს?

— არგამორიცხავ, ეს ინფორმაცია ბლეფიც იყოს, მაგრამ რადგანაც ის ჩემამდე მოვიდა, ვალდებული ვარ, განგაშის ზარს შემოვკრა. სიფრთხილეს თავი არ სტკივა... რაც შეეხება ტერაქტის მიზანს. პრეზიდენტის ფიზიკური ლიკვიდაცია ნებისმიერი სახელმწიფოისთვის თავისმომჭრელია. პირველი პრეზიდენტის სიკვდილი, რომელიც მიხეილ სააკაშვილისგან განსხვავებით, ლეგიტიმური პირველი პირიაო, საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი სორსტეული სახელმწიფოებით შვება. ქვეყნის საერთაშორისო ასპარეზზე ავტორიტეტის შელახვასთან ერთად, სააკაშვილის წინააღმდეგ გამართულ ფიზიკურ ტერაქტი, ანტიდასავლურ, ბიძინა ივანიშვილის კონფრონტაციის გამოწვევს. შესაძლოა, პრეზიდენტი საეჭვო ავადმყოფობით ბორტებიის შესახებ.

— თქვენი ნყარო გიმტკიცებთ, რომ პრეზიდენტი ივანიშვილიც ჩართულია?

— არა, ტერაქტი ბიძინა ივანიშვილის გეგმებში არ ჯდება. უბრალოდ, მიმანიშნა, რომ პრეზიდენტი ამის შესახებ ინფორმირებული უნდა იყოს, რადგან თუ რეალურად, ჩემი ინფორმაციაა დადასტურდება, პრორუსული და ანტიდასავლურ-ანტიდემოკრატიული არეულობის წინამე აღმოჩენებთან. ამიტომ სააკაშვილსაც და ივანიშვილსაც მოეწონდეს, ფრთხილად იყვნენ და სანამ ქვეყანაში სამოქალაქო თუ საჯარო ინსტიტუტებები არ გაძლიერდებიან, რადიკალური განცხადებებისგან თავი შეიკავონ.

ხუთ თვეში სააკაშვილი პოლიტიკიდან ისედაც მიდის. არ მესმის, რა საჭიროა ერთმანეთთან ურთიერთობის დაძაბვა?! ივანიშვილს, როგორც ხალხის მიერ არჩეულ პოლიტიკურ ძალას, რეალური საფუძველი კი აქვს, რომ სააკაშვილის მიმართ კრიტიკულად იყოს განწყობილი, მაგრამ დაპირისპირება ანტაგონიზმსა და დესტრუქციულ პოლიტიკაში არ უნდა გადაიზარდოს. მხოლოდ რუსეთს აწყობს საქართველოში მართული ქაოსი და არა საერთო ეროვნულ-კონსტრუქციული ჩარჩოებში მოქცეული პოლიტიკური ცხოვრება. ასე რომ, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვი, რომ რუსეთი საქართველოში მიმდინარე პროცესების სათავისოდ გამოყენებას შეეცდება.

— რუსეთი სააკაშვილის განეიტრალებით, ივანიშვილის ოზოლორებასაც ეგეგმავს?

— დიახ, თუ ჩვენ ეთანხმებიმენით, რომ რუსეთი საქართველოს მტერია, რატომ არ უნდა გამეგიზიარა ეული მოფლენების ამ სავარაუდო განვითარება?

ორივე მხარეს ეაფრიზილეგ, მოსალოდნელ ტერაქტთან დაკავშირებული ინფორმაცია მაქვს. მიხეილ სააკაშვილის სიცოცხლის ტერორისტული აქტით დასასრული კი, მინიმუმ, ქართული სახელმწიფოს საერთაშორისო კონფრონტაციას გამოწვევას, თანაც ტერაქტი აუცილებლად ბიძინა ივანიშვილს დაბრალდება. გავითვალისწინოთ ის ფაქტორიც, რომ მიხეილ სააკაშვილს ჯერ კიდევ ჰყავს თავისი მომხრეები შემორჩენილი, თანაც არა მეოთხა, ბიძინა ივანიშვილი ჯარს თავიდან ბოლომდე აკონტროლებდეს.

— ჯარიდან საფრთხე არსებობს? პრეზიდენტმა სახელმწიფო დაცვის სამსახურზე უარი გაიცხადა და თქვა, ეიცი, პუტინი რასაც გეგმავსო...

— მიხეილ სააკაშვილის მხრიდან ეს მხოლოდ უსასუხისმგებელი გადაწყვეტილება იყო. ტერაქტ-კერძო მონისაგან ზედეგებე ეგმორზეზეთან. პრეზიდენტმა საკუთარ ეკიადრონზეზე არ იზრუნოს, არა მეოთხა, მსგავსი პრეეეგდენტი მსოფლიოში არსებობდეს. მაშინ, კეთილი ინებონ და, სააკაშვილი „ბაკმოძრაობის“ წევრებმა დაიკვნან. ადამიანურად არ მინდა, პრეზიდენტმა სიცოცხლე ასე, ფატალურად დაიარეული.

— ფიქრობთ, ხელისუფლება მაქსიმალურად არ იზრუნებს ქვეყნის პირველი პირის უსაფრთხოებაზე?

— იცით, პრეეეეეეეული ნაბიჯი უკვე გადადგმულია. როგორც ეიცი, სახელმწიფო დაცვის სამსახურიდან პრეზიდენტს 350 ადამიანი დეეეეტაეეს და 7 მილიონიც გამოეყვეს. არ გამორიცხავ, რუსეთის სპეეცსამსახურებში ბიძინა ივანიშვილის ნინააღმდეგაც ამუშავებდნენ ეარეკეული ოპერაციებს.

— თქვენი ნყარო ბიძინა ივანიშვილის ნინააღმდეგ დაგეგმილ ფიზიკურ ლიკვიდაციაზეც ეანეეფილი ინფორმაციებს?

— ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებით, მსგავსი ინფორმაცია არ მაქვს, ეს უბრალოდ, ჩემი ეარაუდია და არავინს გამოერიცხავ. მართალია, ბიძინა ივანიშვილს დეოოეეეაციის პროცესში ბოლომდე არ ეეეფდნი, მაგრამ არ ეფიქრობ, რომ ის ბოლომდე „რუსის კაცია“. პუტინს საქართველოში პრეზიდენტზე ბეეეად ადეოლად მართვადი, მარონეტული ძალები ეყავს. მართალია, ხელისუფლებაში არ ეარ, მაგრამ ბევრ მოეეეედ პოლიტიკოსზე მეტი ეაერნი მაქვს. ამსმთან, გაგეენინინ პირები, რომლებსაც მნიშვნელოვან ინფორმაციებზე ხელი მიუწვდებათ, მეეფლობიან. მეტიც, პირადად, მე, შეიძლება ისეთი მინაარსის ინფორმაცია მქონდეს, რომელიც შესაბამაა საქართველოს სპეეცსამსახურებს არც კი გიეგადათ, ამიტომ ეეეეერტ ტერიტორიებს საკითხს სერიოზულად

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს გიორგი ბარათაშვილი სასამართლოში უჩივლებს!

საზოგადოებრივი მაუწყებლის ირგვლივ ვნებათაღელვა გრძელდება. როგორც საგანგებო ბრიფინგზე ტელევიზიის ყოფილმა გენერალურმა დირექტორმა აღნიშნა, სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებას, მისი თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ, სასამართლოში გაასაჩივრებს. ამჯერად, გიორგი ბარათაშვილის ინიციატივას „პირველი არხის“ თანამშრომლებიც თითქმის სრული შემადგენლობით შეუერთდნენ. **„ის, რაც დღეს საზოგადოებრივ მაუწყებელში ხდება, ტელევიზიის თითოეული თანამშრომლის პრობლემაა. მოგეხსენებათ, 28 დეკემბერს, სამეურვეო საბჭომ ნდობა გამომიცხადა და საზოგადოებრივი მაუწყებლის დირექტორად ექვსი წლის ვადით დამამტკიცა. საინტერესოა ისიც, რომ 4 თებერვალს, იმავე სამეურვეო საბჭომ ჩემ მიერ შემუშავებული რეორგანიზაციის გეგმა მოიწონა, თუმცა მალევე, 4 მარტს ვიგებ, რომ დაკავებული თანამდებობიდან გამათავისუფლეს. მიმაჩნია, რომ ეს, აბსოლუტურად, უკანონო გადაწყვეტილება იყო, ამიტომაც საბჭოს გადაწყვეტილებას სასამართლოში გავასაჩივრებ. ამასთან, საია-ს მივმართავ, საქმეში ადვოკატირება გამიწიოს, რათა სამართლიანობის აღდგენა ერთად ვცადოთ. აქვე, მინდა გითხრათ, რომ საზოგადოებრივ მაუწყებელში კარგი გუნდი მუშაობს, ამიტომ არ შეიძლება მათი ბედი მხოლოდ რამდენიმე ადამიანმა გადაწყვიტოს“,** — აღნიშნა გიორგი ბარათაშვილმა მედიის წარმომადგენლებთან შეხვედრისას.

ტელევიზიის ფოიეში გამართულ ბრიფინგზე, გენერალური დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების საკითხს, „მეორე არხის“ პროდიუსერი დოდო შონავაც გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ საზოგადოებრივ მაუწყებელში მიმდინარე პროცესები გიორგი ბარათაშვილსა და ხათუნა ბერძენიშვილს შორის არსებულ პიროვნულ დაპირისპირებას გასცდა და ტელევიზიის ინსტიტუციონალიზმს შეეხო. მისივე განცხადებით, აუცილებელია, პარლამენტმა სწრაფად განიხილოს ის ცვლილებებიც, რომელიც საზოგადოებრივი მაუწყებლობის შესახებ კანონში უახლოეს მომავალში უნდა დაფიქსირდეს: **„ყველამ უნდა გავიაზროთ, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი მხოლოდ ტელევიზია არ არის, ის მოქალაქეების ხელში არსებული მნიშვნელოვანი საინფორმაციო ბერკეტია. შესაბამისად, „პირველი არხი“ მხოლოდ საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით უნდა იმართებოდეს. ბოლო ორი თვის განმავლობაში მიმდინარე პროცესები თითქოს იმედისმომცემი იყო ჩვენთვის, რადგან ყველაფერი ეტაპობრივად ლაგდებოდა, თუმცა ეს პროცესი სამეურვეო საბჭომ სრულიად არაადეკვატური გადაწყვეტილების მიღებით დააგვირგვინა. ამ ეტაპზე, აუცილებელია საინიციატივო ჯგუფმა, რომელმაც პარლამენტში ბორდის პასუხისმგებლობის საკითხი დააყენა, იმ საინფორმაციო პოლიტიკაზეც იმსჯელოს, რომელიც თუნდაც ხათუნა ბერძენიშვილის პირობებში ტარდებოდა. მანამდე კი, ყველანი გიორგი ბარათაშვილს უნდა დავუდგეთ მხარში არა იმიტომ, რომ მას თანამდებობა შევუნარჩუნოთ, არამედ, მაუწყებელში მყარი ინსტიტუციონალიზმის ჩამოყალიბებას მივაღწიოთ“.**

პრესკონფერენციის დასრულების შემდეგ, საღამოს ექვს საათზე, საზოგადოებრივი მაუწყებლის თანამშრომლები სამეურვეო საბჭოს წევრებს შეხვდნენ, სადაც გენერალური დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების ანულირება მოითხოვეს. საათნახევრიანი განხილვის შემდეგ, ორივე მხარე შეთანხმდა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მსჯელობას 8 მარტს გააგრძელებენ. სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარემ ლევან გახელაძემ „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნა, რომ ტელევიზიის თანამშრომლების მოთხოვნას არ ეთანხმება, თუმცა ყველაფერი საბჭოს მორიგ სხდომაზე გადაწყდება: **„ტელევიზიის თანამშრომლებთან საკმაოდ დეტალურად განვიხილეთ გიორგი ბარათაშვილის გათავისუფლების საკითხი, თუმცა შეხვედრისას, საბჭოს ყველა წევრი არ იმყოფებოდა, ამიტომ მორიგი შეხვედრა 8 მარტს დაიგეგმა. მართალია, მეორე მხარე გადაწყვეტილების ანულირებას ითხოვს. პირადად მე, არ ვაპირებ, გადაწყვეტილება ორ დღეში შევცვალო, თუმცა ყველაფერი საბჭოს ერთობლივი შეთანხმებით გადაწყდება“.**

საზოგადოებრივ მაუწყებელში არსებული გაურკვევლობისა და დაპირისპირების პარალელურად, სამეურვეო საბჭომ გენერალური დირექტორის ვაკანტურ პოსტზე ღია კონკურსი გამოაცხადა, რომლის ორი კანდიდატიც უკვე ცნობილია: ალექსანდრე ლომოური და არჩილ ბუბუტეიშვილი. როგორც ვებგვერდზე განთავსებული CV-ს მიხედვით ირკვევა, პროფესიით ჟურნალისტი ალექსანდრე ლომოური წარსულში საინფორმაციო სააგენტოებში ეკონომიკის მიმომხილველად მუშაობდა, ბოლოს კი საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნების“ სოფლის მეურნეობის თემატური ჯგუფის წევრი იყო. მეორე კანდიდატი არჩილ ბუბუტეიშვილი კი რამდენიმე მედიასაშუალებაში, მათ შორის, საზოგადოებრივ მაუწყებელში ხმის რეჟისორად მუშაობდა. კანონის მიხედვით, სამეურვეო საბჭომ ახალი გენერალური დირექტორი 4 აპრილამდე უნდა დანიშნოს.

აღსანიშნავია, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის გარშემო განვითარებულ პროცესებს აშშ-ს ელჩი რიჩარდ ნორლანდიც გამოეხმაურა: **„საკითხის პრინციპულობიდან გამომდინარე, აშშ მხარს უჭერს პრესისა და მედიის თავისუფლებას. არსებულ სიტუაციასთან დაკავშირებით ჩვენ განსხვავებულ მოსაზრებებს ვისმენთ. შესაბამისად, ახლა რაიმე სახის დასკვნას ვერ გამოვიტანთ. ეს არის საკითხი, რომლის გადაწყვეტაც ქართველი ხალხის ინტერესებშიცაა“.**

რუსუდან შელია

ვერსიანიუსი

საფრანგეთის ელჩი: „კითხვაზე, იძლევა თუ არა იურიდიულ განათლებას, პასუხი არის დადებითი“

კითხვაზე, იძლევა თუ არა ENA იურიდიულ განათლებას, პასუხი არის დადებითი, — ამის შესახებ საფრანგეთის ელჩმა საქართველოში რენე სალენსმა განაცხადა. მისივე თქმით, საფრანგეთის სახელმწიფო მართვის სკოლა (ENA) 1945 წელს დაარსდა და იგი ორ წელიწადში ამზადებს კადრებს მაღალი სახელმწიფო თანამდებობებისთვის.

„ეს არის სკოლა, რომელშიც ისწავლა საფრანგეთის სამმა პრეზიდენტმა, შვიდმა პრემიერ-მინისტრმა და ძალიან ბევრმა მინისტრმა, მათ შორის სამმა იუსტიციის მინისტრმა. ამ სკოლის დამთავრების შემდეგ სტუდენტები წყვეტენ, რომელ ადმინისტრაციაში გააგრძელებენ მუშაობას. როდესაც მე ვამბობ ადმინისტრაციას, ეს შეიძლება ნიშნავდეს იმას, რომ მათ შესაძლებლობა აქვთ, იმუშაონ იურისტებად. თუ კითხვა არის დასმული ასე — იძლევა თუ არა იურიდიულ განათლებას, პასუხი არის დადებითი“, — განაცხადა სალენსმა.

იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის განათლებაზე „ინტერპრესნიუსთან“ კომენტარი საფრანგეთის საელჩოს პრესატაშემ, ქსავიერ როუარდმაც გააკეთა. მისი თქმით, საფრანგეთის სახელმწიფო მართვის სკოლის (ENA) დიპლომირებულ პირს აქვს იურიდიული განათლება. მისივე განმარტებით, ამის დამადასტურებელი საუკეთესო მაგალითი ის არის, რომ ENA-ს საუკეთესო კურსდამთავრებულები მუშაობენ საფრანგეთის სახელმწიფო საბჭოში, რომელიც ადმინისტრაციული მართლმსაჯულების უმაღლესი ორგანოა.

„ისინი მუშაობენ კონტროლის პალატაში, რომელიც სასამართლო ორგანოა, ასევე იმ ინსტიტუტებში, სადაც საჭიროა იურიდიული განათლება. თეა წულუკიანმა შეძლო მუშაობის დაწყება ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოში. ამიტომაც, ვადასტურებ, რომ, როგორც ENA-ს ყველა კურსდამთავრებულს, ქალბატონ თეა წულუკიანს აქვს იურიდიული განათლება“, — აღნიშნა ქსავიერ როუარდმა.

წულუკიანის განათლებასთან დაკავშირებით ბოლო პერიოდში ოპოზიციის მხრიდან გაკეთდა განცხადებები, რომ იუსტიციის მინისტრს არ აქვს იურიდიული განათლება და, შესაბამისად უფლება, იყოს იუსტიციის მინისტრი.

„ინტერპრესნიუსი“

ექსკლუზიური ინტერვიუ საქართველოს თავდაცვის მინისტრთან

ნინო კომახიძე
599-95-33-16

საქართველოს თავდაცვის მინისტრი ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისისა და დესტაბილიზაციის საფრთხეს ვერ ხედავს და დარწმუნებულია, რომ ახალ რეალობაში თანაარსებობას ყველანი ერთად ვისწავლით და ურთიერთობებიც დალაგდება. „ვერსიასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში ირაკლი ალასანია ვადამდელი არჩევნების დანიშვნასაც გამორიცხავს და თავდაცვის სამინისტროში მიმდინარე რეფორმებზეც საუბრობს.

— ბატონო ირაკლი, თუკი სააკაშვილი ვადაგასული პრეზიდენტია, რომელსაც რეალური ძალაუფლება აღარ გააჩნია, რაში სჭირდება თქვენს პოლიტიკურ ძალას მასთან შეხვედრა-კონსულტაციები და რევერანსები?

— მე, როგორც თავდაცვის მინისტრი, ვცდილობ, იშვიათად გავაკეთო კომენტარი პრეზიდენტის განცხადებებსა და ქმედებებზე. ჩვენ პატივს ვცემთ პრეზიდენტის ინსტიტუტს — სწორედ პრეზიდენტია შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი! თუმცა ბოლო პერიოდში, განსაკუთრებით, აზერბაიჯანში ვიზიტის შემდეგ, შეუძლებელია, მის განცხადებებს არ გამოვეხმაურო — სააკაშვილმა განგაშის ზარს შემოჰკრა და ანტისახელმწიფოებრივი განცხადებები გააკეთა, როცა ჯავახეთში სომხურ სეპარატიზმზე ისაუბრა. მერე საქართველო-აზერბაიჯანის გარშემო არსებულ საფრთხეებს შეეხო და არ გაუფრთხილდა ჩვენს ძველ და კარგ ურთიერთობას ამ ქვეყანასთან. მრჩება შთაბეჭდილება, რომ სააკაშვილისთვის სულ ერთია, რა მემკვიდრეობას დატოვებს მისი პოსტიდან წასვლის შემდეგ. უფრო სწორად, წასვლამდე რაც შეიძლება მეტის გაფუჭებას ეცდება. მიუხედავად იმისა, რომ მისი შეხვედრა პრემიერთან იყო მხოლოდ შეხვედრა შეხვედრისთვის, რა თქმა უნდა, მაინც კარგია, რომ დიალოგი შედგა.

— პრემიერის შეფასებას რატომ იმეორებთ, თქვენც ასე ფიქრობთ?

— შედეგის მიხედვით ვმსჯელობ, თან ამ შეხვედრას ის ესწრებოდა, იქ მეც რომ ვყოფილიყავი, ჩემი სიტყვებით მაშინ გეტყოდით.

> **ნებისმიერ შემთხვევაში, მაინც კარგია, რომ დიალოგის საშუალება არსებობს და, დარწმუნებული ვარ, უახლოესი პოლიტიკური ციკლის დასრულებამდე, ანუ 2013 წლის ოქტომბრამდე, პოლიტიკური დესტაბილიზაციის საფუძველი არ გვაქვს! მოკლედ, პრეზიდენტის განცხადებების მიუხედავად, არანაირი საფუძველი არ გვაქვს, პოლიტიკურ კრიზისზე ვისაუბროთ!**

— მაშინ, მით უმეტეს, გაუგებარია, რატომ ხვდება მას ამ მოტივით პრემიერი და რატომ ითხოვს სააკაშვილი სასამართლოს, მედიისა და ხალხის ზეწოლისგან გათავისუფლებას?

— შეხვედრის ეს დეკლარირებული მიზნები კიდევ ერთხელ მეტყველებს იმაზე, რომ ოპოზიციის ლიდერი სააკაშვილი აბსოლუტურად მოწყვეტილია რეალობას. ჩვენს ინტერესებში მართლა არ შედის იმ ყველაფრისთვის ხაზის გადასმა, რაც ბოლო 9 წლის მანძილზე გაკეთდა ქვეყანაში, მაგრამ სააკაშვილს პროცესი სწორედ აქეთ მიჰყავს. აბა, როგორ წარმოგიდგენიათ, საქართველოს მოსახლეობის 90%-მა როგორ მიიღო პრეზიდენტის პოზიცია, რომ მას დამოუკიდებელი სასამართლო და მედია სურს?! ეს უკვე ირონიაზე მეტია! როცა ოპოზიცია ასეთ განცხადებას აკეთებს, პირველ რიგში, საკუთარ თავს არ ეხმარება. აქ რჩება ერთადერთი გზა — საპარლამენტო უმრავლესობა, უმცირესობასთან ერთად, გაატარებს საკონსტიტუციო ცვლილების იმ ვარიანტს, რაც უმრავლესობამ მოამზადა, რათა სააკაშვილს არ ჰქონდეს ბერკეტი დესტაბილიზაციისთვის, ვერ დაითხოვოს მთავრობა და პარლამენტი ხალხის ნების გარეშე! ჩვენი მთავრობის ინტერესებში სულაც არ შედის ჩვენი პოლიტიკური ოპოზიციის დევნა — ეს გამორიცხულია!

— მაშინ მიეცით მათ პოლიტიკური ამნისტია!

— დიახ, აქ საუბარი სწორედ იმაზეა, რომ ყველა საქმეს, რომელიც უკვე აღძრულია, ან აღიძვრება, სახელმწიფო სხვა ხედვით უნდა მიუდგეს —

> **კრიმინალზე ყველამ პასუხი უნდა აგოს, მაგრამ არა სამოხელეო გადაცდომებზე, რითაც თითქმის მთელი სახელმწიფო აპარატი იყო დაკავებული! ჩვენი რეკომენდაციაა, გამოძიებამ ანგარიში გაუწიოს ახალ პოლიტიკურ რეალობას, რადგან საჯარო მოხელეების დიდი ნაწილი სწორედ ამ გადაცდომებით ინარჩუნებდა სამსახურს.**

— თქვენს ამომრჩეველს ეს არ მოეწონება, მით უმეტეს, ორ ძალას შორის მოლაპარაკება პოლიტამნისტიის მიზეზით ერთხელ უკვე ჩაიშალა...

— მე ეს ვიცი, მაგრამ ვაცხადებ, რომ საზოგადოება უნდა იყოს მომთმენი!

— მაგრამ ხალხი არ იქნება პროკურატურასავით მიმტევებელი!

— უნდა იყოს! ბოლო 9 წელი ხალხმა ბევრი ძალადობა გადაიტანა და სწორედ იმისთვის უნდა იყოს მომთმენი, რომ ჩვენმა ხელისუფლებამ ძველი შეცდომები თავიდან აიცილოს! ხომ შეიძლება, ჩვენთანაც აღმოჩნდეს ვინმე ძალაუფლების მოყვარული, ხიბლში ჩავარდნილი და ა.შ ვინც იგივე და უფრო მძიმე შეცდომებს დაუშვებს და იგივე მეთოდებით დაიწყებს ქვეყნის მართვას?! — ჰოდა, ეს რომ გამოირიცხოს, ამიტომაა მნიშვნელოვანი, მიმდინარე გამოძიების დასრულებას დაველოდოთ.

— უკვე არიან თქვენთან ხიბლში ჩავარდნილები?

— არაფერს ვაკონკრეტებ, გეტყვით იმას, რომ არ შეიძლება, საქართველოში ვინმე ლინჩის წესით გავასამართლოთ. რაც უნდა სამართლიანი იყოს მოთხოვნა, არ შეიძლება, ფიზიკური შეურაცხყოფა მივაყენოთ ოპოზიციონერ დეპუტატებს. ამიტომ მოვუწოდებ საზოგადოებას მოთმინებისკენ!

— სრულიად გაუგებარია, რატომ გვევაჭრებით საკონსტიტუციო ცვლილებების პაკეტით: ჯერ ერთმანეთს აშინებთ, მერე ერთმანეთს ხვდებით და ხალხი დაზაფრული რჩება — ამას რატომ აკეთებთ?

— გეთანხმებით, საზოგადოება მართლაც ელის, როდის დაიძინებს მშვიდად, როცა პოლიტიკური კრიზისის საფრთხე სრულად იქნება გადავლილი. სწორედ ამაზე ვმუშაობთ ახლა და ეს საკონსტიტუციო ცვლილებებიც, დაახლოებით, 10 დღეში გავა განსახილველად პარლამენტში. მანამდე, რასაც თქვენ პოლიტიკურ ვაჭრობას ეძახით, ეს ახალ რეალობაში თანაარსებობის პროცესია. ჯერ ასეთ ვითარებაში არ ვყოფილვართ და ყველა ერთად, ახლა ვსწავლობთ ურთიერთობების დალაგებას.

— თქვენ მანიპულირებთ და ხალხს აშინებთ სააკაშვილთან ერთად — ესაა რეალობა!

— ესაა თქვენი პოზიცია — დასკვნები უკვე გაკეთდა და პარლამენტში საკონსტიტუციო ცვლილებაზე კენჭისყრა შედგება. ჩვენი გუნდი ძალიან თავდაჯერებულია, რომ ოპოზიციის დიდი უმრავლესობა მხარს დაუჭერს ამ საკონსტიტუციო ცვლილებებს!

— ამასობაში, აქტიურად საუბრობენ, რომ ეს პაკეტი ჩავარდება, შუალედურთან ერთად კი, აპრილის ბოლოს, საპარლამენტო არჩევნებიც დაინიშნება, რასაც ფონს „ნაციონალების“ მიერ დაანონსებული აქცია მოუმზადებს — მოვლენათა ეს განვითარება ლოგიკურად მიგაჩნიათ?

— პოლიტიკურ თემებზე, როგორც მინისტრმა, ისედაც ძალიან ბევრი ვისაუბრე, მაგრამ მოკლედ მაინც ვიტყვი:

> **იყო გარკვეული საუბრები მინისტრთა კაბინეტის სხდომაზეც, ამ აქციასთან დაკავშირებით და მზად ვართ, უზრუნველვყოთ ოპოზიციური წესრიგი პარტიულ აქციებზე. ჩვენთვის გამოსაფხიზლებელი ზარივით იყო 8 თებერვალი — ეს იყო საშინელება! ასეთი რამ აღარასდროს უნდა განმეორდეს, რაც ჩვენი პირდაპირი ვალდებულებაა, თუმცა უსაფუძვლოდ მიმაჩნია საუბრები ვადამდელი არჩევნების შესახებ — ასე არ მოხდება და შემიძლია, ამის სრული გარანტია მოგცეთ!**

რაც შეეხება თავდაცვის სამინისტროს: ამ 4 თვის მანძილზე სრულიად შევცვალეთ მიდგომები — შიდა რესურსით, ჯარისკაცების 89%-ს ხელფასი 45%-ით გავუზარდეთ. 1 მარტიდან შემოვიღეთ ჯანდაცვის ახალი პოლისი, რომელიც მინისტრსაც და ჯარისკაცსაც ერთნაირად აზღვევს, ვიწყებთ ე.წ. ჯარის ოჯახის პროგრამას, რომელიც ჯარისკაცების ოჯახებს უფრო აქტიურად ჩართავს ჯარის ცხოვრებაში. ძალიან გამჭვირვალე გახდა ყველა ტენდერი, შესყიდვა, პროექტი, იმდენად გამჭვირვალე, რომ ჩემი მოადგილე, ზაზა ბროლაძე ხუმრობს ხოლმე, მალე გამჭვირვალობა ნუდიზმში გადაგვივაო.

— არც ნუდიზმისგან ყოფილხართ შორს — თათა ვარდანაშვილის კომპანიის, „დემეტრე 96“-ის მიერ შეკერილ ფეხსაცმელს ძირები თუ სძვრება და ჯარისკაცები ფეხშველები დადიან...

— ასეც არ არის, ჩვენ ჩვენს ჯარისკაცებს ფორმებითა და ფეხსაცმლით უზრუნველვყოფთ. რაც შეეხება „დემეტრე 96“-ს, მე იქ ვიყავი, ვნახე ვარდანაშვილი და მისი არაჩვეულებრივი კოლექტივი, ქალბატონები, რომლებიც ძალიან მონდომებულნი არიან და იყვნენ, მაგრამ მათ არ ჰქონდათ ხარისხიანი მასალა ფეხსაცმლის შესაკერად. როგორც მიამბობენ, დიდი რაოდენობით საკერავი მასალა წინა ხელისუფლების პირობებში შეუძინეს, მაგრამ ის უხარისხო აღმოჩნდა. დღეს „დემეტრე 96“ ეკონომიკის სამინისტროს ქონების მართვის დეპარტამენტის მენეჯმენტის ქვეშაა — მე დაინტერესებული ვარ, ხარისხიანი პროდუქცია შევიძინო და თუ ეს კომპანია ასეთს შემომთავაზებს, შევიძენ კიდეც!

— ანუ მათთან ჯერ კონტრაქტი არ გაგიწყვეტიათ?

— არა, რადგან ფეხსაცმლის გარდა, ფორმებსაც ისინი კერავენ. საერთოდ, ჩემი სურვილია, ეს კოლექტივი დასაქმდეს, რადგან მათ დიდი პოტენციალი აქვთ, უბრალოდ, დასახვეწია მენეჯმენტი, რაც თავდაცვის სამინისტროს საქმე არ არის.

— ითქვა, რომ, შესაძლოა, შიდაბიუჯეტის გაფლანგვის გამო, ბაჩო ახალაიას ბრალიც კი დაუმძიმდეს. კიდევ რა კონკრეტული საქმეები, ტენდერები და კანონდარღვევები აღმოაჩინეთ ამ 4 თვის მანძილზე სამინისტროში?

— გამოძიებასთან დაკავშირებით, წინასწარ კონკრეტულ განცხადებებს ვერ გავაკეთებ, მაგრამ გიდასტურებთ, რომ პროკურატურის სამუშაო ჯგუფი უკვე ჩვენთანაა და ბოლო 6 წლის ფინანსურ დოკუმენტაციას სწავლობს, მათ შორის, საქმე „დემეტრე 96“-საც ეხება. როცა გამოძიება მზად იქნება, ის თავად გაავრცელებს ინფორმაციას ამის შესახებ...

„14 აპრილს ხალხი ხელისუფლებას ეტყვის, ესაა ჩემი ნება და თუ ამას არ შეასრულებ, შემდეგ არჩევნებზე არ იქნები არჩეულიო!“

ნინო კომახიძე
599-95-33-16

როგორ აპირებს რეჟიმის გასამართლებას ნანა კაკაბაძე და ვინ უერთდება 14 აპრილს დაგეგმილ საპროტესტო აქციას

საბჭოთა რეჟიმის დამარცხების დღეს, 14 აპრილს, უფლებადამცველმა ნანა კაკაბაძემ ძველი ხელისუფლების ძველი რეჟიმის დამარცხებაც გადაწყვიტა და საპროტესტო აქცია დააანონსა. პოლიტიკური ღონისძიებებით გადატვირთული აპრილი კიდევ უფრო საინტერესო ხდება, რადგან კაკაბაძე, პოლიტპატიმრის სტატუსმიღებული 200 ადამიანი და ყველა ის მოქალაქე, ვინც თავს სააკაშვილის რეჟიმის მსხვერპლად მიიჩნევს, „ნაციონალების“ კანონგარეშედ გამოცხადებასა და ხელახალ საპარლამენტო არჩევნებს სპორტის სასახლის დიდ დარბაზში მოითხოვს. ვინ აიღებს პასუხისმგებლობას მოვლენების განვითარებაზე, რას მოსთხოვს ხალხი ახალ ხელისუფლებას და რას პასუხობს მისი მისამართით დაგროვილ კითხვებს — „ვერსიის“ რესპოდენტი ნანა კაკაბაძეა.

— 14 აპრილი, საბჭოთა რეჟიმის დროიდან, ქართველი ერისა და ახალგაზრდობის გამარჯვების დღეა, ამიტომაც სიმბოლურად, სწორედ ეს დღე შეირჩა. მაშინ საბჭოთა რეჟიმზე გამარჯვების დღე იყო, ახლა — სააკაშვილის რეჟიმზე გამარჯვების დღე იქნება! ეს ყველა უფლებაშელახული ადამიანის აქციაა, ვინც მიიჩნევს, რომ ამ 9 წლის განმავლობაში დაზარალდა და მისთვის ყრილობის ორგანიზატორების მოთხოვნები მისაღებია.

— აქცია სპორტის სასახლეში რატომ უნდა შედგეს, რომ არ გითხრან, კაკაბაძეს პროცესები ქუჩაში გადააქვსო თუ პროვოკაციებს ელოდებით?

— აქცია სპორტის სასახლეში შედგება არა მარტო ამიტომ, თუმცა ერთ-ერთი მიზეზი ესეცაა. პროვოკაციებს არ ველოდები, რადგან დარბაზს არათუ გავავსებთ, წარმოიდგინეთ, ის დღეს უკვე ნახევრადსავსეა! ახლა იმ ხალხის წინასწარი რეგისტრაცია მიმდინარეობს, ვისაც ყრილობაზე დასწრება სურს. ჩვენ შევარჩევთ უფლებაშელახულთა ჯგუფებს, რომლებიც თავიანთ წარმომადგენლებს დაასახელებენ და მათ მოსაწვევებს დავურიგებთ. ამ ჯგუფებს დააკომპლექტებენ — ქონებაწართმეულები, ბიზნესწართმეულები, სახლებიდან გამოყრილები და ა.შ. შესაბამისად, ყრილობაც წარმომადგენლობითი იქნება. ვამზადებთ მიმართვებს ახლანდელი ხელისუფლებისთვის, საერთაშორისო ორგანიზაციებისთვის, პარლამენტისთვის.

გვინდა, ძველი რეჟიმი საერთოდ აიკრძალოს, ხოლო ნაციონალური მოძრაობა კანონგარეშედ გამოცხადდეს! ხელისუფლება ხალხის დაკვეთას უნდა ასრულებდეს — მე ისეთი ხელისუფლება მჭირდება, ვინც იმას გამიკეთებს, რასაც ვითხოვ. ხოლო ამ პომპეზურ თავყრილობას იმისთვის ვმართავთ, თუ ვინმე ჩვენი ხელმოწერების ნამდვილობაში ეჭვს შეიტანს, ხალხი იქვე, სახეზე იქნება წარმოდგენილი, საკუთარ ნებას ხმამაღლა გამოხატავს. 14 აპრილს ხალხი ხელისუფლებას ეტყვის, ესაა ჩემი ნება და თუ ამას არ შეასრულებ, შემდეგ არჩევნებზე არ იქნები არჩეულიო!

ამიტომ იმედი მაქვს, ამ ხელისუფლებას ამის გაკეთება რომც არ უნდოდეს, მოუწევს, თუკი ქვეყნის სათავეში დარჩენაზე ფიქრობს! სამართლიანობის აღდგენა მართლა უნდა დაიწყოს!

— და რას გულისხმობთ თქვენ და პოლიტპატიმრები ამ ფრაზის ქვეშ?

— დამნაშავე ციხეში უნდა იყოს, უდანაშაულო — გარეთ, ხოლო ვინც ეს სისტემა შექმნა, ის პარტია კანონგარეშედ უნდა გამოცხადდეს! ნაციონალურ მოძრაობას კი საერთოდ უნდა აეკრძალოს პოლიტიკური საქმიანობა.

— ანუ ახალი არჩევნებია საჭირო?

— რა თქმა უნდა, ამ პარტიის წევრთა პოლიტიკური მოღვაწეობის გაგრძელება აღარ შეიძლება და ხელახალი საპარლამენტო არჩევნებია საჭირო. ეს ყველაფერი გაჟღერდება სპორტის სასახლეშიც... სხვათა შორის, „გენერალთა კლუბი“ და „ოფიცერთა ორდენი“ საკმაოდ დიდი შემადგენლობით უერთდება ჩვენს აქციას. მისი დაანონსების წუთიდან არ წყდება აქციაზე მომსვლელთა და რეგისტრაციის გავლის მსურველთა ნაკადი!

— თუ თქვენი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდა, ხალხის მიერ რეჟიმის გასამართლება როგორ წარმოგიდგენიათ?

— ქართველი ხალხის მოთხოვნის შესაბამისად, რეჟიმს სასამართლო გაასამართლებს, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ. არ ეყოფა ამ საქმეს უზენაესი სასამართლო, პროცესი ჰააგაში გაგრძელდება, ნებისმიერ შემთხვევაში, გასამართლება სასამართლოს გზით მოხდება! ჩვენ კუბლაშვილის უწყების კი არა, ქართველი ხალხის არჩევანისა და კიდევ იმის იმედი გვაქვს, რომ საქართველოს ხელისუფლება ქართველი ხალხის ნებასა და დაკვეთას უზრუნველყოფს!

— საინტერესოა, რეჟიმის მიერ დაზარალებულთა ინიციატივით გამართულ აქციაზე ვინ აიღებს პასუხისმგებლობას, თქვენ?

— რა პასუხისმგებლობას გულისხმობთ, სახლიდან რომ გამოდიხართ, ვინ იღებს ამაზე პასუხისმგებლობას, თქვენ თავად, ხომ? ასე იქნება ამ შემთხვევაშიც — ვინც ჩვენთან მოვა, თავად იქნება პასუხისმგებელი პროცესების განვითარებაზე!

— ბევრის აზრით, 8 თებერვალს, ბიბლიოთეკის წინ განვითარებულ მოვლენებს თქვენ მართავდით — აქციის ერთ-ერთი მოთავე ახლაც თქვენ ხართ და ისედაც დაძაბულ ვითარებაში, ყველა მოსალოდნელ სცენარზე პასუხს ვინ აგებს?

— რამენაირად, უნდა გამოვიდეთ იმ კომპლექსებიდან და შეხედულებებიდან, რას ფიქრობენ „ნაციონალები“. ეს არავის აინტერესებს, მით უმეტეს — მე! მხოლოდ ის მაღელვებს, რას ფიქრობს ქართველი ხალხი, რა არის მისი პრობლემა და რა წვლილის შეტანა შემიძლია ამ პრობლემის მოგვარებაში, ამიტომ რას მოიფიქრებენ, რა ზღაპარს დაწერენ და მერე ამას ვის როგორ დააჯერებენ, ეს მათი პრობლემაა!

— თქვენ ყველაზე აქტიურად ჩანდით 8 თებერვლის მოვლენებში, თუმცა ახლა ის „ზღაპარია“ აქტუალური, რომ პატიმრებისგან აღებული ფულით, ნანა კაკაბაძემ თბილისის ცენტრში 5-ოთახიანი ბინა იყიდა...

— და ახლა რა ვქნა, ვდიო ამ ზღაპრებს?! ან მისამართი გვითხრან ან რამე კონკრეტული, ამ სისულელეზე პასუხი როგორ გავცე?! იცით, რას მივხვდი — თავისმართლების რეჟიმში რატომ ჩავდგე, თუ მართალი ვარ? არსებობს საჯარო რეესტრი და სხვა უამრავი საშუალება ამის გადასამოწმებლად. 13 იანვარს გათავისუფლდა ის ხალხი, მას მერე კი ძალიან მცირე დრო გავიდა, ასე რომ, დაინტერესებული პირი რეესტრიდან ამონაწერს ნებისმიერ შემთხვევაში ამოიღებს. მორჩა და გათავდა!

— მაშინ რატომ ამტკიცებს იგივეს დაღუპული პოლიციელის დედა ანა აზნაურაშვილი, რომლის თქმით, ციხიდან, პოლიტპატიმრის სტატუსით, ფინანსური დაინტერესების გამო, მისი შვილის მკვლელი გამოიყვანეთ?

— როგორც ჩემთვის მოგვიანებით გახდა ცნობილი, ეს პატიმარი, ბიბილური ნინო ბურჯანაძის მძღოლია, რომელიც 26 მაისის მოვლენების მონაწილე იყო და პოლიტპატიმრის სტატუსი ამიტომაც მიიღო. მეორე მხრივ, პოლიციელის მკვლელობის საქმეც დიდი კითხვის ნიშნის ქვეშაა, რადგან არანაირი მტკიცებულება არ არსებობს, რომ ამ პოლიციელს სწორედ ბიბილურის მანქანამ გადაუარა. მანამდე, ბურჯანაძის კიდევ 4 მძღოლს აიძულებდნენ, იგივე ეთქვა. ასე რომ, ბიბილურს, ამ სიაში მოსახვედრად, ფულის გადასახდელი არაფერი სჭირდა!

— პარლამენტში სასჯელის შეკრებითობის წესის გაუქმების შესახებ მსჯელობენ. მახსოვს, პირველი ამნისტიით უკმაყოფილო იყავით — როგორ ფიქრობთ, თუ ინიციატივა გავიდა, პატიმრების მეორე ამნისტიას ხომ არ მივიღებთ და რა იქნება იმ ადამიანთა რიცხვი, ვინც, შესაძლოა, შეკრებითობის გაუქმების მერე ციხიდან გამოვიდეს?

— რეჟიმი რომ არაადეკვატური იყო და ხალხს უმცირეს დანაშაულზე უდიდეს სასჯელს აძლევდა, ამაზე არავინ დავობს! პოლიტპატიმრების პრობლემა ჩვენთვის უპირველესი იყო, რომელიც გადავწყვიტეთ და ახლა გადავდივართ მეორე ეტაპზე — არაადეკვატური სასჯელების შემსუბუქებაზე. სწორედ ამის შეცვლას ემსახურება ეს ინიციატივა — აი, ზუსტად ესაა სამართლიანობის აღდგენა და არა — ამნისტია. თუმცა, მხოლოდ რამდენიმე გამონაკლისი იქნება, ვისაც ეს ინიციატივა გაათავისუფლებს. სამაგიეროდ, იმ პატიმრებს, ვისაც 25-30 წელი აქვს მისჯილი, ვადა ადეკვატურად შეუმცირდება და 7-8 წელი შეეფარდება. გარწმუნებთ, ეს კანონი პარლამენტში გავა — გაიხსენეთ, ამ ორგანოში პოლიტპატიმრის სტატუსის მინიჭების თემასაც ჰყავდა მოწინააღმდეგეები, მაგრამ ნახეთ, პროცესი როგორც დასრულდა. იგივე იქნება ამ ინიციატივის ბედიც!

— თუმცა პოლიტპატიმრების ე.წ. მეორე სიის დამდგენ კომისიაში, ნანა კაკაბაძე აღარ იქნება, შემადგენლობა შეიცვლება და აღარც პატიმრები მიიღებენ პოლიტიკურ სტატუსსო, აცხადებენ კომიტეტის თავმჯდომარე და მისი მოადგილე — რა მოხდა?

— კომისიის შემადგენლობა, შესაძლოა, რაოდენობრივად გაიზარდოს, თორემ მას არავინ გამოაკლდება. ახალი საქმეების მომზადება, უბრალოდ, ჯერ ადამიანის უფლებათა კომიტეტში მოხდება და შემდეგ გადმოეცემა ეს საქმეები კომისიას, ანუ პრინციპია შეცვლილი, რადგან წინაზე, ჩვენ ანუ კომისიას, რა საქმეებიც ამ 9 წლის განმავლობაში დაგვიგროვდა, ის კომიტეტს უკვე გადავეცით. რაც შეეხება პოლიტიკურ სტატუსს, ეს სტატუსი უკვე ამნისტიის ტექსტშია ჩაწერილი და ახლა მეორე ამნისტიას ხომ არ მივიღებთ?! თუმცა ანალოგიური შინაარსისა იქნება ახალი სტატუსიც და იგივე რეგულაციები იმოქმედებს „მეორე სიის“ დამტკიცების შემდეგაც! ჩვენი ორგანიზაცია, ისევ ამ კომისიის შემადგენლობაშია, სიმართლე გითხრათ, ახალი საქმეები ჯერ არ მინახავს!

იანვარ-თებერვლის ბიუჯეტი 870 100 000 ლარით შესრულდა!

„პოლიტიკოს.გე“-მ გაავრცელა ინფორმაცია, რომ 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში 600 000 000 ლარის გარღვევაა. „ვერსიამ“ ეს საგანგაშო ფაქტი გადაამოწმა და აღმოჩნდა, რომ ფინანსთა სამინისტროს ოფიციალური ინფორმაციით, 2013 წლის იანვარ-თებერვალში, ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებმა 870 100 000 ლარი შეადგინა. წლევანდელი მაჩვენებელი კი 2012 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 22 100 000 ლარით მეტია.

გიორგი არველაძის ვებ-პორტალს ფინანსთა სამინისტრო დეზინფორმაციის გავრცელებაში ადანაშაულებს



„პოლიტიკოს.გე“-ს ინფორმაციის წყარო ფინანსთა სამინისტროს მაღალჩინოსანია, რომელიც ინკოგნიტოდ რჩება და აცხადებს, რომ ივანიშვილის მთავრობა სიტუაციიდან გამოსავალს ეძებს, მაგრამ საბიუჯეტო დანაკლისი იმდენად დიდია, რომ, ფაქტობრივად, ოპტიმისტური პროგნოზების გაკეთება შეუძლებელია. საინფორმაციო პორტალის რედაქციამ, ინფორმაციის გადამოწმება ფინანსთა სამინისტროს პრესსამსახურის თანამშრომელთანაც სცადა, თუმცა ამ უკანასკნელმა კომენტარისგან თავი შეიკავა. იმის გამო, რომ საინფორმაციო პორტალის ხელმძღვანელი გიორგი არველაძეა და, შესაძლებელია, მას მართლაც ჰყავდეს წყარო, რომელიც ზუსტ ინფორმაციას მიაწვიდს, „ვერსიამ“ მისი გადამოწმება ფინანსთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსთან, ხათუნა ივანიშვილთან სცადა, რომელმაც განაცხადა:

„საქართველოს ფინანსთა სამინისტროს პრესსამსახური ოფიციალურად მოითხოვს, რომ „პოლიტიკოს.გე“-ს რედაქციამ საჯაროდ დაასახელოს სამინისტროს პრესსამსახურის იმ თანამშრომლის სახელი და გვარი, რომელმაც თავი შეიკავა ამ საკითხზე კომენტარისგან. გარდა ამისა, პოლიტიკური პორტალის რედაქციისგან და, ზოგადად, ყველა საინფორმაციო საშუალებისგან მოვითხოვთ, რომ ვიდრე დეზინფორმაციას გაავრცელებდნენ, თვალი ადევნონ ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდს, სადაც ჯერ კიდევ 2013 წლის 28 თებერვალს, გამოქვეყნდა ოფიციალური ინფორმაცია მიმდინარე წლის იანვარ-თებერვალში, ბიუჯეტის გადაჭარბებით შესრულებასთან დაკავშირებით“.

ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე, 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის იანვარ-თებერვლის მონაცემებით კი ირკვევა, რომ ამ პერიოდში, ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებმა 870 100 000 ლარი შეადგინა, რაც 2012 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 22 100 000 ლარით მეტია.

„მიმდინარე წლის თებერვალში, ნაერთი ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები, გასული წლის თებერვლის მონაცემებთან შედარებით, 12 000 000 ლარით მეტია და წელს ეს მაჩვენებელი 408 300 000 ლარია. 2013 წლის იანვარ-თებერვალში, მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შესრულდა სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების მაჩვენებელიც. ამ მიმართულებით, მხოლოდ ორ თვეში მობილიზებულმა თანხამ 844 000 000 ლარი შეადგინა, რაც 2012 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს, 19 300 000 ლარით აღემატება“, — მითითებულია ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ ინფორმაციაში.

სამინისტროს ინფორმაციით, 2013 წლის თებერვალში, სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებმა 395 000 000 ლარი შეადგინა, რაც თებერვლის მაჩვენებელზე 10 900 000 ლარით მეტია. ფინანსთა სამინისტრო, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის „საქსტატის“ მიერ, 28 თებერვალს გამოქვეყნებულ ინფორმაციასაც იმოწმებს, რომლის თანახმად, 2013 წლის იანვარში, ეკონომიკური ზრდის წინასწარმა მაჩვენებელმა, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 2,3% შეადგინა. გაზრდილ საგადასახადო შემოსავლებთან ერთად, „საქსტატის“ მონაცემებიც ადასტურებს, რომ ქვეყანაში ეკონომიკურმა აქტივობამ მოიმატა, რაც იმას ნიშნავს, რომ მომავალ თვეებში, ეკონომიკური ზრდის პროგნოზირებულ მაჩვენებელს მიაღწევს.

მაია მიშელაძე

საქართველო-რუსეთს შორის სავიზო მიმოსვლა გამარტივდება

საქართველო-რუსეთს შორის სავიზო მიმოსვლა გამარტივდება, — განაცხადა პრემიერ-მინისტრის სპეციალურმა წარმომადგენელმა ზურაბ აბაშიძემ და აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით რუსეთის მხრიდან მზაობა უკვე არსებობს. როგორც აბაშიძე განმარტავს, კონკრეტული შეთანხმება სავიზო მიმოსვლის გამარტივებასთან დაკავშირებით, ზაფხულში უკვე მიღწეული იქნება.

„რუსეთის მხრიდან სავიზო რეჟიმის შემსუბუქებაზე საუბარი დაიწყო და იმედია, ზაფხულში ამ მიმართულებით შედეგი იქნება. შეიძლება, მარტშიც გარკვეულად წინ წავიწიოთ ამ მიმართულებით, მხედველობაში მაქვს ყაზბეგი-ზემო ლარსის მარშრუტი“, — განაცხადა აბაშიძემ.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, გრიგორი კარასინისა და პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენლის, ზურაბ აბაშიძის მორიგი შეხვედრა მაისში გაიმართება.

„ჯი-ეიჩ-ენი“

ლინკევიჩიუსი გამოდის ინიციატივით, სააკაშვილმა და ივანიშვილმა ქვეყნის საგარეო კურსთან დაკავშირებით ერთობლივი განცხადება გააკეთონ

ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრი ლინას ლინკევიჩიუსი გამოდის ინიციატივით, საქართველოს პრეზიდენტმა და პრემიერ-მინისტრმა ქვეყნის საგარეო კურსთან დაკავშირებით ერთობლივი განცხადება გააკეთონ. ამის შესახებ ლინკევიჩიუსმა 5 მარტს, პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრაზე განაცხადა. მხარეებმა საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები, თანამშრომლობის საკითხები და შემდგომი განვითარების პერსპექტივები განიხილეს. საუბარი, ასევე, შეეხო საქართველოს სწრაფვას ნატო-სა და ევროატლანტიკური სტრუქტურებისკენ. პრემიერ-მინისტრმა კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ საქართველომ დიდი ხნის წინ გააკეთა არჩევანი, გახდეს ევროპული ოჯახის სრულუფლებიანი წევრი.

„ძალიან საინტერესო შეხვედრა გვქონდა. ლიტვის საგარეო საქმეთა მინისტრის ინტერესი ემთხვევა ჩვენსას. იცით, რომ ვილნიუსი მასპინძლობს სამიტს, რომელიც შემოდგომაზეა დაგეგმილი და ლიტვას გააჩნია დამატებითი ვალდებულება, ჩვენ მივიღოთ ის მაქსიმუმი, რისი სურვილიც გაგვაჩნია. რჩევაც მივიღეთ. ბატონი ლინას ლინკევიჩიუსი ასევე ხვდება საქართველოს პრეზიდენტს და მე, ჩემი მხრივ, უკვე დავთანხმდი, რომ გაკეთდეს ჩვენი ერთობლივი განცხადება“, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

„პირველი“

სოსო მანჯავიძე მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატად კენჭს ნაძალადევში იყრის

რუსუდან შელია
557-100-768

პატიმართა და მათი ოჯახების დახმარების ფონდის წარმომადგენლები ამნისტიის შესახებ კანონის მე-13 მუხლის გადახედვას მოითხოვენ, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე და 262-ე მუხლით გასამართლებული ადამიანების გათავისუფლებას ითვალისწინებს. რა ლაფსუსი გაიპარა ამნისტიის კანონში, როგორ პასუხობს ფონდის მოთხოვნას პარლამენტი, რატომ გადაწყვიტა ნაძალადევის რაიონში მაჟორიტარ კანდიდატად კენჭისყრა, „ვერსიის“ კითხვებს საქართველოს პატრიოტთა ალიანსის გენერალური მდივანი სოსო მანჯავიძე პასუხობს.

— ის პატიმრები, რომლებიც ნარკოტიკების მოხმარების ბრალდებით სასჯელს იხდიდნენ, ამნისტიის კანონის ამოქმედების შემდეგ, გაათავისუფლეს, თუმცა

> **კანონში საკმაოდ მნიშვნელოვანი ლაფსუსი გაიპარა: ადამიანებს, რომლებმაც ნარკოტიკული საშუალება ქვეყნის გარეთ, პირადი მოხმარებისთვის შეიძინეს და შემდეგ საქართველოს საზღვარი გადმოკვეთეს, ამნისტია არ შეეხოთ.**

სამართლებრივად რომ განვმარტოთ, სისხლის სამართლის კოდექსის 262-ე მუხლით (საზღვრის გადმოკვეთა ნარკოტიკებით, რომელიც პირადი მოხმარებისთვისაა განკუთვნილი) გასამართლებული პატიმრები უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ ამნისტიის კანონ-პროექტში არ გაითვალისწინა მაშინ, როცა იმავე კოდექსის 260-ე მუხლით (ნარკოტიკების პირადი მოხმარება) გასამართლებული მსჯავრდებულები ამნისტირებულები არიან. ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, ორივე ტიპის მსჯავრდებულები ნარკოტიკების მომხმარებლები არიან, ამიტომ გაუგებარია, რატომ მიიღო პარლამენტმა აღნიშნული გადაწყვეტილება და როგორ განასხვავა აღნიშნული ტიპის მსჯავრდებულები ერთმანეთისგან.

— ცნობილია, რომ 6 მარტს, აღნიშნული მოთხოვნით, აქციას გეგმავთ, პარლამენტი თქვენს ინიციატივას არ გამოხმაურებია?

— ჯერჯერობით, პასუხი არავისგან მიგვიღია. ვფიქრობ, ზედმეტი დაძაბულობის გარეშე, შეხვედრის ორგანიზება უნდა შევძლოთ და ხარვეზის გამოსწორება ერთობლივად ვცადოთ. სამწუხაროდ, ამნისტიის კანონპროექტის ავტორებს შეცდომების აღიარება უჭირთ, არადა, მათი ამპარტავნობის გამო, ასობით ადამიანი დღემდე ციხეშია. თანაც 262-ე მუხლით გასამართლებული მსჯავრდებულები დაიმედებულნი იყვნენ, რომ საპატიმროებს მალე დატოვებდნენ. მოგეხსენებათ, საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში, სასჯელაღსრულების მონიტორინგის საბჭოს წევრი ვიყავი. მეტიც, პოლიტიკური აქტივობა სწორედ პატიმრების უფლებების დაცვით დავიწყეთ და ბევრ ადამიანს დავეხმარეთ კიდეც, ამიტომ კარგად ვიცი, რა ვითარებაა პენიტენციალურ სისტემაში. როცა საპყრობილეებში მონიტორინგს ვაწარმოებდი, 262-ე მუხლით გასამართლებულ ადამიანებსაც ვხვდებოდი. მაშინ წინასწარ მქონდა ინფორმაცია, რომ ამ ტიპის მსჯავრდებულებს ამნისტია უნდა შეხებოდა, ამიტომ მათ პირადად ვპირდებოდი, რომ ციხეებს მალე დატოვებდნენ. შესაბამისად, ამ ადამიანების წინაშე პასუხისმგებლობას მეც ვგრძნობ. პარლამენტმა ისიც უნდა გაითვალისწინოს, რომ ნარკოტიკების მოხმარებისთვის დაკავებული პატიმრები, საზოგადოებისთვის საშიშნი არ არიან!

> **რაც შეეხება 6 მარტს დაგეგმილ აქციას, კარგი იქნებოდა, მსგავსი საკითხების განხილვა აქციების გამართვის, დროისა და ენერგიის ხარჯვის გარეშე ხდებოდეს, მაგრამ ჩვენ ხომ დიდი ტყუილის ქვეყანაში ვცხოვრობთ, როცა პოლიტიკოსები საზოგადოებაზე ზნეობრივ ძალადობას ახორციელებენ. სამწუხაროდ, პოლიტიკურ ავანსცენაზე იმაზე**

> **რთულად და მძიმედაა საქმე, ვიდრე ეს ზედაპირზე ჩანს. „ქართული ოცნების“ წევრთა უმრავლესობა დღეს მთლიანად ნაციონალურ მოძრაობაზეა დამოკიდებული.**

— იქნებ აგვიხსნათ, რა სახით შეიძლება, მმართველი გუნდი ოპოზიციაზე დამოკიდებული იყოს ან რომელი ძალა ახორციელებს დღეს საზოგადოებაზე ზნეობრივ ძალადობას?

— ფაქტია, საპარლამენტო უმრავლესობას სააკაშვილისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის სურვილი არ აქვს. მაინტერესებს, რატომ არ მუშაობს ხელისუფლება დღემდე ცესკო-ს რეფორმირებაზე და რატომ არავინაა პასუხისგებაში მიცემული იმ აბსურდული სიების გამო, რომელიც არჩევნების წინ დაგვიდეს? რაც შეეხება მმართველი გუნდისა და ოპოზიციის ურთიერთობას, კოალიცია ნაციონალურ მოძრაობაზე ფინანსურად და კომპრომატებითაა დამოკიდებული. სწორედ ამ მიზეზით ვერ ხერხდება პოლიტიკური ჭაობიდან ამოსვლა და ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენა.

— გამოდის, კომპრომეტირებული ხელისუფლებისგან ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლების წინააღმდეგ კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებას არც მომავალში უნდა ველოდეთ?

— ვფიქრობ, არა.

> **დღეს, მმართველობითი სისტემა კომპრომატებზეა აგებული. დღემდე ხელისუფლება საპასუხისმგებლო თანამდებობებზე პირებს კომპრომატულობის მიხედვით ნიშნავს. დიახ, მათ ასეთი ადამიანები აწყობთ, რადგან მარტივად სამართავები არიან. ერთი სიტყვით, დღეს პოლიტიკაში კომპრომატების ბალანსია, რასაც ორივე მხარემ კოჰაბიტაცია დაარქვა. თუ, რეალურად, საქართველოს განვითარებაზე ვფიქრობთ, პირველ რიგში, ეს სისტემა უნდა მოვშალოთ, რადგან ქვეყანას ასე ვერასოდეს ავაშენებთ.**

— არსებული სისტემის მოშლა როგორ წარმოგიდგენიათ?

— ამ ეტაპზე, შუალედურ არჩევნებში, ნაძალადევის რაიონში მაჟორიტარ დეპუტატად კენჭს ვიყრი. პირობას გაძლევთ, პარლამენტში აუცილებლად შევალ და როცა უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში დეპუტატის მანდატს მივიღებ, უმრავლესობასა და უმცირესობას საზოგადოებაში დაგროვილ კითხვებს საჯაროდ აუცილებლად დავუსვამ.

> **სამწუხაროდ, დეპუტატებმა ერთი რამ ვერ გაიაზრეს — ხალხს „ქართული ოცნება“ იმისთვის არ აურჩევია, რომ პარლამენტი დახურულ კლუბად გადაქცეულიყო. არც ნაციონალურ მოძრაობასთან ვაპირებ პოლიტიკური პინგ-პონგის თამაშს, რასაც უმრავლესობა რამდენიმე თვეა გვთავაზობს. საერთოდ, საქართველოში პოლიტიკა საჯარო უნდა გახდეს და კულისებსმიღმა მუდმივი, გაუგებარი მოლაპარაკებები დასრულდეს.**

დღეს ყველაფერი იმდენად აირია ერთმანეთში, რომ პოლიტიკოსებმა უკვე აღარ იციან, რომელი რეჟისორის ან რა ჟანრის სპექტაკლში თამაშობენ. პოლიტიკაში მიმდინარე პროცესები მხოლოდ ტრაგიკომიკური ფარსია და პარლამენტში ჩემი შესვლის მიზანიც სწორედ ამ ვითარების შეცვლაა.

ირაკლი ღარიბაშვილი: „ქვეყანაში სეპარატიზმის საფრთხე არ არსებობს“

„აბსოლუტურად არანაირი საფრთხე არ არსებობს, არის მშვიდი სიტუაცია და თუ ვინმე დაგეგმავს ან გეგმავს პროვოკაციებს, ის მკაცრად დაისჯება“, — განაცხადა შს მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა მიხეილ სააკაშვილის განცხადების კომენტირებისას, რომელიც პრეზიდენტმა აზერბაიჯანიდან დაბრუნების შემდეგ ორი ქვეყნის წინაშე მდგარ საერთო საგარეო საფრთხეებზე გააკეთა.

პრეზიდენტის განცხადებით, **„დიდი საფრთხის წინაშე ვიმყოფებით ჩვენცა და აზერბაიჯანიც. რუსეთში შეიქმნა დიასპორა, რომელშიც არის ვინმე გარდაბნელი სადიკოვი, ძალიან მდიდარი რუსი, ერთ-ერთი ე.წ. ბიზნესმენი, შეიყვანეს ალეკპეროვი და რამდენიმე სხვა რუსი მილიარდერი, რომელთა მიზანია, ზუსტად იმავე სცენარით ბრძოლა აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის გარანტის, ამ ქვეყნის პრეზიდენტის წინააღმდეგ, როგორი სცენარითაც საქართველოში აწარმოეს გასული წლის ოქტომბერში, არჩევნებზე — ფულის გამოყენებით, ოლიგარქების გამოყენებით, რუსული კაპიტალის გამოყენებით, შანტაჟისა და სხვადასხვა პროვოკაციების გამოყენებით. ეს სადიკოვი არის გარდაბნელი და მან განაცხადა, რომ იბრძოლებს საქართველოში აზერბაიჯანელთა ავტონომიისთვის“.**

„ჯი-ეიჩ-ენი“

ვლადიმერ პუტინი უკრაინას საბაჟო კავშირში ექაჩება

რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი უკრაინის პრეზიდენტს, ვიქტორ იანუკოვიჩს შეხვდა. რუსეთის პრეზიდენტმა უკრაინელ კოლეგასთან ქვეყნის საბაჟო კავშირში გაერთიანების საკითხი განიხილა. პუტინმა შეხვედრაზე განაცხადა, რომ კიევს საბაჟო კავშირში გაერთიანება ყველაზე მეტად თავად უნდა სურდეს.

პუტინმა იანუკოვიჩი გააფრთხილა, რომ რაც უფრო გამყარდება კავშირი ბელორუსს, ყაზახეთსა და რუსეთს შორის, მით რთული იქნება ამ პროცესებში უკრაინის ჩართვა. უნდა აღინიშნოს, რომ ევროკავშირში უკრაინის საბაჟო კავშირში გაერთიანებას უარყოფითად უყურებენ. ევროკავშირის წარმომადგენელთა განცხადებით, თუ კიევი არჩევანს საბაჟო კავშირს სასარგებლოდ გააკეთებს, მას ევროკავშირთან ურთიერთობები გაუჭირდება. პუტინი იანუკოვიჩის შეხვედრისას განხილულ იქნა ბუნებრივი აირის თემაც. ვიქტორ იანუკოვიჩმა აღნიშნა, რომ ამ კუთხით უკრაინელი ექსპერტები ჯერ კიდევ მუშაობენ. კიევი ცდილობს, ბუნებრივი აირი ორმაგად იაფ ფასად მიიღოს. რუსული მედიის ინფორმაციით, პუტინი-იანუკოვიჩის შეხვედრა რუსეთის პრეზიდენტის ქალაქგარეთ რეზიდენციაში, არაოფიციალურ გარემოში შედგა.

„ჯი-ეიჩ-ენი“

ზურაბ ადეიშვილის ძმაზე საერთაშორისო ძებნა გამოცხადდა

იუსტიციის ყოფილი მინისტრის ზურაბ ადეიშვილის ძმაზე საერთაშორისო ძებნა გამოცხადდა. კახეთის საოლქო პროკურატურა დავით ადეიშვილს სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში ადანაშაულებს. როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს პროკურორმა ხვიჩა ბეგიაშვილმა განუცხადა, დავით ადეიშვილმა, 2005 წელს, კახეთის გუბერნატორის მოადგილედ მუშაობისას, აიძულა თელავის ბაზრის მესაკუთრეები, წილი ჯაბრაილ ხანგოშვილის სასარგებლოდ დაეთმოთ.

დავით ადეიშვილს, აღკვეთის ღონისძიების სახით, პატიმრობა დაუსწრებლად აქვს შეფარდებული. ოფიციალური ინფორმაციით, ის მიმალვაში იმყოფება. ბრალდებულის ადვოკატის გოჩა თედიაშვილის თქმით, დავით ადეიშვილი საქართველოში იმ შემთხვევაში დაბრუნდება, თუ მასზე სისხლის სამართლებრივი დევნა შეწყდება ან აღკვეთის ღონისძიება შემსუბუქდება.

„დავით ადეიშვილი ბრალს არ აღიარებს და სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტას ითხოვს. როცა მას აღკვეთის ღონისძიებად პატიმრობა შეეფარდა, პროკურატურამ ეს დაასაბუთა იმით, რომ შესაძლოა, ბრალდებულს მოწმეებსა და დაზარალებულებზე ზეწოლა მოეხდინა, მტკიცებულებების მოპოვებისთვის ხელი შეეშალა. ამ დრომდე, ბრალდებას არ აქვს ახალი მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდება, რომ რაიმე ახალი დანაშაული ჩაიდინა. ჩვენს მიერ მოპოვებული მტკიცებულებებით დასტურდება, რომ მას დანაშაული არ ჩაუდენია. ამიტომ ვითხოვთ, შეწყდეს მის მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა და გაუქმდეს აღკვეთის ღონისძიება პატიმრობა. ვითხოვთ, დევნის შეწყვეტას და არა სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას“, – განაცხადა გოჩა თედიაშვილმა სასამართლო პროცესზე.

კახეთის საოლქო პროკურატურის პროკურორი ხვიჩა ბეგიაშვილი შუამდგომლობას არ დაეთანხმა. **„ჩვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების ნუსხა ადასტურებს დავით ადეიშვილის მხრიდან დანაშაულებრივ ქმედებას. ამ დროისთვის არ არსებობს სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტის საფუძველი. დაცვის მხარეს არ წარმოუდგენია ახალი გარემოება, რაც იმოქმედებდა აღკვეთის ღონისძიების შეცვლაზე. ადვოკატის შუამდგომლობა უსაფუძვლოა“,** – განაცხადა პროკურორმა.

ბრალდებულის ადვოკატმა მოსამართლეს იმ გარემოების გათვალისწინება სთხოვა, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი საქართველოდან მიმალვის მიზნით არ წასულა და საზღვარგარეთ სამკურნალოდ იმყოფება. **„ყველა ადამიანები ვართ და თუ უფრო მსუბუქი აღკვეთის ღონისძიებით შეეცვლება, დღესვე დაბრუნდება საქართველოში. იქნებ შეუმსუბუქოთ მაინც აღკვეთის ღონისძიება, რომ დაბრუნდეს და ნათელი მოეფინოს ამ საქმეს“,** – მიმართა ადვოკატმა მოსამართლეს.

მოსამართლე მამუკა წიკლაურმა დაცვის მხარის შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა და განაცხადა, რომ საქმეში არსებული მტკიცებულებების მიხედვით, დავით ადეიშვილის მიმართ, სავარაუდოდ, გამამტყუნებელი განაჩენი დადგება.

„მტკიცებულებები, რომლებიც დევს საქმეში, ალბათობის მაღალი ხარისხით იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ საქმეზე დადგება გამამტყუნებელი განაჩენი. ის, რომ აღმოფხვრილია მოწმეებზე ზემოქმედების ალბათობა არ არის სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტის, ან აღკვეთის ღონისძიების შეცვლის საფუძველი, მით უმეტეს, რომ ბრალდებული თავს არიდებს მართლმსაჯულებას. აქედან გამომდინარე, შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარს გეუბნებით“, – განაცხადა მოსამართლე მამუკა წიკლაურმა.

მოსამართლემ საქმის არსებითი განხილვა 14 მარტს, 13:00 საათზე ჩანიშნა.

კახეთის საინფორმაციო ცენტრი

აზარტული და მომგებიანი თამაშების კანონპროექტში ცვლილებები შედის

მაია მიშელაძე
593-51-90-12

რა რაოდენობის ფულადი ჯარიმა დაწესდება აზარტული თამაშების უკანონო რეკლამირებისთვის?

საქართველოს კანონებში „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“, ასევე „რეკლამის შესახებ“ და „მაუწყებლობის შესახებ“, ცვლილებები შედის. ამ ცვლილებების ინიციატორი და კანონპროექტის ავტორი, საქართველოს პარლამენტის დეპუტატი, უმრავლესობის წარმომადგენელი კობა დავითაშვილია. ცვლილების მიხედვით, წამახალისებელი გათამაშების გარდა, აზარტული და მომგებიანი თამაშობების სამაუწყებლო ან სხვა სახით რეკლამირება იკრძალება. მეტიც, აზარტულ თამაშებთან დაკავშირებით, პარლამენტში, შესაძლოა, სპეციალური სამუშაო ჯგუფი შეიქმნას, რომელიც კანონში განსახორციელებელ ცვლილებებზე იმუშავებს. სამუშაო ჯგუფის შექმნის ინიციატორი პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე, ზურაბ ტყემალაძეა.

კანონპროექტის განმარტებით ბარათში აღნიშნულია, რომ უყურადღებოდ რჩება აზარტულ თამაშებზე დამოკიდებული ადამიანების რაოდენობის ზრდა ქვეყანაში, რაც განპირობებულია შეუზღუდავი სარეკლამო კამპანიით. ქალაქის ცენტრსა თუ გარეუბნებში, სახეზეა სლოტ-კლუბების არნახული მასშტაბები. ქართულ ინტერნეტ-ბაზარზე შექმნილია ახალ-ახალი კომპანიები, რომლებიც მომხმარებლებს სახლიდან გაუსვლელად სთავაზობენ „სწრაფ გამდიდრებას“:

„ხშირ შემთხვევაში, აზარტული თამაშები იქცევა ძლიერი ემოციების ერთადერთ წყაროდ და ადამიანი ისეთივე დეგრადაციამდე მიჰყავს, როგორც ნარკომანიასა და ალკოჰოლიზმს. ეს ფსიქოლოგიური პრობლემები, რაც თამაშს მოაქვს, მოთამაშის თანდათან გაუარესებული სოციალური მდგომარეობის შედეგად, უფრო მეტად მწვავდება. შედეგად, სახეზეა გაყიდული ქონება და დანგრეული ოჯახები. ამ ყველაფრის გათვალისწინებით, დამაფიქრებელია ისიც, რომ ტელეარხებიდან, მათ შორის საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერიდან, სხვადასხვა სახის ინტერნეტ-თამაშების რეკლამირება მიმდინარეობს“, — ვკითხულობთ კანონპროექტის განმარტებით ბარათში.

ცვლილებების მიხედვით, კანონპროექტს ემატება 35-ე მუხლი, რომლითაც წამახალისებელი გათამაშების გარდა, დაუშვებელია ლატარიის, აზარტული და მომგებიანი თამაშობების ბილეთების გაყიდვა/გავრცელება საბავშვო, სამედიცინო და საგანმანათლებლო დაწესებულებებში, საკულტო ნაგებობებში, საბავშვო სანატორიუმებში, ბიბლიოთეკებში, მუზეუმებში, სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების ადმინისტრაციულ შენობებში, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ აკრძალულ ადგილებში — ტერიტორიულ ზონებსა და შენობა-ნაგებობებში.

კანონპროექტის მიღების მიზანია, აზარტული თამაშების რეკლამირების აკრძალვა, მათ შორის, საინფორმაციო სივრცეში, საზოგადოებრივ ტრანსპორტში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, რაც შეამცირებს ქვეყნის მოსახლეობის დამოკიდებულებას აზარტული თამაშებისადმი. ამ საკანონმდებლო ცვლილებების ინიციატორები, წამახალისებელი გათამაშების გარდა, აზარტული და მომგებიანი თამაშობების შეზღუდვას, საჯაროდ რეკლამირებასა და უკანონო რეკლამირებისთვის ფულად ჯარიმას ანესებენ. კანონპროექტის მიხედვით, ეკონომიკური აგენტის მასშტაბების გათვალისწინებით, ჯარიმის ოდენობა ასე განისაზღვრება:

სამორინეს მოწყობის ნებართვის მფლობელ პირთა მიმართ — 7 000 ლარით, ხოლო სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ვადის დარღვევისთვის — 20 000 ლარით; ტოტალიზატორის მოწყობის ნებართვის მფლობელ პირთა მიმართ — 2 000 ლარით, ხოლო სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ვადის დარღვევისთვის — 10 000 ლარით; სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის ნაბართვის მფლობელ პირთა მიმართ — 1 000 ლარით, ხოლო სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ვადის დარღვევისთვის — 10 000 ლარით; ლოტოს მოწყობის ნებართვის მფლობელ პირთა მიმართ — 1 000 ლარით, ხოლო სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ვადის დარღვევისთვის — 2 000 ლარით; ბინგოს მოწყობის ნებართვის მფლობელ პირთა მიმართ — 1 000 ლარით, ხოლო სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ვადის დარღვევისთვის — 2 000 ლარით; წამახალისებელი გათამაშების მოწყობის ნებართვის მფლობელ პირთა მიმართ — 1 000 ლარით; აზარტული კლუბის მოწყობის ნებართვის მფლობელ პირთა მიმართ — 2 000 ლარით; ხოლო სანებართვო მოსაკრებლის გადახდის ვადის დარღვევისთვის — 10 000 ლარით.

რაც შეეხება სპეციალურ სამუშაო ჯგუფს, ზურაბ ტყემალაძემ კომიტეტის სხდომაზე განაცხადა, რომ აუცილებელია ეს საკითხი ისე გადაწყდეს, რომ არც ბიზნესი დაზარალდეს და მოსახლეობაც დაცული იყოს აზარტული თამაშების მავნე გავლენისგან. დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური კომიტეტის სხდომაზე, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საზოგადოების წარმომადგენელთა პეტიცია განიხილეს, რომელიც სათამაშო ბიზნესს ეხებოდა. ეს პეტიცია სათამაშო ბიზნესის საერთოდ აკრძალვას, ან მკაცრ რეგულაციებს ითვალისწინებს.

ვერსიანიუსი

ირმა ინაშვილი: „ქვეყანა კვლავ გალიას ემსგავსება, გამოფხიზლდით!“

„ქვეყანა კვლავ გალიას ემსგავსება, გამოფხიზლდით, გახსენით ამ გალიის გისოსები... ყველასთვის გახსენით,თორემ გაირკვევა, რომ ბოლოს თქვენ ხართ მარტო ამ გალიაში, ხოლო ქართველი ხალხი გარეთაა!“ —წერს „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე მედიაკავშირ „ობიექტივის“ ხელმძღვანელი ირმა ინაშვილი, რომელიც 2012 წლის ზაფხულს იხსენებს და პრემიერ-მინისტრთან ჩაწერილი ინტერვიუს ფრაგმენტებზე საუბრობს:

„2012 წლის ზაფხულში ინტერვიუ ჩავწერე ბიძინა ივანიშვილთან. მზიანი დილა იყო... ერთმანეთს შეკვეთილში შევხვდით. ვკითხე,- თუ გსურთ, შეკითხვებს წინასწარ გაგაცნობთ-თქო... მითხრა, რომ იმპროვიზაცია ურჩევნია. „მწვავე კითხვები მაქვს, დავიწყო თუ წავიდე?“ — ვკითხე... გაეღიმა. „დაიწყეთ“... დავიწყეთ... ამ ინტერვიუდან ერთი ფრაგმენტი დღეს ჩემთვის განსაკუთრებულად მტკივნეული და აქტუალურია. შეკითხვა იმ ადამიანებს ეხებოდა, რომლებიც რეჟიმს მთელი 9 წლის განმავლობაში ებრძოდნენ. მაინტერესებდა, როგორ იქნებოდა დაფასებული ამ ადამიანების არჩევანი, თუკი ხელისუფლებაში ივანიშვილის გუნდი მოვიდოდა. პასუხი მივიღე... „პირველ რიგში, იმ ადამიანებს დავაფასებთ, რომლებიც ბოროტებას უპირისპირდებოდნენ“... გავიდა დრო. ივანიშვილის გუნდმა არჩევნებში გაიმარჯვა. დაიწყო ახალი ხელისუფლების დაკომპლექტების პროცესი. პირველ რიგში, იმ „დიასახლისების“ დასაქმება დაიწყეს, რომლებიც რეჟიმს სამზარეულოდან აკვირდებოდნენ... მეორე რიგში, კვლავ იმ „მებრძოლთა“ დაწინაურება დაიწყეს, რომლებიც აბაზანაშიც ჩურჩულებდნენ და ხმას შიშისგან ვერ იღებდნენ... მესამე რიგშიც, უპოზიციო... უპრინციპო კადრები აღმოაცენეს ასპარეზზე... და რას ხედავს მომავალი თაობა?!... თუკი შენს ქვეყანაში დიქტატურა მოვა, გაჩუმდი... დაჯექი სამზარეულოში... ნუ გახვალ მიტინგზე... ნუ დაიხევ ნერვებს, ნუ გაითეთრებ თმას... ნუ გაწირავ ყველას გარშემო... დაელოდე... ახალი ბიძინა ივანიშვილი გამოჩნდება და მოთხოვნადი გახდები... დაგაწინაურებენ, აგამაღლებენ... განურჩევლობა წახალისდა. ცუდია ეს. ძალიან ცუდია. პოლიტიკური და საზოგადოებრივი ასპარეზი კვლავ პრივატიზებულია. ჩაკეტილია. დახურულია. ვერ არღვევ ამ ჩაკეტილ წერს. ცხოვრობ ქვეყანაში, სადაც არ გხედავენ... ვერ გამჩნევენ... არ გაღიარებენ... ამბრაზურასავით რომ გადაეფარო სამშობლოს, მაინც ტალახში გაგსვრიან... არ შერცხვებათ არც შენი და არც საკუთარი თავის. ისიც არ ემეტებათ, რომ ნაძალადევის საარჩევნო ოლქში ადგილი სხვა პოლიტიკური ძალის წარმომადგენლებს დაუთმონ... ის ერთი ადგილიც თვითონ უნდათ... ამიტომ კიდევ ერთი პარლამენტარი (სტერილური) დაუმსახურებლად მოხვდება საკანონმდებლო ორგანოში. მოხვდება ბატონი ბიძინას ზურგით და არა საკუთარი რესურსით. ქვეყანა კვლავ გალიას ემსგავსება, გამოფხიზლდით... გახსენით ამ გალიის გისოსები... ყველასთვის გახსენით... თორემ გაირკვევა, რომ ბოლოს თქვენ ხართ მარტო ამ გალიაში, ხოლო ქართველი ხალხი გარეთაა...“

„ნიუს პლუსი“

გიორგი ისაკაძე სამთვიან დუმილს არღვევს

მაია მიშელაძე
593-51-90-12

„ვერსიასთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში, გიორგი ისაკაძე, სამთვიან დუმილს არღვევს და ყველა იმ დეტალზე საუბრობს, რაც საზოგადოებას აინტერესებს — რა მოხდა „ქართუ ბანკთან“, „იმედთან“, „აგარის შაქართან“ დაკავშირებით, რატომ მოიხადა ბოდიში და რატომ წავიდა ბიზნესიდან. გიორგი ისაკაძემ, მის მიერ დაარსებული მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაციაც დატოვა და, როგორც „ვერსიას“ ექსკლუზიურად გაუმხილა, თანამოაზრეებთან ერთად, დოკუმენტურ მასალაზე მუშაობს. მათ შორის, საპრეზენტაციო ვიდეოფილმზე, რომელსაც ფართო აუდიტორიას უახლოეს მომავალში გააცნობს. გულწრფელია, არ მალავს, რომ როგორც „ქართუს“ კრედიტორმა, შეცდომა დაუშვა, მაგრამ გული სწყდება, რომ არავის, მათ შორის, არც შინაგან საქმეთა სამინისტროში, აღარ ახსოვს, შეძლებისდაგვარად, როგორ იცავდა „ქართუს“ ინტერესებს წელიწადნახევრის განმავლობაში. სხვათა შორის, ამის დამამტკიცებელი მასალებიც არსებობს — ტელე-ინტერვიუები „მაესტროსა“ და „მეცხრე არხზე“. აი, ამ მასალებს მოუყრის თავს და მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ამნეზირებულ საზოგადოებას“ წარუდგენს. ექსკლუზიურ ინტერვიუს კი „ქართუ ბანკის“ თემით, უფრო ზუსტად, იმ კორუფციული სქემის განხილვით ვიწყებთ, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტრომ, 2012 წლის 17 დეკემბერს გააცნო საზოგადოებას და რომელიც „ვერსიაში“ ვრცლად მაშინვე გავაშუქეთ. 2012 წლის 27 დეკემბერს, გიორგი ისაკაძემ გამოსამშვიდობებელი წერილი დაწერა და ვიდრე დაკითხვაზე შევიდოდა, მედიასაშუალებებს დაუტოვა, რომელიც ყველამ ისე გაიგო, როგორც აწყობდა.

— მხოლოდ ორმა-სამმა გამოცემამ შეძლო, ეს განცხადება ისე გაევრცელებინა, როგორც დავწერე. „ქართუსთან“ დაკავშირებით, ჩემი, როგორც კრედიტორის თანამონაწილეობა, ორჯერ ორი ოთხივითაა, ამიტომ გარკვეულ უხერხულობას მაშინაც ვგრძნობდი და დღესაც ვგრძნობ. ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში, ამ თემაზე ღიად ვსაუბრობ, მათ შორის, საგამოძიებო გადაცემებში, „მაესტროსა“ და „მეცხრე არხზე“. რატომ გაიგო საზოგადოებამ არაადეკვატურად? იმიტომ, რომ ამ წერილში ღიად დავაფიქსირე ჩემი პრეტენზია შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ, რომელმაც „ქართუს“ გაკოტრების სქემაში ჩემი თანამონაწილედ დასახელების გამო, რბილად რომ ვთქვა, იჩქარა. შსს-ს დღეს ისეთი რეიტინგი აქვს, ლამის როგორც საპატრიარქოს და ცხადია, ჩემი განცხადების ტირაჟირება არავის აწყობდა.

ისე კი, ადამიანურად მართლა განვიცადე, რადგან ძნელია, როდესაც რაღაც სქემაში მონაწილეობის გამო გდებენ ბრალს. დაიცადე, დალოცვილო, მეც დამკითხეთ და ჩემი პოზიციაც მოისმინეთ, იქნებ უარესს „ვაღიარებ“, გულწრფელად მაინტერესებს, თუ ამ სქემაში 23 ბიზნესმენი მონაწილეობდა, მათ შორის, სამი რა ნიშნით გამოარჩიეს? განცხადების მესამე პუნქტს, ანუ ჩემს პრეტენზიებს კომერციული ბანკების წლინახევრით დაგვიანებული განცხადების შესახებ, ხომ საერთოდ არავინ მიაქცია ყურადღება.

— გიორგი, შსს-ს გავრცელებულ სქემაში ერთი ფრაზა მენიშნა: „შემოსავლების სამსახურის უფროსმა, ჯაბა ებანოიძემ, იუსტიციის მინისტრის ზურაბ ადეიშვილის დავალებით, ნაციონალურ მოძრაობასთან დაახლოებული ბიზნესმენები დაიბარა“... ბოლო ორი წლის მანძილზე, რაც „მცირე და საშუალო მეწარმეთა ასოციაციას“ ხელმძღვანელობთ, არ მახსენდება, რომ წინა ხელისუფლებასთან მაამებლურ ურთიერთობაში იყავით, საკმაოდ მწვავე განცხადებებით გამოირჩეოდით...

— არ ვიცი, რას ნიშნავს, თვითონ ახსნან, რადგან ეს მეც მაინტერესებს. აგვიხსნან, რატომ დაასახელეს მხოლოდ სამი გვარი — ცეზარ ჩოჩელი, ლაურა ღაჭავა და გიორგი ისაკაძე და არა სხვები. თუ მიზეზი ის არის, რომ ერთადერთი ბიზნესმენი ვიყავი, რომელიც თითქმის ყველა ეკონომიკურ თემაზე აქტიურობდა, ვიღაცისთვის კრიტიკულად, ვიღაცისთვის — მაამებლურად, არ ვიცი, მაგრამ თუ ვიღაცასთან ვასოცირდებოდი, ამის დამამტკიცებელი კონკრეტული ფაქტები მჭირდება.

პირდაპირ გეუბნებით, მირჩევნია, ციხეში ვიჯდე, ვიდრე ჩემი რეპუტაცია შელახონ და ამას პიარის გამო არ ვამბობ. ყველაფერს დასაბუთება სჭირდება და ამ დასაბუთებას მოვისმენ, რასაც ჩემს სიმართლეს დავუპირისპირებ, მაგრამ გარწმუნებთ, ამ თემაზე სასამართლოში აუცილებლად ვიდავებ და ეს გარდაუვალია! 17 დეკემბერს შსს-მ სქემაში მონაწილეობა დამაბრალა, მეორე დღეს კი მედიასაშუალებებში ვკითხულობ, რომ თურმე „ქართუ ბანკთანაც“ მოვილაპარაკე, მაპატიეთ, მაგრამ საქართველოში ფიზიკურად არ ვიმყოფებოდი. ისე დამადანაშაულეს და 36 საათში, ისე მომარიგეს კიდეც ბანკთან, რომ ფიზიკურად არაფერთან შეხება არ მქონია და არც დავკითხულვარ!

თუ ეს ყველაფერი იმით აიხსნება, რომ ვაქტიურობდი და ასოციაციის ფარგლებში, ხშირად მიწევდა შეხვედრები სახელმწიფო უწყებებში, მაშინ მაინტერესებს, ისევ რომ ამ ასოციაციაში ვიყო და კვლავინდებურად ამ შეხვედრების ორგანიზებით ვიყო დაკავებული, ახლა უკვე, „ქართულ ოცნებასთან“ სიახლოვეში დამდებდნენ ბრალს? ესე იგი, ბიზნეს-ასოციაციში უნდა ვიყო „მარადმწვანე ხესავით“ და იქიდან არავინ უნდა დამძრას? ჩემი პერსონიდან გამომდინარე, ბუნებრივია, მიწევდა საქმიანი თანამშრომლობა და კონტაქტი წინა ხელისუფლების ბევრ მაღალჩინოსანთანაც, მათ შორის, ზოგიერთი დღეს საქართველოში არ იმყოფება. ბიზნეს-ასოციაცია დიდი ხნის წინ დავტოვე და თქვენ მაინც იცით, რომ ეს 2011 წლის 7 ოქტომბერს მოხდა, რადგან ეს ინფორმაცია ექსკლუზიურად სწორედ თქვენ გამოაქვეყნეთ „ვერსიაში“. ეს ის დღე იყო, როდესაც ბიძინა ივანიშვილმა განცხადება გააკეთა პოლიტიკაში შემოსვლასთან დაკავშირებით, ჩემი წამოსვლა ნამდვილად არ დამიმთხვევია, რადგან ბიზნეს-სოციაციამ ეს ყრილობა ორი თვით ადრე დაგეგმა. ამის შემდეგ, რამდენიმე სხვა ბიზნეს-ასოციაციასა და თანამოაზრესთან ერთად, გავაკეთე მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაცია, რადგან მიმაჩნდა და ახლაც მიმაჩნია, რომ ამ სეგმენტს განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება. მხოლოდ ბოლო 9 წლის კი არა, 17 წლის განმავლობაში, საკმაოდ აქტიური ვარ, ნაწილი — კომერციულ სექტორში, ნაწილი — სახელმწიფო უწყებაში გავატარე და ამის გამო, შესაძლოა, დამატებითი კითხვებიც გაჩნდეს.

— ამ 17 წლის მანძილზე, ჯერ ანტიმონოპოლიურ სამსახურს ხელმძღვანელობდით, შემდეგ სახელმწიფო მინისტრის თანაშემწე იყავით, ბოლოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე, „ვარდების რევოლუციის“ დღეს, 2003 წლის 23 ნოემბერს, ახალ ხელისუფლებას კანცელარიაში, პეტრე მამრაძესთან ერთად დახვდით... იქნებ, ეს არის მიზეზი, რომ გარკვეულ ძალებთან ასოცირდებით?

— სხვათა შორის, პიროვნულთან დაკავშირებით, არანაირი პრობლემა და გართულება არ მაქვს საზოგადოების ამნეზიასთან. ჩემთვის გაცილებით პრობლემატურია კონკრეტულ საქმეებთან დაკავშირებული ამნეზია, მაგალითად, „ქართუსთან“ მიმართებაში. იმის თქმა, რომ წელიწადნახევრის განმავლობაში, „ქართუზე“ პოზიცია არ გამომიხატავს, უნამუსობაა, რადგან ერთადერთი ფიგურანტი, რომელიც „ქართუს“ თემაში იყო ჩართული ბიზნეს-სექტორიდან, მეც გახლდით, თუ არ ჩავთვლით ამ ბანკის მენეჯმენტს, რომელიც ისედაც ვალდებული იყო, ამ თემებზე ესაუბრა. პირობას გაძლევ, რომ ამაში საზოგადოება აუცილებლად დარწმუნდება. იმას მაინც ვეღარ დამაბრალებენ, ისაკაძემ ეს ფაქტები გამოიგონაო, რადგან შეუძლებელია, დავდგა სცენა, თუ რას ვამბობდი წელიწადნახევრის წინ, მაგალითად, გადაცემა „პოლიტმეტრში“, ან რა ინტერვიუ მაქვს მიცემული „მეცხრე არხის“ საგამოძიებო გადაცემებისთვის, ეს ხომ ფაქტობრივი მასალებია! ახლა ამ ყველაფერს, ჩემს უცხოელ ადვოკატებთან ერთად, ღამაზად ვუყრი თავს, რასაც კვლევის სახეს მივცემ.

პიროვნულ ნაწილში პრობლემა არ მაქვს, რადგან „ნაციონალებისთვის“ შევარდნაძისდროინდელი, „ბნელი და უკუნის“ წარმომადგენელი ვიყავი, „ოცნებისთვის“ კი, როგორც ჩანს, ნაციონალებთან“ დაახლოებული ბიზნესმენი ვარ. ვისაც რა უნდა, ის იფიქროს, მაგრამ ერთი რამ ვიცი, გარკვეული შეცდომებია დაშვებული, რაზეც გამართული პასუხები მჭირდება, რადგან არ დავუშვებ, ისეთ ფაქტებში დამადანაშაულონ, რაშიც მონაწილეობა არ მიმიღია! ამაზე ლაპარაკს ვერავინ დამასწრებს და ამიტომ ნურავინ ჩათვლის, რომ პიარ-აქტივობა დავიწყე, რადგან ეს ასე არ არის. სრულიად გულწრფელად ვაცხადებ, ამ კვირაში ერთადერთი გამონაკლისი დავუშვი „ვერსიისთვის“, რადგან თქვენი მუდმივი რესპოდენტი ვიყავი და ორთვენახევრიანი პაუზის შემდეგ, მკითხველს იმ გაზეთით ვუბრუნდები, რომელიც ზუსტად იმ სეგმენტზეა გათვლილი, ყველაფერს რომ ზუსტად გაიგებს!

დასასრული მე-8 გვერდზე

რუსმა სპეციალისტებმა გაგრაში ორი გვირაბი აღადგინეს

გაგრაში შემოვლითი გზის ორი გვირაბი ექსპლოატაციაში შევიდა. ინფორმაციას ამის შესახებ რუსული მედია ავრცელებს. მათივე ცნობით, ეს გვირაბები ჯერ კიდევ 90-იანი წლების დასაწყისში აშენდა, თუმცა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დროს ხიდი, რომელიც გვირაბებამდე მიდიოდა, ააფეთქეს და მას შემდეგ გვირაბები მწყობრიდან იყო გამოსული. ერთი გვირაბის სიგრძე 1256 მეტრია, მეორისა — 842 მეტრი. ორივე გვირაბი აფხაზეთისთვის გამოყოფილი რუსული სახსრებით, რუსმა სპეციალისტებმა აღადგინეს.

გაგრის ე.წ. ადმინისტრაციის უფროსის, გრიგორი ენიკის განცხადებით, გვირაბები საგზაო მოძრაობას განტვირთავს და საცობებისგან თავის არიდების საშუალება იქნება. ორივე გვირაბი თანამედროვე სისტემებითაა აღჭურვილი.

„ჯი-ეიჩ-ენი“

ბაჩო ახალაია და მასთან ერთად ბრალდებულები თანახმა არ არიან, მათი საქმე ნაფიცმა მსაჯულებმა განიხილონ

თავდაცვის ყოფილი მინისტრი ბაჩო ახალაია და მასთან ერთად ბრალდებულები თანახმა არ არიან, მათი საქმე ნაფიცმა მსაჯულებმა განიხილონ. ამის შესახებ ბრალდებულებმა განაცხადეს თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე წინასასამართლო სხდომაზე, რომელსაც მოსამართლე ეკა არეშიძე უძღვებოდა. აღნიშნულ პროცესზე, ბაჩანა ახალაიასთან ერთად, გიორგი კალანდაძის, ალექსანდრე გორგაძის, ზურაბ შამათავას, მერაბ კიკაბიძის, მანუჩარ დარასელიასა და გიორგი კინწურაშვილის საქმეები განიხილება, თუმცა მათგან დარასელია და კინწურაშვილი მიმალვაში არიან და პროცესს არ ესწრებიან.

მოსამართლემ ბრალდებულებს დეტალურად განუმარტა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს შესახებ და აღნიშნა, რომ ბრალდებულების თანხმობის შემთხვევაში, საქმე განსახილველად სწორედ მათ გადაეცემოდათ, თუმცა ყველა ბრალდებულმა განაცხადა, რომ ისინი თანახმა არ არიან. გარდა ამისა, სხდომაზე პროკურორებმა საკუთარი პოზიცია დააფიქსირეს დაცვის მხარის იმ შუამდგომლობასთან დაკავშირებით, რომლის თანახმადაც, მათ ბრალდებულების მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ იშუამდგომლეს. აღნიშნულ შუამდგომლობას პროკურორები არ ეთანხმებიან. ამასთან, მათი თქმით, ერთ-ერთი ბრალდებული ალექსანდრე გორგაძე იყო საჯარო მოხელე და მასზე ვრცელდებოდა კანონი საჯარო სამსახურის შესახებ.

პროკურორის მხრიდან ამ პოზიციის დაფიქსირების შემდეგ სიტყვა ახალაიამ ითხოვა, რომელმაც განაცხადა, რომ პროკურორები საქმის აზრზე არ იყვნენ. მისი თქმით, გორგაძე იყო კონტაქტით აყვანილი და მასზე ვრცელდებოდა არა კანონი საჯარო სამსახურის შესახებ, არამედ მის უფლებამოვალეობებს არეგულირებდა სამხედრო სამსახურის გავლის კურსის შესახებ კანონი.

მოსამართლე ეკა არეშიძემ არ დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა იმასთან დაკავშირებით, რომ ბრალდებულების მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა შეწყვეტილიყო. მოსამართლის გადაწყვეტილებით, მოცემულ შემთხვევაში, ბრალდების მხარის მტკიცებულებები საკმარისია და ალბათობის მაღალი ხარისხით იძლევა საფუძველს, ბრალად შერაცხული დანაშაული ბრალდებულებმა ჩაიდინეს და შესაბამისად, არ არსებობს საფუძველი, სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ. მოსამართლის ამ გადაწყვეტილებას დარბაზში პროტესტი მოჰყვა და დამსწრე საზოგადოებამ დარბაზი პროტესტის ნიშნად დატოვა. საქმის არსებითი განხილვა 18 მარტს, 12:00 სთ-ზე ჩაინიშნა.

„პირველი“

სურსათის ეროვნული სააგენტო ახალ ჯარიმებს აწესებს!

ნინო ხარშილაძე
599-55-63-56

სურსათზე კონტროლის მექანიზმები მკაცრდება. ახალი მთავრობის ოფიციალური ბრძანებით, სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სურსათის ეროვნული სააგენტოს თანამშრომლებით დაკომპლექტებულმა ჯგუფმა, ახალი კოდექსის სამუშაო ვერსია შეიმუშავა, რომელიც მალე პარლამენტს დასამტკიცებლად გადაეგზავნება. კონტროლის რა ახალი მექანიზმები ამოქმედდება ხარისხიანი სურსათის უზრუნველყოფის მიზნით, ამის გასარკვევად „ვერსია“ სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის მოადგილეს, თენგიზ კალანდაძეს ესაუბრა.

— 2012 წელს ჩვენ მივიღეთ ერთიანი კოდექსი, რომელმაც გააერთიანა სამი ძირითადი დარგი: სურსათის უვნებლობა, მცენარეთა და ცხოველთა დაცვა, თუმცა აქ გაერთიანდა 7 კანონი. ახალი მთავრობის მოსვლის შემდეგ კი, შეიქმნა კოდექსის სამუშაო ვერსია, რომელსაც მალე პარლამენტი განიხილავს.

— დღეს მოუწესრიგებელია ბაზარი, რა ცვლილებებია მოსალოდნელი?

— ჯარიმები მკაფიოდ არ გაიზრდება, თუმცა რამდენიმე ახალი საჯარიმო სანქცია ემატება. არ შეიძლება უსაბუთო ხორცის რეალიზაცია, ამაზე 1000-ლარიანი ჯარიმა იქნება. ასევე ჯარიმა დაწესდება იმ შემთხვევაშიც, როდესაც მეწარმე ხელს გვიშლის, არ გვიშვებს ობიექტზე და ჩვენს ინსპექტორს არ აძლევს ინფორმაციას. ჯარიმა დაწესდება, თუ მეწარმე არ არის დადგენილი წესით რეგისტრირებული და არა აქვს უფლება, ბაზარზე ოპერირება მოახდინოს. ასევე ჯარიმა წესდება, თუ მეწარმე ბაზარზე მავნებელ პროდუქტს განათავსებს, ამის შესახებ იცის და უკან არ გამოითხოვს ან გამოითხოვს და ჩვენ არ შეგვატყობინებს.

— დაახლოებით, 8 წლის წინ, სავაჭრო ობიექტებში ინსპექტირება და სანიტარული კონტროლი გაუქმდა, მხოლოდ მონიტორინგი კეთდებოდა, აპირებთ კონტროლის აღდგენას?

— ყოველთვის სავალდებულო იყო ინსპექტირება იმისა, დაცულია თუ არა მაღაზიებში სურსათის შენახვის პირობები, ვადები და ასე შემდეგ. მთავარი ის კი არ არის, ჯარიმები გავზარდოთ, მთავარია, აღსრულების მექანიზმი და თუ პოლიტიკური ნება გვექნება, ამას მასშტაბურად განვახორციელებთ.

— იმპორტირებულ პროდუქტზე რა ხდება, ხშირად სწორედ შემოტანილი პროდუქტია საკვებად უვარგისი?

— იმპორტირებული პროდუქცია ორმაგ კონტროლს გადის. საბაჟო დეპარტამენტი საზღვრის გადმოკვეთის დროს ამოწმებს, მერე კი ჩვენ ვამოწმებთ. ათასობით ტონა კარტოფილი თურქეთიდან უკან გავაბრუნეთ მიუხედავად იმისა, რომ საბუთები და სერტიფიკატი ახლდა. ჩაუტარეს ლაბორატორიული კვლევა და დადასტურდა, რომ პროდუქცია უვარგისი იყო. თურქეთის მხარემ კი აღიარა, რომ მათი მხრიდან ამ კარტოფილს ყალბი საბუთები ახლდა.

— დღეს მთელ ევროპაში მიმდინარეობს იმპორტირებული ხორცის ინსპექტირება, საქართველოშიც ბევრს საუბრობენ გაყინული ხორცის ვარგისიანობაზე, თუ გაქვთ რაიმე ინფორმაცია ამის შესახებ?

— აშშ-ს, კანადისა და ევროკავშირის ქვეყნებიდან შემოსულ პროდუქტს დიდი კონტროლი არ სჭირდება. თუ ხორცი შემოსულია მესამე ქვეყნებიდან: ინდოეთიდან, თურქეთიდან, არგენტინიდან, ბრაზილიიდან, სომხეთიდან ან აზერბაიჯანიდან, ასეთ შემთხვევაში ქართველი ინსპექტორები მიდიან იმ ქვეყანაში და საწარმოს ინსპექტირებას ახდენენ. ამოწმებენ იმ საწარმოს სანიტარულ-ჰიგიენურ მდგომარეობას. როდესაც დაიდება დასკვნა, რომ ქარხანა აკმაყოფილებს ჩვენი კანონის მოთხოვნებს, პროდუქციის შემოტანის უფლებას ვაძლევთ.

— ქართული ბაზარი გაჯერებულია სხვადასხვა წარმოების ძეხვეულით, რომლის ფასიც ხშირ შემთხვევაში 2 ლარია მაშინ, როცა ხორცი 15 ლარი ღირს. როგორ აპირებთ შებოლილი ნაწარმისა და ძეხვეულის გაკონტროლებას, უმეტესწილად, ხომ სწორედ ეს პროდუქტია ჯანმრთელობისთვის საშიში?

— ძეხვეული იაფი იმიტომ ღირს, რომ ჩინეთშია უზარმაზარი საწარმოები, სადაც დღეში 5000 ძროხას კლავენ, რომელსაც აქვს გარკვეული ანაჭრები ანუ ისეთი ხორცი, დახლზე რომ არ გაიყიდება. ეს ჩვეულებრივი, კარგი ხორცია, მაგრამ ფარშისთვის და ძეხვის დასამზადებლად გამოიყენება, ამიტომაც ღირს იაფი.

რასაკვირველია, ძეხვეულის დამამზადებელი საწარმოების კონტროლსაც ვახორციელებთ, მაგრამ ყველა კუსტარული საამქრო შემოწმებული არ გვაქვს, რადგან ეს ფიზიკურად შეუძლებელია. დღეს, საქართველოს მასშტაბით, სულ 30 ინსპექტორი გვყავს და 44 000 საწარმოა დარეგისტრირებული, ამიტომ მათი ინსპექტირება შეუძლებელია. სამომავლოდ, თანამშრომელთა რაოდენობა 50 ერთეულით გაიზრდება და შემოწმებას მაღალი რისკის საწარმოებით დავიწყებთ. საჯარო რეესტრიდან მოგვეწოდება ბაზა, არის თუ არა დარეგისტრირებული ესა თუ ის საწარმო, თუ ისინი დაჯარიმების შემდეგაც არ დაგვემორჩილებიან, კუსტარული საწარმოს მუშაობას შევაჩერებთ, შემდგომი დაუმორჩილებლობის შემთხვევაში კი, ობიექტს ფინანსურ პოლიციასა და პროკურატურას გადავცემთ.

— რა მდგომარეობაა რუსულ ბაზარზე ქართული პროდუქციის დაბრუნებასთან დაკავშირებით?

— პირველი ჯგუფის ვიზიტი უკვე დასრულდა. ონიშჩენკოც კმაყოფილია ამ ვიზიტით. ჩვენს საწარმოებში მათ ჰქონდათ მცირედი შენიშვნები, მაგრამ ქართული ღვინო ასულია ევროპულის კონდიციამდე და შეუძლია, თამამად მოიცვას რუსული ბაზარი.

— მაინც რა შენიშვნები ჰქონდათ?

— როდესაც ქარხნები გლეხისგან ყურძენს იბარებენ, კარგად კონტროლირებადი უნდა იყოს, რა სასუქები გამოიყენა გლეხმა. რასაკვირველია, ამის კონტროლი ისედაც იოლია ლაბორატორიების წყალობით, მაგრამ დოკუმენტს მაინც ითხოვენ!

— თუ მიდის მოლაპარაკება სხვა პროდუქციის რუსულ ბაზარზე დასაბრუნებლად?

— ამ ეტაპზე, გარკვეულია ღვინის, სხვა ალკოჰოლური სასმელისა და წყლის ექსპორტის საკითხი, რაც შეეხება დანარჩენ პროდუქციას, რუსეთის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამსახურის ხელმძღვანელის სახელზე გამზადებული გვაქვს წერილი, რათა ამ საკითხზეც შედგეს შეხვედრა, თუმცა ქართული პროდუქციის რუსულ ბაზარზე დაბრუნება პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული.

ექსკლუზიური ვერსია

გიორგი ისაკაძე სამთვიან დუმილს არღვევს

მე-7 გვერდიდან

პირდაპირ გეტყვით, ამ საზოგადოებაზე მაღალი აზრის არ ვარ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ ყველა დროსა და ფორმაციაში, ეს არის ამნეზიური საზოგადოება, რომელიც ხშირ შემთხვევაში, წლიდან წლამდე, ან 4 წლიდან — 4 წლამდე ცხოვრობს და იცვლის პოზიციას. ჩემთვის პრობლემატური თემები ნამდვილად არსებობს, რაც მაწუხებს, თუნდაც ის 6 თვე, რომელიც „ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპში“, ანუ ტელეკომპანია „იმედში“ გავატარე, რთული გასახსენებელია, მაგრამ ეს მე უკვე ვთქვი გადაცემაში — „სუბიექტური აზრი“, თანაც დიდი ხნით ადრე, ვიდრე ეს თემა გააქტიურდებოდა. ეს თემა მაშინაც მაწუხებდა, როდესაც 40-წუთიანი ტელე-ინტერვიუ მივეცი და დღესაც მაწუხებს, მაგრამ ცალკარა თამაშს არ მივიღებ!

— „იმედზე“ აუცილებლად გკითხავთ, მაგრამ ჯერ „ქართუს“ თემა ამოვწუროთ, სინამდვილეში, რა მოხდა, უფრო ზუსტად, ზურაბ ადეიშვილის მითითებით, ჯაბა ებანოიძემ რისი გაკეთება გაიძულათ?

— მოდი, პირდაპირ გეტყვით, იძულებას რომ ადგილი ჰქონოდა, საბოდიშოც არაფერი მექნებოდა. ამ საქმეში ბევრი ისეთი დეტალია, რომელზე საუბარი, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, არ მინდა, მაგრამ ფაქტია, შემოსავლების სამსახურთან კონტაქტში ვიყავი!მიუხედავად ამისა, ერთმნიშვნელოვნად გეუბნებით, რომ ის კლასიკური სქემა, რაც „ქართუსთან“ მიმართებაში შეიმუშავეს, როდესაც ამ ბანკის კრედიტორებს, ქონება გარკვეული ფასდაკლებით დაუბრუნდათ, ჩემთან ასოცირებულ კომპანიებთან მიმართებაში, ეს სქემა არ ამოქმედებულა. ქონება უკან არ წამოგვიღია, ერთადერთი, რაც შევძელი ის იყო, რომ ჩემი დაჟინებული მოთხოვნით, მობინადრეებს, რომლებსაც სამშენებლო კომპანია — შპს „ლოგოსში“, თანხები გადახდილი ჰქონდათ, ფართები კეთილსინდისიერად შეიძინეს და მათ შორის, ჩემი ნათესავებიც არიან, ჩემი დაჟინებული მოთხოვნით, მათი ინტერესები არ დაზარალებულა. ერთადერთ კითხვას ვსვამ, თუ ამ სქემაში ვმონაწილეობდი, ის ქონება, რომელიც ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზე იყო და რომელიც 2012 წლის 3 ოქტომბერს, თბილისის მერიას გადასცეს, უკან რატომ არ დამიბრუნდა? ან თუ სრულ გარიგებაში ვიყავი, რატომ ირიცხება დღემდე ამ კომპანიებზე ის დავალიანებები, რომელთა გამოც „ქართუს“ წინააღმდეგ გარიგებაში მადანაშაულებენ?

— ერთი წუთით, ამხანაგობა „თეთრი სახლი“ და შპს „ლოგოსი“ ანუ „ქართუ ბანკის“ კრედიტორი კომპანიები, რომლებითაც ბიძინა ივანიშვილის კუთვნილი ბანკის გაკოტრების სქემაში მონაწილეობდი, ახლა თბილისის მერიის საკუთრებაშია?

— სახელმწიფოს საკუთრებაშია, მაგრამ რეალურად, ქონება, რომელიც სხვადასხვა შეფასებებით, 5 000 000-დან 8 000 000 აშშ დოლარამდეა, თბილისის მერიის ბალანსზეა. თუ ამ სქემაში მონაწილეობას ვიღებდი, იმას მაინც ვერ მოვახერხებდი, რომ მოსახლეობის ინტერესებიც დამეცვა და ეს ქონებაც ჯიბეში ჩამედო? ღიად ვამბობ, ერთ-ერთი თემა, რაზეც ახლა ჩემს უცხოელ იურისტებთან ვმუშაობ ის არის, ამ ქონების დაბრუნების მოტივით, თბილისის მერიას ვუჩივლო! სხვათა შორის, „ლოგოსს“ მძიმე ისტორია აქვს, რამდენჯერმა გაიყიდა სხვადასხვა ბიზნეს-ჯგუფებზე, შეიცვალა პარტნიორები და დეტალებზე ჯერ ვერაფერს გეტყვი, მაგრამ თავის დროზე, „ლოგოსის“ თანხებით, სტადიონის რეკონსტრუქციის პროექტიც კი დაფინანსდა და მეტი რა გითხრა!

— „ჯორჯიან მედია პროდაქშენ გრუპთან“ დაკავშირებით, რა პრობლემა შეგექმნათ, ან რა აინტერესებს გამოძიებას?

— იმ 6 თვის მანძილზე, როდესაც დე იურე „იმედის“ ჰოლდინგში ვმუშაობდი, ჩემი საქმიანობა, ძირითადად, ამ სტრუქტურის ფინანსურ-ეკონომიკური მიმართულებით შემოიფარგლებოდა. იქნებოდა ინვესტიციების მოზიდვა, სხვადასხვა ტენდერებში მონაწილეობა, მათ შორის სახელმწიფო ტენდერებშიც, თუ მარკეტინგული აქტივობა. გამოძიებას უკვე ვუთხარი და შენც გიდასტურებ, რომ რიყის ტერიტორიის გასხვისების საკითხი, რაც გამოძიებას აინტერესებდა, საერთოდ არ მეხებოდა.

ვიდრე ტელეკომპანია „იმედის“ თემა წამოიწევდა და ამას ექსკლუზიურად გეუბნებით, „ქართუს“, „იმედისა“ და „აგარის შაქრის“ თემაზე, ჩემს უცხოელ ადვოკატებს გადავეცი ყველა მასალა, რათა ნახონ და დარწმუნდნენ ჩემს პოზიციებში. მხოლოდ გამოძიებას ვუთხარი და ახლა თქვენც გეუბნებით, ორი თვეა, ამ თემებზე ჩემი ადვოკატები აქტიურად მუშაობენ, სამივე თემაზე ვიდეო-ჩვენება უკვე მივეცი ინგლისურ ენაზე და მათი დაჟინებული თხოვნით, იგივე ქართულ ენაზეც ჩავწერე. ეს მასალები რამდენიმე ადგილზე ინახება, რაც აუცილებლად მიიღებს კვლევის, პრეზენტაციისა და სარჩელის სახესაც კი.

— გოჩა ძასოხოვთან რა ურთიერთობა გაქვთ და საერთოდ, რა ხდება „აგარის შაქართან“ დაკავშირებით?

— გოჩასთან დაკავშირებითაც იგივე ხდება, რაც სხვა თემებთან მიმართებაში, რადგან „გაცოცხლდნენ“ სხვადასხვა ადამიანები, რომლებსაც გოჩა 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ „შეუყვარდათ“. მასთან ურთიერთობა არასდროს გამიწყვეტია. ეს თემა ახლა იმიტომ გააქტიურდა, რომ გოჩა ძასოხოვი და ჯოზეფ კეი პარტნიორები იყვნენ და მთლიანი ქონების 50-50%-ს ფლობდნენ. ბოლოს ეს ქონება პარტნიორებმა გაიყვეს და ამ პროცესში სამი უმსხვილესი ბანკი იყო ჩართული, მათ შორის „ქართუც“, რადგან საბოლოო ჯამში, გოჩა ძასოხოვმა და ჯოზეფ კეიმ, დაახლოებით 14 კომპანია გადაინაწილეს. და ამ „გადანაწილებაში“ მოჰყვა „ლოგოსიც“, რომლის საკრედიტო დავალიანება „ქართუს“ წინაშე, სწორედ ამ პერიოდიდან იღებს სათავეს. მათ შორის იყო სამი გადამამუშავებელი ქარხანა, რომლებიც სხვადასხვა სახეობის ხილსა და ბოსტნეულს ამუშავებდნენ, ამ ქონებაში შედიოდა ვაშლისა და მანდარინის კონცენტრატების დამამზადებელი ქარხნები, ასევე სასტუმრო „ივერია“ ქობულეთში. გარდა ამისა, საჩოგბურთო კორტები თბილისში, სადაც დღეს იუსტიციის სახლია აშენებული. ზუსტად იმ პერიოდში განხორციელდა „დინამოს“ რეკონსტრუქცია, რომელიც 20 000 000 ლარამდე დაჯდა, რამაც სხვა ბიზნეს-კომპანიებზე, მათ შორის, „ლოგოსსა“ და „აგარის შაქარზე“ უარყოფითად იმოქმედა.

რუსეთი საქართველოს გივი თარგამაძის დაკავების მოთხოვნას გაუგზავნის

რუსეთის ხელისუფლება უახლოეს პერიოდში, საქართველოში დეპუტატ გივი თარგამაძის დაკავების მოთხოვნას გამოგზავნის. ამის შესახებ „ინტერფაქსი“ წყაროზე დაყრდნობით წერს.

„როგორც კი ინტერპოლი ოფიციალურად დაადგენს ქართველი პოლიტიკოსის ადგილსამყოფელს და საქმის კურსში ჩააყენებს რუსეთის გენერალურ პროკურატურას, თბილისში ოფიციალური მოთხოვნა გაიგზავნება მისი დაკავების შესახებ“, — განუცხადა წყარომ „ინტერფაქსს“.

მისივე განმარტებით, საერთაშორისო სამართლის თანახმად, საქართველოს მთავრობა ვალდებული იქნება, დააკავოს საერთაშორისო ძებნაში მყოფი პირი, ხოლო შემდეგ, განიხილოს მისი გადაცემის საკითხი.

ამასთან, სააგენტო აღნიშნავს, რომ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მთავრობა დააკავებს გივი თარგამაძეს და შესაბამის უწყებას მიიღებს რუსეთის გენერალური პროკურატურა, მოსკოვი ქართველი დეპუტატის ექსტრადიციას მოითხოვს.

გივი თარგამაძე რუსეთში მასობრივი არეულობების ორგანიზებაშია ბრალდებული. მოსკოვის ბასმანის სასამართლომ მას დაუსწრებლად პატიმრობა შეუფარდა.

„ინტერპრესნიუსი“

გიორგი სუხიტაშვილის სკანდალური ინტერვიუ

თამარ ლომსაძე
568-34-44-94

„გული მერევა რაღაცებზე, მეზიზღება ბევრი რამ, ყველაფერს ეკარგება აზრი. ხშირად, მართლაც რომ ფურთხის ღირსია საქართველო, თუმცა „ჩვენისთანა ბედნიერი...“ ჰმ, იმ ერთ მერცხალსაც მ....ნ ის სურვილი, რომელსაც ჭიკჭიკით სურს გაზაფხულის მოყვანა... მაპატიეთ, ცენზურას ზურგი ვაქციე... ვიდრე გამკიცხავდეთ, ჯერ საკუთარ თავში ჩაიხედეთ... სტატუსის ახსნას ნუ მოითხოვთ, ბევრ რამეზე შეიძლება მისი მიბმა!“

— ეს მომღერალ გიორგი სუხიტაშვილის სტატუსი გახლავთ, რომელიც სოციალური ქსელის საკუთარ გვერდზე დაწერა და რომელიც ერთ-ერთმა პერიოდულმა გამოცემამ სტატიისთვის გამოიყენა. ამ ამბავს მოყვა სკანდალი, მერე პრესკონფერენცია, სადაც მომღერალი ბოდიშის მოხდას ითხოვდა იმის გამო, რომ მის სიტყვებს პოლიტიკური დატვირთვა მისცეს და „მკითხველიცა და საზოგადოებაც შეცდომაში შეიყვანეს“. თუ არ მოიბოდიშებენ, აუცილებლად ვიჩივლებო, — აცხადებს

გიორგი სუხიტაშვილი **და იმ ადამიანებს პასუხობს, ვინც ფიქრობს, რომ იგი აწ უკვე ყოფილი ხელისუფლების პრივილეგიებით სარგებლობდა, საქართველოში არსებულ ფსევდოქველმოქმედებაზეც საუბრობს და აგვისტოს ომსაც იხსენებს, რომელიც მისთვის ჯერ არ დასრულებულა.**

„თუ ვინმეს აქვს ერთი ადგილი, მოვიდეს და მითხრას, რომ მე ფული ვთხოვე ან მაშინდელმა ხელისუფლებამ თანხა ჩამირიცხა!“

— ვიღაცებისთვის ომიდან ხუთი წელი გავიდა, ჩემთვის კი ეს დრო არაფერს ნიშნავს. იმ ადამიანებმა, ფსევდონიმებით რომ წერენ რაღაცებს და ხალხს იარლიყებს აკერებენ, საინტერესოა, საერთოდ იციან, გორი და ცხინვალი სად არის? თუ რაღაც ემოციურად საკუთარ თავზე არ განიცადე, სხვისას ვერასოდეს გაიგებ. ომის შემდეგ ფსიქოლოგიურად მომენგრა ყველაფერი, ერთადერთი დადებითი ის იყო, რომ სტიმული მომეცა, „ჯეოსტარში“ გავსულიყავი და გამემარჯვა.

— მახსოვს, შენს გამარჯვებასაც ორაზროვანი შეფასებები მოჰყვა....

— კი, ახლაც საუბრობენ ვიღაცები, „ზევით“ გადაწყდა გიორგი სუხიტაშვილის გამარჯვებაო, მაგრამ ხაზგასმით მინდა ავღნიშნო — მუნიციპალიტეტიდან ერთი თეთრიც არ მიმიღია. მეტსაც გეტყვით — როდესაც ჩემი სკოლიდან მხარდამჭერები თბილისში უნდა ჩამოსულიყვნენ, მუნიციპალიტეტს ავტობუსი ვთხოვე, ლადო ვარძელაშვილმა გვითხრა, ოთხასი ლარია გათვალისწინებული, მაგრამ ამ ეტაპზე, ერთ თეთრსაც ვერ გავცემთო. მგონი, მხოლოდ მეხუთე კონცერტზე მოახერხეს დაფინანსება, ერთხელ ჩვენ ჩავასხით საწვავი. მაშინ არც დამიმალავს, რომ ამის გამო გავნაწყენდი — ქართლიდან პირველი ვიყავი, ვინც გაიმარჯვა და შეეძლოთ, მოელოცათ მაინც, ამის მაგივრად კი, მუნიციპალიტეტში იმ დროს ჩემი ნათესავი მუშაობდა და მისთვის საყვედური უთქვამთ, რატომ არ ჩერდება გიორგიო. ასე რომ, თუ ვინმეს აქვს ერთი ადგილი, მოვიდეს და მითხრას, რომ მე ფული ვთხოვე ან მაშინდელმა ხელისუფლებამ თანხა ჩამირიცხა! და როდესაც პრივილეგიებზე საუბრობენ, კარგი იქნება, ამას თუ გაითვალისწინებენ.

— სწორედ პრივილეგირებულებად მოიაზრებენ იმ მომღერლებს, რომლებიც „ვარდების ხელისუფლების“ პირობებში აქტიურად ჩანდნენ, მათ შორის შენც...

— ვერავინ იტყვის, რომ პრივილეგირებული ვიყავი, წინასაარჩევნოდ კი თითქმის ყველა მომღერალს იწვევდნენ ღონისძიებებზე... იცი, სამარცხვინოა, როცა ხელოვანი ადამიანი ელოდება არჩევნებს, რათა თავის საქმეში ანაზღაურება აიღოს. სწორად გამიგეთ, არავის სიამოვნებს რაღაც ლოგოს ქვეშ სიმღერა, მაგრამ არის გამოუვალი მდგომარეობა, როცა იძულებული ხარ, დათანხმდე. განა რამდენი კლუბია საქართველოში? ყველა ხომ ვერ იმუშავებს იქ?

— ისევე, როგორც ყველა ვერ გამოვა სამთავრობო ღონისძიებაზე...

— ადამიანებს პოლიტიკური ნიშნით ნამდვილად არ უნდა არჩევდე. საერთოდ, პოლიტიკა მეზიზღება, არ იფიქროთ, თითქოს პოზიცია არ გამაჩნია, მაგრამ ქვეყნის სიყვარული და პოლიტიკა, სხვადასხვა რამაა.

— „ლოგოს ქვეშ“ სიმღერა, პოლიტიკა არ არის?

— კი, მაგრამ, გინდა ამის გაკეთება თუ იძულებული ხარ, ესაა გასარკვევი...

— პრინციპები ამ დროს არ არსებობს?

— არჩევანის წინაშე არ უნდა დადგეს ხელოვანი ადამიანი.

ვიმეორებ — არავის სიამოვნებს ლოგოს ქვეშ სიმღერა, ყოველ შემთხვევაში, ჩემს ირგვლივ უმრავლესობა ასე ფიქრობს, ამიტომ ხელოვნება და კულტურა არ უნდა დააკნინო ისე, ხალხი არჩევნებს ელოდებოდეს. მეც მიმღერია ღონისძიებებზე, მაგრამ მაინც გაურკვეველია, რა პრივილეგიებზე საუბრობენ — ჩემთვის კომუნალური გადასახადები ნამდვილად არავის გადაუხდია, ქირით ვცხოვრობ და მანქანაც სესხით ვიყიდე... ცხოვრება არავის აქვს აწყობილი. ის ხალხი, ვინც ღიად აფიქსირებდა საკუთარ პოლიტიკურ სიმპათიას, თუ დემოკრატიაზე ვსაუბრობთ, დღეს არ უნდა იბლოკებოდეს იმიტომ, რომ ასე სხვაობა ძველებსა და ახლებს შორის, გამოდის, არ არსებობს, თუმცა იმედი მაქვს, ყველაფერი უკეთესობისკენ შეიცვლება.

ჩემ შემთხვევაში კი, თუ ვინმეს მიაჩნია, რომ პრივილეგირებული ვიყავი, ძალიან ცდება იმიტომ, რომ არც პრივატულ ღონისძიებებზე მიუწვევივარ ვინმეს და კარგი იქნება, დოკუმენტაციაშიც ჩაიხედონ, სადაც დაფიქსირებულია, რამდენი გასტროლიდან ამომშალეს.

— კონკრეტულად, ვინ გბლოკავდა?

— ზარები კულტურის სამინისტროდან ხორციელდებოდა. ერთ დღეს დამირეკავდნენ და მეტყოდნენ, მოემზადე, გასტროლზე მიდიხარო და გამგზავრებამდე ერთი კვირით ადრე, მატყობინებდნენ, შენს მაგივრად სხვას ვგზავნით, შენი ბიუჯეტი ძვირი ჯდებაო და ამ დროს 70-80 კაცი წასულა. ამიტომ მწყდება გული, როცა პრივილეგიებზე საუბრობენ და მე მომიაზრებენ. ასე ნამდვილად არ ყოფილა და თავის სამართლებელიც არაფერი მაქვს. თუ ვინმეს კითხვა აქვს, პასუხზე უარს არ ვეტყვი, თუ დოკუმენტების ამოქექვას გადაწყვეტენ, არც ეგაა პრობლემა.

ჩემი აზრით, ასეთი იარლიყების მიკერება არასწორია, თუ ვიღაცასთან დაფიქსირდი, არ ნიშნავს, რომ მოღალატე ხარ და თუ ამის მიხედვით საზღვრავენ პატრიოტიზმს, ბარე ორი შემეჯიბროს სამშობლოს სიყვარულში, ვინც დღეს დროშებით დარბის! მაგრამ ჩვენ ასეთი ერი ვართ, სხვის კარგად ყოფნას ვერ ვიტანთ და იმას ვერ ვსაზღვრავთ, სიგოიმეში როდესაც ეჯიბრები ადამიანს, მასზე ათჯერ მეტად გოიმი და გაუნათლებელი გამოდიხარ.

— იქნებ სწორედ ასეთი პოზიციის გამო მიეცა შენს სტატუსს პოლიტიკური ინტერპრეტაცია.

— ხაზგასმით აღვნიშნავ — ეს სტატუსი ეხებოდა ქველმოქმედებას. ჟურნალმა „რეიტინგმა“ კი პოლიტიკური ელფერი მისცა და ისე დახატა სიტუაცია, თითქოს, ყოფილ ხელისუფლებას მივტირი, რომელიც ბიუჯეტიდან ჩემს „გულაობას აფინანსებდა“. ამას მოყვა ზარები, ტექსტით — „კარგი იყო ბიუჯეტის ხარჯზე გულაობა?“, მერე სალანძღავი კომენტარები... ნამდვილად უსიამოვნოა, როცა დაუმსახურებლად გაყენებენ შეურაცხყოფას. თუ ვინმეს ამ სტატუსთან დაკავშირებით კითხვა გაუჩნდა, უნდა ეკითხა და საკუთარი ვარაუდი, ჩემი სახელით არ უნდა გამოეთქვა. რეალურად, მე იმ ფსევდოქველმოქმედებას ვგულისხმობდი, რომელსაც იმ დღეებში კიდევ ერთხელ შევეჩეხე და ამან ძალიან გამაღიზიანა. ამიტომ ვითხოვ ბოდიშის მოხდას, წინააღმდეგ შემთხვევაში ვუჩივლებ და მოვიგებ კიდეც პროცესს. ნამდვილად არ მინდა, ვიღაცის არაპროფესიონალიზმისა თუ შეცდომის გამო, ჩრდილი მიადგეს ჩემს ღირსებას, რაც ძალიან მნიშვნელოვანია. დამიმტკიცონ, რომ ბიუჯეტის ხარჯზე „ვგულაობდი“, შეამოწმონ ჩემი ანგარიშები, ტრანზაქციები და მერე გამოჩნდება ყველაფერი.

— გასაგებია, რომ საქველმოქმედო ორგანიზაცია გაქვს და შესაძლოა, გარკვეულ უსამართლობასაც აწყდები, მაგრამ რამ გაგაღიზიანა ასე, მსგავსი სტატუსი რომ დაწერე?

— საქველმოქმედო ორგანიზაცია „ბუდე“ წლებია არსებობს და ამ ხნის განმავლობაში დავრწმუნდი, რომ საქართველოში ფსევდოქველმოქმედება გვაქვს. თბილისში ქველმოქმედება ბევრია, ქალაქგარეთ კი — არაფერი. ერთ მაგალითს გეტყვი — როდესაც დავრეკე და იმ ადამიანს, ვისაც ამის ცოდნა ევალებოდა, ვკითხე, რამდენი ბავშვთა სახლი იყო საქართველოში, მიპასუხა — თვრამეტიო, არადა, საქართველოს მასშტაბით, მხოლოდ ჩემი რესურსით, 200-მდე ბავშვთა სახლი ვიცოდი. ინკლუზიური ოთახის გაკეთება გვინდოდა, მაგრამ ფინანსები ვერ მოვიძიეთ... ბევრ რაღაცაზე მწყდება გული იმიტომ, რომ იმ ადამიანებისთვის, ვინც რეალურად, ჩვენს გვერდით დგომას საჭიროებს, ფაქტობრივად, ვერაფერს ვაკეთებთ. აქ ყველაფერი პიარზეა აგებული, არ შეიძლება შვიდი კამერის წინ, ოცი გრამი სისხლი გაიღო და ეს ატრიალო ყველა ტელევიზიით. სხვებს რომ აქილიკებენ, საკუთარ თავებსაც თუ დააკვირდებიან, არ იქნება ურიგო. ორი ფოჩიანი კანფეტის ჩუქებისას კამერები რომ მოგყვება, ამას ქველმოქმედება არ ჰქვია. ასეთი დამოკიდებულების გამო, ის პროექტები, რომლებსაც რეალურად შეუძლიათ რამდენიმე სიცოცხლის გადარჩენა, არ ფინანსდება, ხოლო პიარზე აგებულ პროექტებს დაფინანსება უდავოდ აქვთ. არადა, ეს ბავშვები ჩვენს სოციუმს წარმოადგენენ, ჩვენ შეგვხვდებიან ქუჩაში წლების შემდეგ, ამიტომ წინ უნდა გავიხედოთ. მქონდა ასეთი შემთხვევა, კახეთის მუნიციპალიტეტთან ვაწარმოებდით მოლაპარაკებას, რათა ბავშვთა სახლს დავხმარებოდით. მითხრეს, კონცერტი გავაკეთოთო. როდესაც ვუპასუხე, ის თანხა, რაც აპარატურაში, სცენის მოწყობასა და მომღერლების ტრანსპორტირებაში უნდა დაიხარჯოს, პირდაპირ გადავურიცხოთ ბავშვებსთქო, მიპასუხეს — ასე არ გამოვა, ყველაფერს პიარი სჭირდებაო.

— პიარი ყველასა და ყველაფერს სჭირდება, მომღერალსაც, სხვათა შორის... თუნდაც შენთვის, პიარი არ იყო „ჯეოსტარში“ გამარჯვება. რა ხდება შემდეგ, ალბათ, უსიამოვნოა, როცა იმარჯვებ იმისთვის, რომ მერე კლუბში იმღერო...

— თუ ნორმალური ნერვები გაქვს, არ დაფრინავ ღრუბლებში და არ გაქვს ილუზია, რომ შემდეგი ჯილდო „გრემი“ იქნება, ცხოვრობ საკუთარი პროფესიით — კლუბებში გამოდიხარ, კორპორატიულ საღამოებზე... ისე კი, განსაკუთრებული არაფერი ხდება.

— მახსოვს, ამბობდნენ გიორგი სუხიტაშვილს რაღაცები თავში აუვარდაო...

— მსგავსი არაფერი მომხდარა, საკმაოდ მყარი ნერვები მაქვს და თავშიც არაფერი ამვარდნია. მსმენელის წინაშე ემოციურად ყოველთვის მართალი ვარ და არავის უჩნდება განცდა, თითქოს იმისთვის ვმღერი, ამან რამდენიმე დოლარი მომიტანოს.

— შენ არ მღერი იმისთვის, რომ ამან „რამდენიმე დოლარი მოგიტანოს“?

— გააჩნია სიმღერის ადგილს. როდესაც სიმღერას წერ, შემოსავალზე არც უნდა იფიქრო. ერთი ალბომი გამოვუშვი და თუ დამიჯერებთ, არც ერთი სიმღერა არ ჩამინერია განცდით, რომ ეს მოგებას მომიტანდა. საქართველოში არ იწერება ალბომი მოგებისა და შემოსავლისთვის.

— მაშინ რა აზრი აქვს ალბომის გამოშვებას?

— ალბათ ის, რომ არასრულფასოვნების კომპლექსმა არ შეგჭამოს მერე, სხვა შემთხვევაში, რასაც ქმნი, ქარს მიაქვს, თუმცა მთავარია, ღირსება არ წაიღოს და თუ ამას მატერიალურ კეთილდღეობაზე ცვლი, უკვე არარაობა ხარ...

— ბევრი „არარაობა“ შეგხვედრია?

— ვინმეს თუ სჯერა, რომ ასეთი ადამიანები მის ცხოვრებაში არ გამოჩენილან, თვითონაც უღირსია, ღირსებაზე წარმოდგენა არ აქვს და ვერ არჩევს კარგსა და ცუდს... მომღერლებს შორის კი, არავინ იყო პრივილეგირებული, გარდა ერთეულებისა, რომლებიც სცენაზე არც ჩანდნენ. სცენაზე ვინც გამოყავდათ, საზარბაზნე ხორცი იყო მხოლოდ და მოსახლეობაც ვერ ხვდებოდა, ვისთვის უნდა ესროლა ტალახი. ბევრს უფიქრია — ამას რა უჭირს, გამოვა, იმღერებს, ცხოვრება აწყობილი აქვსო, არადა ისეთ დროს მიმღერია, ამის განწყობა საერთოდ რომ არ მქონდა და ჩემი ძმა დაჭერილი იყო...

— რატომ შეექმნა შენს ძმას კანონთან პრობლემები?

— ამაზე არასოდეს მისაუბრია — საოცარი ბრალდება იყო, ვითომ „დინამოზე“ ჩვენ გავლახეთ პოლიციელები... საქმე ისეთ ადამიანებს ეხებოდა, რომლებიც თვალით არ მყავდა ნანახი და როდესაც ეს დიდი დაჭერები დასრულდება, აუცილებლად გავასაჩივრებთ ამ ფაქტს. თავიდან, უწყება რომ მოვიდა, ჯარში გაწვევა გვეგონა, მერე — „ფარული კამერა“... ვერაფრით დავიჯერე, ეს ყველაფერი ჩვენს თავს თუ ხდებოდა.

ასეთ დროს დამირეკეს და მითხრეს, რომ პროექტ „ბრავოში“ უნდა მიმეღო მონაწილეობა. უარი ვერ ვუთხარი, შემეშინდა, კიდევ რამე არ აეტეხათ ჩემი ძმისთვის, თუმცა ჩემს ირგვლივ ყველა გავაფრთხილე, არ დამიმესიჯოთ, მეორე ტურში რომ გადავიდე, სიმღერას, უბრალოდ, ვერ შევძლებ-თქო. ამ დაჭერის მიზეზი ახლაც გაუგებარია ჩემთვის და ვიღაცებს რომ ჰკითხო, პრივილეგირებული ვიყავი... მესმის, გვერდიდან ბევრი რამ სხვაგვარად ჩანს, მაგრამ რაზეც ახლა ვისაუბრე, იმედია, ამ ადამიანებს აზრს შეაცვლევინებს.

ვერსიანიუსი

ბიძინა ივანიშვილის ქონება 1,1 მილიარდი დოლარით შემცირდა

ჟურნალ „ფორბსის“ მონაცემებით, საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის ქონება, გასულ წელთან შედარებით, 1,1 მილიარდი დოლარით შემცირდა. გამოცემამ თავის ოფიციალურ ვებ-გვერდზე პლანეტის უმდიდრესი ადამიანების რეიტინგი გამოაქვეყნა, რომელშიც ბიძინა ივანიშვილი 229-ე ადგილს იკავებს. გამოცემის ცნობით, საქართველოს პრემიერის ქონება 5,3 მილიარდ დოლარს შეადგენს, რაც 1,1 მილიარდი დოლარით ნაკლებია გასული წლის მონაცემებთან შედარებით.

„ბიძინა ივანიშვილი 2012 წლის ოქტომბერში გახდა საქართველოს პრემიერ-მინისტრი მას შემდეგ, რაც მისმა კოალიციამ „ქართულმა ოცნებამ“ არჩევნებში გამარჯვება მოიპოვა. საქართველოს უმდიდრესმა ადამიანმა პოლიტიკაში წასვლა მანამდე, ერთი წლით ადრე გადაწყვიტა და რამდენიმე თვეში რუსეთში არსებული თავისი ბიზნესი 1,3 მილიარდ დოლარად გაყიდა“, — აღნიშნავს „ფორბსი“.

რაც შეეხება მსოფლიოში ყველაზე მდიდარ ადამიანს – რეიტინგს კვლავ მექსიკელი კარლოს სლიმი ლიდერობს, რომლის ქონება 73 მილიარდ დოლარს შეადგენს; მეორე ადგილს 67 მიალიარდი დოლარით ამერიკელი ბილ გეითსი იკავებს; მესამე ადგილზე პირველად აღმოჩნდა ესპანური ბრენდის „ზარას“ ქსელის დამფუძნებელი ამანსიო ორტეგა – 57 მილიარდით. მეოთხე ადგილი ერგო ცნობილ ქველმოქმედს უორენ ბაფეტს – 53,5 მილიარდი დოლარი.

„ინტერპრესნიუსი“

შს მინისტრის ბრძანებით, სამინისტროს თანამშრომლები ყოველთვიურ სახელფასო დანამატსა და ერთჯერად დახმარებას მიიღებენ

1 მარტიდან ძალაში შევიდა შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანება სამინისტროს თანამშრომლებისთვის ყოველთვიური დანამატების შესახებ. სამინისტროს მრავალშვილიან თანამშრომლებს ყოველთვიური დანამატი დაუწესდათ: ოთხი შვილის მშობელი ყოველთვიურად – 200 ლარს, ხუთი შვილის მშობელი — 300 ლარს, ექვსი შვილის მშობელი — 400 ლარს, შვიდი და მეტი შვილის მშობელი — 500 ლარს მიიღებს.

1 მარტიდან ასევე ამოქმედდა ირაკლი ღარიბაშვილის ბრძანება შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებისთვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების შესახებ. 1000-ლარიან დახმარებას სამინისტროს თანამშრომელი ერთჯერადად მიიღებს დაქორწინების, შვილის შეძენისა და ოჯახის წევრის გარდაცვალების შემთხვევაში. ყოველთვიურ დანამატსა და ერთჯერად დახმარებას შს სამინისტროს ყველა თანამშრომელი მიიღებს.

„ვერსიანიუსი“

შს მინისტრი კონფერენციას „ქალები პოლიციაში“ დაესწრო

შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“ რეგიონულ კონფერენციას „ქალები პოლიციაში“ დაესწრო. კონფერენცია ტარდება ყოველწლიურად და ორგანიზებულია აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ანტინარკოტიკული და სამართალდამცავებთან ურთიერთობის საერთაშორისო ბიუროსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლობის ფარგლებში.

მისი მიზანია, სამართალდამცავების კვალიფიკაციის ამაღლება და პოლიციაში ქალის როლის წარმოჩენა. კონფერენციის გახსნაზე სიტყვით გამოვიდნენ შს მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი და აშშ-ს ელჩი რიჩარდ ნორლანდი. ღონისძიებას ესწრებოდნენ ქართველი პოლიციელი ქალები და მათი კოლეგები უკრაინიდან, მოლდოვადან, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან.

კონფერენცია „ქალები პოლიციაში“, რომელსაც წაუძღვებიან მოწვეული საერთაშორისო ექსპერტები, 6 მარტს დასრულდება.

„ვერსიანიუსი“

სოსო თოფურიძის პირადი პატიმარი სამართლის აღსრულებას ითხოვს!

ეს წერილი გლდანის მე-8 საპყრობილეში მყოფმა პატიმარმა, ვიქტორ გელაშვილმა, თავისი ადვოკატის — ზურა ნეფარიძის საშუალებით გამოგვიგზავნა. 2012 წლის 12 დეკემბერს, ვიქტორ გელაშვილმა წერილი მთავარი პროკურორის, არჩილ კბილაშვილის სახელზეც გაგზავნა და მისი საქმის ხელახალი გამოძიება სთხოვა, თუმცა წერილი რეაგირების გარეშე დარჩა. ვიქტორ გელაშვილი კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის (კუდ-ი) მაღალჩინოსნის, სოსო თოფურიძის პირადი პატიმარია. სახელმწიფო მიწების უკანონო რეგისტრაციას (რის გამოც, ვიქტორ გელაშვილი, სხვა პირებთან ერთად დააკავეს), უშუალოდ სოსო თოფურიძისა და მისი თანაშემწის ბუდუ ლომჯარიას მითითებით ახორციელებდა. სოსო თოფურიძემ და ბუდუ ლომჯარიამ დაახლოებით, 2 000 000 აშშ დოლარის ქონება დააგროვეს, მაგრამ მერე ამ საქმეში, ლომჯარიამ თოფურიძეს თანხა „მოუტეხა“, რის გამოც, თოფურიძე გაბრაზდა, გაბრაზებულმა კი ამ საქმესთან დაკავშირებული ყველა პირი ციხეში გაისტუმრა. 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ, ბუდუ ლომჯარია ხელისუფლებამ შეიწყალა, ვიქტორ გელაშვილი კი ისევ ციხეშია და სამართლის აღსრულებას ელოდება.

როგორ აიძულეს კუდ-ის მაღალჩინოსნებმა მიწების უკანონო რეგისტრაცია და როგორ იშოვა სოსო თოფურიძემ 2 000 000 დოლარი?

„მოგახსენებთ ჩემს გაჭირვებაზე, თუ როგორი მუქარისა და ზეწოლის ქვეშ ვიმყოფებოდი პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი და როგორ უსამართლოდ მომისაჯეს 15 წლით თავისუფლების აღკვეთა. 2007-2008 წლებში დაკავებული ვიყავი უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვით და მინდა ვთქვა, რომ ამ წლებში ძალიან გამოსწორდა ჩემი ფინანსური მდგომარეობა. შევიძინე რამდენიმე ავტომანქანა, ერთი ძვირადღირებული „X5“-ის „ჯიპიც“. ალბათ, ამ ყველაფერმა ძალიან გამოააშკარავა ჩემი ფინანსური მდგომარეობა და ყურადღება მიიქცია. კუდ-ის მაღალჩინოსნებმა დაიწყეს ჩემზე მუშაობა.

2008 წლის 24 ოქტომბერს, მომადგნენ ჩემი მეუღლის სახლში, სოფელ დიღომში, ჩამაგდეს მანქანაში 8 თვის ფეხმძიმე მეუღლის თვალწინ და გამაქანეს „მოდულის“ შენობაში, სადაც 24 საათის განმავლობაში, ფსიქოლოგიური ზეწოლა ხორციელდებოდა ჩემზე, რომ თითქოს, ვიღაცის მიწის ნაკვეთის რეგისტრაცია გავაკეთე და რომ ამ მიწის ნაკვეთის მიღება-ჩაბარების აქტი გაყალბებული იყო, რომ მე ეს ვიცოდი და მაინც გავუკეთე რეგისტრაცია. გამიყვანეს თანამონაწილედ და მომისაჯეს თავისუფლების აღკვეთა 21 წლითა და 9 თვით. რა თქმა უნდა, ამას არ დავეთანხმე და დანაშაული არ ვაღიარე.

ჩემი დაკავებიდან ერთ თვეში, შემეძინა მესამე შვილი — ბიჭი, უფროსი შვილები გოგონები არიან და შემომითვალეს, თუ გინდა, ნანატრი ბიჭი შენთან ერთად გაიზარდოს, აღიარე დანაშაული და გაგიშვებთო. ვიცოდი, რომ ამათთან ჭიდაობას აზრი არ ჰქონდა და დანაშაული ვაღიარე. აღიარების შემდეგ, სააპელაციო სასამართლომ, 1 წელი — რეალური და 3 წელი — პირობითი სასჯელი დამიტოვა. სოლიდური თანხა გადავიხადე და ერთი წლის შემდეგ, გლდანის მე-8 საპყრობილე დავტოვე. დავიწყე ჩვეულებრივი ცხოვრება, მაგრამ სამწუხაროდ, ეს დიდხანს არ გაგრძელებულა.

2011 წელს, ჩემი სიძის ძმამ, შემთხვევით, სუფრაზე გამაცნო თავისი ნაცნობი, რომელიც კუდ-ის მაღალჩინოსნის, სოსო თოფურიძის თანაშემწე, ბუდუ ლომჯარია აღმოჩნდა.

მას ვესაუბრე, თუ რას ვსაქმიანობდი დაკავებამდე და როგორ მომექცნენ კუდ-ის თანამშრომლები. ამის შემდეგ, რამდენჯერმე შევხვდი ბუდუ ლომჯარიას ჩემი სიძის ოჯახში და ერთხელაც, მითხრა, რომ პრობლემები ჰქონდა, რადგან ვაკეში მდებარე ბინა ბანკში ჰქონდა ჩადებული და თუ ვასწავლიდი, როგორ შეიძლებოდა სახელმწიფო მიწების რეგისტრაცია, მერე კი ამ გზით მიღებულ სარგებელსაც გავიყოფდით, მფარველი თვითონ იქნებოდა და ვერავინ შეგვეხებოდა, რაზეც უარი ვუთხარი. გავიდა რამდენიმე დღე, ბუდუ ლომჯარია ისევ მოვიდა ჩემთან და მითხრა, „შეფი“ საქმის კურსშია, „მწვანე შუქი“ აგვინთო და ნუ გეშინია, ვერავინ შეგვეხებაო. მე ისევ უარით გავისტუმრე და ვუთხარი, რომ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდოდა. ცოტა არ იყოს, შევშინდი და მეორე დღესვე, თბილისიდან რაიონში გავემგზავრე, რადგან ვიცოდი, რა ხალხი იყვნენ და რისი გაკეთება შეეძლოთ. ყოველდღე მირეკავდნენ, მაგრამ ზარებს არ ვპასუხობდი. მესამე დღეს ისევ მომაკითხეს და მითხრეს — ბიჭო, „შეფი“ გაბრაზებულია შენზე, სჯობს, წამოხვიდე და დაელაპარაკოო. მინდა გითხრათ, რომ მისი „შეფი“ სოსო თოფურიძეა. ვუთხარი, მოვიფიქრებ-მეთქი და წავიდნენ. მეორე დღეს, დარეკა ტელეფონმა, ვუპასუხე და მაშინ მივხვდი, რომ ჩემს დამალვას აზრი არ ჰქონდა, რადგან თვითონ სოსო თოფურიძემ დამირეკა და მითხრა, ხვალ, ამა და ამ ადგილზე მოხვალ და თან შენს ნაცნობ, ლევან გულედანსაც მოიყვანო. მეორე დღეს, დანიშნულ დროს, დანიშნულ ადგილზე მივედით, ლევან გულედანიც ამ საქმისთვის სჭირდებოდა.

დანიშნულ ადგილზე, სოსო თოფურიძე რამდენიმე თანმხლებთან ერთად დაგვხვდა, კარგად გამომლანძღა და მითხრა, რასაც ბუდუ ლომჯარია მეტყოდა, ის უნდა გამეკეთებინა, თუ არა, დამიჭერდა. მით უმეტეს, რომ პირობითი სასჯელი მქონდა შეფარდებული და ვერსად წავიდოდი. მართლაც, მალე მიქირავეს ბინა დიდ დიღომში და დავიწყეთ მუშაობა. ვასწავლე, რა და როგორ უნდა გაეკეთებინათ და როგორ უნდა დაერეგისტრირებინათ სახელმწიფო მიწები. სამი თვის ვადაში, მათ უკვე 2 000 000 დოლარის ქონება დააგროვეს, ზოგ ნაკვეთს ყიდდნენ, ზოგს — იპოთეკით ტვირთავდნენ. ამ ყველაფერს ბუდუ ლომჯარიას ახლობლებზე — ბიძაზე, პაპაზე და ბიძაშვილებზე აფორმებდნენ.

როგორც გაირკვა, ბუდუ ლომჯარიამ, თავისი „შეფის“, სოსო თოფურიძის ჩუმად, მიწის რამდენიმე ნაკვეთი დაარეგისტრირა, რაც სოსო თოფურიძეს არ გამოპარვია და მისი დასჯა გადაწყვიტა, თუმცა მხოლოდ ბუდუსი კი არა, არამედ — ყველასი, ვინც კი ამ საქმეში გამოგვიყენა და ვინც ახლოს გაიარა ჩვენს გვერდით. დაგვაკავეს შვიდი კაცი, მათ შორის, ბუდუ ლომჯარია, მისი ბიძა დავით წერეთელი, ალექსი ტაბახმელაშვილი, ვლადიმერ მიქაშვილი, ლევან გულედანი, მე და ჩემი მეგობარი, ბადრი ჯანიაშვილი, რომელიც საერთოდ არაფერ შუაში იყო ამ საქმეში. ბადრი სპორტსმენია, მოჭიდავე, მსოფლიოს რამდენიმე გზის ჩემპიონია და საქართველოს ნაკრების უფროსი მწვრთნელი იყო „სამბოს“ სახეობაში, რომელსაც ხელფასს უხდიდა ბიძინა ივანიშვილი, როგორც მსოფლიო ჩემპიონს, „ქართული ოცნების“ მომხრესა და მხარდამჭერს. ამიტომაც არ გამორჩენია მხედველობიდან გენერალურ ინსპექციას, რომლებმაც დიდი როლი ითამაშეს ჩვენი და ბადრი ჯანიაშვილის დაჭერაში. მინდა ისიც გითხრათ, რომ ბადრი ჯანიაშვილი დაკავებამდე ერთი თვით ადრე, პრეზიდენტმა ღირსების ორდენით დააჯილდოვა, ხოლო როდესაც გაიგო, რომ „ქართული ოცნების“ მომხრე იყო და განსხვავებული აზრი ჰქონდა, 6 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდეს. სწორედ ბადრის მამის პანაშვიდზე მივდიოდით მეგობრები კასპში, როდესაც სამი მანქანით გადამიკეტეს გზა გენინსპექციის თანამშრომლებმა და როგორც ტერორისტი, ისე ამიყვანეს დიდ დიღომში, უამრავი ხალხის დასანახად, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე.

როდესაც მოვითხოვე, დაკავშირებოდნენ სოსო თოფურიძეს და ჩაეყენებინათ საქმის კურსში, მითხრეს, რომ თუ კიდევ ვახსენებდი თოფურიძეს, კარგი დღე არ დამადგებოდა და როგორც კი გლდანის ციხეში გადამიყვანდნენ, ჯოჯოხეთური ცხოვრება არ ამცდებოდა. მართლაც, მომიტანეს ვითომ ჩემი ჩვენება, რომელსაც ბოლოში ერთ წინადადებას ვაწერდი: „ნაკარნახებია ჩემს მიერ, ჩვენება სწორია, რაზეც ხელს ვაწერ“. ასე მომისაჯეს 15 წელი, ხოლო ბუდუ ლომჯარია და ბიძამისი შეწყალების შედეგად გაუშვეს. ბუდუ ლომჯარიას მამიდა, ცაცა ლომჯარია, პრეზიდენტის ადმინისტრაციაში მუშაობს და ეჭვი მაქვს, რომ ისიც ამ საქმიდან რაღაც სარგებელს იღებდა, ამიტომ ძალიან ვთხოვ პროკურატურას და ქვეყნის მთავარ პროკურორს ბატონ არჩილ კბილაშვილს, დაინტერესდნენ და ეს საქმე თავიდან ბოლომდე გამოიძიონ. ამ საქმის გამო, პროკურატურას განცხადებით ორი თვის წინ მივმართე, მაგრამ ჯერ არავითარი რეაგირება არ მომხდარა“.

ვერსიანიუსი

ქუთაისის თვითმმართველობის თანამშრომლებმა გამაფრთხილებელი აქცია გამართეს

4 მარტს, ქუთაისის მერიის თანამშრომლებმა საპროტესტო აქცია გამართეს. აქციის მონაწილეების მოთხოვნა თვითმმართველობაზე ზეწოლის შეწყვეტაა, წინააღმდეგ შემთხვევაში, გაფიცვით იმუქრებიან. ქალაქის მერის ბესიკ ბრეგაძის თქმით, მათზე ზეწოლას რადიკალური ზომით უპასუხებენ: **„ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების საზრუნავი უნდა იყოს მოსახლეობის ინტერესების დაცვა. თუმცა, თუკი ხელისუფლება ისევ შეეცდება თვითმმართველობის უფლებების დარღვევას, ჩვენ რადიკალურ ზომებს მივიღებთ“.**

ზეწოლაზე საუბრობს ქალაქის ვიცე-მერიც: **„თუკი არ შეწყდება ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლების დაკითხვა, იძულებულნი ვიქნებით, პროტესტის რადიკალურ ფორმას მივმართოთ და გავიფიცოთ, რისთვისაც ადგილობრივ მცხოვრებლებს წინასწარ ვუხდით ბოდიშს“,** — ამბობს ამირან ძოწენიძე. აქციაში დასუფთავებისა და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის თანამშრომლებიც მონაწილეობდნენ. მეეზოვეების მტკიცებით, ზეწოლა მათზეც ხორციელდება, სამოქალაქო ფორმაში მყოფი პოლიციელები მიდიან და ეკითხებიან, რა დავალებებს იღებენ თვითმმართველობისგან.

ქუთაისის საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მამუკა მღვდელაძის თქმით, ადგილობრივი ხელისუფლება საზოგადოების გახლეჩას ცდილობს: **„გასაგებია, თვითმმართველობის პროტესტი, მაგრამ აქციაზე არ უნდა იბარებდნენ სხვადასხვა სამსახურში დასაქმებულ ადამიანებს. დღეს აქციაზე ბევრი ადამიანი საკუთარი ნებით იყო მისული. თუმცა, უფრო მეტი დაბარებული იყო სამსახურების ხელმძღვანელების მიერ. კერძოდ, მეეზოვეები. ეს ადამიანები დაძალებით ჩართეს პოლიტიკურ პროცესებში“.**

„ნეტგაზეთი“

ნარკომომხმარებელთა გამოკითხვის სკანდალური შედეგები

ნინა მარტყოფლიშვილი
„ვერსიისთვის“ კახეთიდან

საქართველოში ნარკოტიკების მომხმარებელთა უკანასკნელი კვლევა 2008-09 წლებში ჩატარდა. 2012 წლის თებერვლიდან სექტემბრამდე, საზოგადოებრივი გაერთიანება „ბემონის“ წარმომადგენლებმა, საერთაშორისო ორგანიზაცია „კურაციოსთან“ ერთად, გლობალური ფონდის პროექტის ფარგლებში, ჩაატარა ახალი კვლევა, რომლის შედეგებიც თელავში, კახეთის რეგიონში მომუშავე ჟურნალისტებს გააცნეს. „ვერსია“ საინტერესო დეტალებსა და მონაცემებს ექსკლუზიურად გთავაზობთ.

ჰეროინი და სუბუტექსი „კრაკადილმა“ ჩაანაცვლა, გამოკითხულთა 48% ნარკოტიკს კვირაში რამდენჯერმე მოიხმარს!

საქართველოს ანტინარკოტიკული მედიაკლუბის მიერ ორგანიზებულ შეხვედრაზე ითქვა, რომ კვლევა საქართველოს ექვს ქალაქში ჩატარდა 2012 წლის თებერვლიდან სექტემბრამდე პერიოდში. ნარკოტიკების მომხმარებლებს, ანონიმურობის სრული დაცვით, რამდენიმე საინტერესო კითხვაზე პასუხის გაცემა ევალებოდათ. იმ ადამიანებს, ვისაც ნარკოტიკების მოხმარების კვალი არ დაუდგინდა, კვლევაში მონაწილეობაზე უარი ეთქვა.

„ერთი შეხედვით, კვლევამ დაადასტურა, რომ ქვეყანაში ნარკოტიკების სახეობა შეიცვალა. თუ აქამდე მთელ ქვეყანაში უფრო გავრცელებული იყო ტრადიციული ნარკოტიკული საშუალებები ჰეროინი და სუბუტექსი, ახლა ირკვევა, რომ მოხდა ამ საშუალებების ჩანაცვლება, ძირითადად, კუსტარულად დამზადებული საშუალებებით, რომელიც „კრაკადილის“ სახელით არის ცნობილი. ასევე, ნარკომომხმარებლებში ძალიან გაიზარდა ე.წ. ფსიქოტროპული მედიკამენტების მოხმარება, რომელსაც თავისუფლად და რეცეპტის გარეშე ყიდულობენ აფთიაქებში. ანუ, არალეგალურ ბაზარზე ნაყიდი ნარკოტიკების ნაცვლად, უფრო მეტად ხდება იმ საშუალებების გამოყენება, რომელიც აფთიაქში თავისუფლად იყიდება და მისი მომზადება კუსტარულად არის შესაძლებელი“, — განაცხადა საზოგადოებრივი გაერთიანება „ბემონის“ წარმომადგენელმა თამარ სირბილაძემ.

როგორც კვლევის განმახორციელებელი საზოგადოებრივი გაერთიანება „ბემონის“ თელავის ოფისის ხელმძღვანელმა დავით ღონღაძემ „ვერსიას“ განუცხადა, თელავში, ნარკოტიკების მომხმარებელთა ასაკი გაახალგაზრდავდა, რაც წინა წლებში არ შეინიშნებოდა. თელავის მუნიციპალიტეტში იმატა სუბუტექსის მოხმარების მაჩვენებელმა. ეს კი იმ ფონზე, როცა, მთელი ქვეყნის მასშტაბით, სუბუტექსის მომხმარებელთა რიცხვი მნიშვნელოვნად კლებულობს. ქალაქ თელავსა და მის სოფლებში გამოკითხული 280 ნარკომომხმარებლიდან აივ-შიდსი მხოლოდ სამ მათგანს დაუდგინდა და არც ერთი 25 წელზე ნაკლები ასაკის არ იყო.

> **კიდევ ერთი ახალი ტენდენცია, რაც კვლევის შედეგად გამოიკვეთა, იყო ის, რომ აქამდე ნარკომომხმარებლები ალკოჰოლს არ ეტანებოდნენ, ახლა კი ირკვევა, რომ საქართველოში ნარკომომხმარებლები ბოლო დროს ალკოჰოლურ სასმელს განსაკუთრებით მიეძალნენ. ამ გარემოების ახსნა სპეციალისტებს ამ ეტაპზე არ აქვთ.**

კვლევა ცხადყოფს, რომ ნარკომომხმარებელთა რიცხვის ზრდა ყველაზე მეტად სამეგრელოში შეინიშნება. აქვე გამახვილდა ყურადღება იმაზეც, რომ კონტროლის გამკაცრების ფონზე, ნარკომომხმარებლები ზუგდიდსა და ლაგოდეხიდან საზღვრის გადაკვეთას ახდენენ, ნარკოტიკულ საშუალებებს იქ იძენენ, იქვე მოიხმარენ და მას შემდეგ უკან ბრუნდებიან. ვითარების სირთულეს მიღებული ციფრებიც ცხადყოფს.

> **2008 წელთან შედარებით, ამჯერად, ნარკოტიკის საზღვარგარეთ მოხმარების მაჩვენებელი 11-ჯერ გაზრდილია. სურათი საქართველოს საზღვრისპირა ქალაქებზე ადეკვატურად აისახა. დადგინდა საზღვარგარეთ ყველაზე მოთხოვნადი ნარკოტიკული ნივთიერებაც. ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ, ძირითადად, ჰეროინს მოიხმარენ, რამაც გამოკითხულთა 43% შეადგინა.**

გორში, 2008 წელს მორფინის მოხმარების მაჩვენებელი საგანგაშოდ გაზრდილი იყო. კვლევის ავტორები ფიქრობენ, რომ, ერთ-ერთი ვერსიით, ამგვარი ვითარება აგვისტოს ომს უკავშირდებოდა.

> **ასევე, საქართველოში, ბოლო წლებში, გაზრდილია ინექციის სიხშირე. კვირაში რამდენჯერმე ნარკოტიკს მომხმარებელთა 48% მოიხმარს. ამასთან, გასულ წლებთან შედარებით, შემცირებულია ნარკოტიკების მოხმარების ფაქტები ქუჩაში. წინა წლებისგან განსხვავებით, ამჯერად ნარკომომხმარებელთა მხოლოდ 2,2% ამბობს, რომ ინექცია ქუჩაში გაიკეთა.**

კვლევის ავტორები ამ კუთხით მაჩვენებლების გაუმჯობესებას საქართველოში კანონის გამკაცრებასა და ძალოვანი უწყებების მიერ გადადგმულ პოზიტიურ ნაბიჯებს უკავშირებენ.

საქართველოს ანტინარკოტიკული მედიაკლუბის შეხვედრაზე სერიოზულ პრობლემად დაისვა „ბე“ და „ცე“ ჰეპატიტის პრობლემა ნარკომომხმარებლებში. ირკვევა, რომ გამოკითხულ ნარკომომხმარებელთა 60-70% „ცე“ ჰეპატიტითაა ავად, რაც უდიდესი პრობლემაა.

ნარკოტიკების მომხმარებელთა მხრივ გართულებულია ვითარება აფხაზეთშიც.

> **გაერო-ს ორგანიზაციების მონაცემების მიხედვით, აფხაზეთში აივ-შიდსის მაჩვენებელიც მაღალია. საქართველოს მოქალაქეთა აფხაზეთის ტერიტორიაზე მოხვედრა კი, სპეციალისტების მტკიცებით, ჩვენს ქვეყანაში შიდსის გავრცელების კუთხით სარისკოა. აფხაზეთის ტერიტორიაზე ნარკომომხმარებლების გადინების მაჩვენებელი რომ მაღალია, ამას ახლადდასრულებული კვლევებიც ადასტურებს. აფხაზეთში, განსაკუთრებით, გალის რაიონში მაღალია ზუგდიდიდან გადასულ მოქალაქეთა რიცხვი, ამიტომაც, საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით, სამეგრელოში აივ-შიდსის მაჩვენებელიც საგანგაშოდაა გაზრდილი.**

ამ მხრივ, აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე ვერ ხერხდება სხვადასხვა სახის პრევენციული ზომების გატარება, თუმცა ზოგიერთი საერთაშორისო ორგანიზაცია ახერხებს, ცალკეული მიმართულებებით კონკრეტული მონაცემები დადოს და იქ არსებულ ტენდენციებზე ისაუბროს.

საზოგადოებრივი გაერთიანება „ბემონის“ მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, 2012 წელს გაუმჯობესდა წამალდამოკიდებულთა უსაფრთხოებაზე ზრუნვის მაჩვენებელიც. გამოკითხვის თანახმად, სხვისი შპრიცის გამოყენების ფაქტები შემცირდა.

„კვლევის მიმდინარეობის დროს, ბევრი ინტერვიუერი გვეკამათებოდა და ამბობდა, რომ სხვის ნახმარ შპრიცს რეცხავენ და ისე იყენებენ, თუმცა, რა თქმა უნდა, წყლის ჭავლით გარეცხილი ერთჯერადი შპრიცი ვერ ჩაითვლება უსაფრთხოდ. ერთჯერადი შპრიცის გამოხარშვა-სტერილიზაციაც შეუძლებელია. ნარკომომხმარებელთა ნაწილი ჯერ კიდევ თვლის, რომ წყლის ჭავლით გარეცხვა საკმარისია, თუმცა აშკარაა, რომ უსაფრთხოებაზე ზრუნვის მაჩვენებელი ნამდვილად გაუმჯობესდა. ამასთან, საქართველოში აფთიაქები ნებისმიერ დასახლებაში მრავლადაა და ერთჯერადი შპრიცის შეძენაც პრობლემას არ წარმოადგენს, მისი ფასიც ხელმისაწვდომია, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ მხრივ, საზღვარგარეთის ქვეყნებში ვითარება განსხვავებულია. როდესაც წამალდამოკიდებულ მოქალაქეს საზღვრის გადაკვეთა და წამლის იქ მოხმარება უწევს, ბუნებრივია, ის ერთჯერადი შპრიცების მომარაგებას არ დაიწყებს და საზღვარს ჯიბეში შპრიცით არ გადაკვეთს. ხშირია შემთხვევა, როცა საზღვრებს გარეთ ერთ შპრიცს რამდენიმე მომხმარებელი იყენებს, რაც დაინფიცირების რისკს ზრდის“, — განუცხადა „ვერსიას“ საზოგადოებრივი გაერთიანება „ბემონის“ წარმომადგენელმა, თამარ სირბილაძემ.

გამოკითხვით ირკვევა ისიც, რომ, წინა წლებთან შედარებით, გაიზარდა იმ ნარკომომხმარებელთა რიცხვი, რომელთაც უკანასკნელი თვეების განმავლობაში აივ-ტესტირება ჩაიტარეს. ამასთან, 2009 წელს შიდსის გადაცემის გზების თაობაზე ინფორმაციას დეტალურად ფლობდა ნარკომომხმარებელთა 37,5%, ამჯერად კი, საქართველოს მასშტაბით ეს მაჩვენებელი 42%-ს შეადგენს. რაც შეეხება თელავს, აქ ნარკომომხმარებელთა ინფორმირების მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა. შიდსით დაინფიცირების გზების თაობაზე ინფორმაციას თელავში გამოკითხულთა 86% ფლობს. სპეციალისტები განმარტავენ, რომ იმ ქალაქში, სადაც შიდსით ინფიცირებულთა მაჩვენებელი მოსახლეობის 5%-ს აღემატება, ვითარება საგანგაშოდ შეიძლება შეფასდეს.

> **წინა წლებისგან განსხვავებით, ამჯერად, სამეგრელოში აივ დადებითი ადამიანების რიცხვმა 5%-ს უკვე გადააჭარბა. მეორე ადგილს ქალაქი ბათუმი იკავებს, სადაც მონაცემები ასევე სავალალოა. მომხმარებელთა აქტივობას მათი ადგილმდებარეობაც ხელს უწყობს.**

„აივ-პოზიტიური ადამიანების მკურნალობა სახელმწიფო პროგრამით ფინანსდება. რამდენიმე წლის წინ, პრემიერ-მინისტრ ნიკა გილაურის გადაწყვეტილებით, აუცილებელი გახდა, მკურნალობის დროს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენა, რადგან სახელმწიფომ აკონტროლოს, რამდენად სწორად იხარჯება ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა. ამ გადაწყვეტილებამ უარყოფითად იმოქმედა ნარკომომხმარებელთა მომართვიანობაზე. ერთი მხრივ, არასამთავრობო ორგანიზაციებს დიდი ძალისხმევა გვჭირდება იმაზე, რომ წამალდამოკიდებული ადამიანები კვლევაზე დავითანხმოთ და ჩვენთან ითანამშრომლონ. პირველადი აივ-ტესტირება ანონიმურია, თუმცა საოცარი ის გახლავთ, რომ სწორედ იმ პაციენტებს ვაფრთხობთ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით, ვისაც საეჭვო მონაცემები უფიქსირდება. იმის შიშით, რომ პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს ითხოვენ, ბევრი კვლევის გაგრძელებას თავს არიდებს. ეს კი მოსალოდნელ რისკებს ზრდის. მიუხედავად იმისა, რომ ეს გადაწყვეტილება წინა ხელისუფლების მიღებულია, ამ სფეროში მომუშავე ორგანიზაციები ბევრს ვიბრძვით, ახალმა ხელისუფლებამ ეს მიდგომა გააუქმოს, მაგრამ ჯერჯერობით, უშედეგოდ. იმედია, ახალი ხელისუფლების პირობებში, ეს მიდგომა შეიცვლება“, — აღნიშნეს საზოგადოებრივი გაერთიანება „ბემონის“ წარმომადგენლებმა.

ვერსიანიუსი

ქსნის ციხის დირექტორმა თანამდებობა დატოვა



ქსნის №15 სასჯელაღსრულების დაწესებულების დირექტორმა, ნუკრი ხუხუამ თანამდებობა დატოვა და როგორც „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, თანამდებობიდან წასვლის შესახებ გადაწყვეტილება პირადად მიიღო.

თუმცა ქსნის 15 სასჯელაღსრულების დაწესებულების აწ უკვე ყოფილი დირექტორი გადაწყვეტილების მიღების მიზეზებს არ აკონკრეტებს.

ამასთან, ვრცელდება დაუდასტურებელი ინფორმაცია, რომ პატიმრები ხუხუას თანამდებობაზე დაბრუნებას ითხოვენ.

„ინტერპრესნიუსი“

H1N1 ვირუსის შედეგად კიდევ ერთი ადამიანი გარდაიცვალა

H1N1 ვირუსის შედეგად კიდევ ერთი ადამიანი გარდაიცვალა. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრიდან აცნობეს. ცენტრის ცნობით, ლაბორატორიულად დადასტურებული სულ 263 შემთხვევაა დარეგისტრირებული. 19 ადამიანი გარდაიცვალა.

გარდაცვლილთა შორის ყველაზე მეტი 30-დან 64 წლამდე ასაკის პირები არიან. ამ ასაკობრივ ჯგუფზე გარდაცვალების 13 შემთხვევა მოდის. ამასთან, გარდაცვლილთა შორის ოთხწლამდე ასაკის ორი ბავშვია, ერთი კი — 5-დან 14 წლამდე ასაკის. გარდაცვალების ერთი შემთხვევა 15-29 წლის ასაკობრივ ჯგუფშიც დაფიქსირდა.

ცენტრში განმარტავენ, რომ გრიპის ვირუსით ინფიცირების პიკმა უკვე გადაიარა, თუმცა შემთხვევების გამოვლენა რამდენიმე კვირა კიდევ გაგრძელდება.

„ინტერპრესნიუსი“

საქართველოს „მაკდონალდსი“ ევროპის მასშტაბით საუკეთესოა

რუსთაველზე, „მაკდონალდსში“ მისულს ჩვეული გარემო დამხვდა — სისუფთავე, მადისაღმძვრელი სურნელი, მომღიმარი მომსახურე პერსონალი, ხალხმრავლობა და პატარების ჟრიამული. განსხვავებული მხოლოდ ერთი რამ იყო — ცენტრალური შესასვლელიდან მარცხნივ, წითელ პედესტალზე მოთავსებული ჯილდო, რომელიც, როგორც ამიხსნეს, საქართველოს „მაკდონალდსის“ ქსელმა სულ ახლახან მიიღო 2012 წლის საუკეთესო მაჩვენებლებისთვის. ეს ევროპის მასშტაბით საუკეთესო შეფასებაა.

„მაკდონალდსის“ გენერალურმა დირექტორმა, თენგიზ კაპანაძემ განმიმარტა, რომ რესტორნების წამყვანი გლობალური ქსელი „მაკდონალდსი“ ასეთ ჯილდოს ყოველწლიურად, სხვადასხვა მონაცემის ანალიზის შედეგად აწესებს და საუკეთესო რეზულტატის მქონე მხოლოდ ერთ ქვეყანას გადასცემს. მარტივად და ოდნავ იუმორით რომ ვთქვათ, საქართველოს „მაკდონალდსი“ წელს ევროპის ჩემპიონია და ამ პოზიციას ზედიზედ სამჯერ თუ არ დათმობს, ამერიკის, აზიის, იაპონიის, აფრიკის... „მაკდონალდსებსაც“ შეეჯიბრება და მსოფლიო ჩემპიონობისთვის იბრძოლებს. თენგიზ კაპანაძემ ისიც ამიხსნა, რომ მკაცრი შემოწმებისას განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა ხარისხი და სერვისი, ფინანსური რეზულტატები, გეგმის შედეგების ანალიზი, საიდუმლო მომხმარებლის — ვიზიტორების შეფასება...ყველაზე მეტი ყურადღება იმას მიაქციეს, რომ „მაკდონალდსის“ პროდუქცია იქმნება უსაფრთხო გარემოში, ყოველგვარი დანამატებისა და ჰორმონების გარეშე, რაციონი კი გამდიდრებულია ხილითა და ბოსტნეულით.

როგორც ჟურნალისტი და როგორც დედა, ცხადია, ყველაზე მეტად, „მაკდონალდსის“ პროდუქციის ხარისხით დავინტერესდი, მით უმეტეს, რესტორნების სწორედ ამ ქსელისკენ მიუწევთ პატარებს გული და რადგან „მაკდონალდსომანიით“ „დაავადებულ“ ყველაზე პატარა მომხმარებლებს, ყველაზე ხშირად აქ მოუხარიათ, რესტორნების ქსელის გენერალურ დირექტორს კითხვები სწორედ პროდუქციის ხარისხთან დაკავშირებით დავუსვი და მანაც გულწრფელად მიპასუხა.

ბავშვების ჯანსაღი რაციონი „მაკდონალდსში“

— ბატონო თენგიზ, „მაკდონალდსის“ პროდუქცია, ხარისხის თვალსაზრისით, არაერთხელ მოექცა კრიტიკის ქარცეცხლში. რამდენად უსაფრთხოა აქ კვება, მით უმეტეს, ბავშვების ჯანმრთელობისთვის?

— უსაფრთხო რომ არ იყოს და მომხმარებელს ხარისხიან პროდუქციას რომ არ ვთავაზობდეთ, ამ ჯილდოს ვერც მივიღებდით. გვიხარია და გვეამაყება, რომ ევროპაში საუკეთესო მაჩვენებლები გვაქვს. ეს, დიდწილად, იმის დამსახურებაცაა, რომ პროდუქტი, რომელსაც ჩვენი სტუმრები ასე გემრიელად მიირთმევენ, შემოწმების რამდენიმე ეტაპსა და ხარისხის მკაცრი კონტროლის საფეხურებს გადის. ინტენსიური კონტროლი ხორციელდება როგორც პროდუქტებზე, რომლისგანაც საკვები მზადდება, ასევე უკვე მზა პროდუქციაზე. მაგალითად, სანამ იყიდით „ბიგმაკს“, ის შემოწმების 98 საფეხურს გადის. ხორცის ხარისხი, დაახლოებით, 50-ჯერ მოწმდება. კარტოფილი ფრის მოსამზადებლად ვიყენებთ საუკეთესო ჯიშის კარტოფილს, რომელსაც ვწვავთ მხოლოდ 100%-იან მცენარეულ ზეთში. ვიყენებთ მხოლოდ ნატურალურ და ჯანსაღ პროდუქციას. 15 წლის განმავლობაში, ადამიანები თავად მიხვდნენ, რა არის „მაკდონალდსი“. ჩვენი პროდუქცია ჯერ „პლასტმასნარევი“ ეგონათ, მერე თქვეს, ძვირიაო... დღეს ეს მითები დამსხვრეულია და ხალხმა რეალობა დაინახა. ჩვენი წარმატების ფორმულა სწორედ ეს არის — მომხმარებლის ნდობა.

— და როგორია რეალობა, როგორი ხარისხის ან სადაური ხორცი შემოგაქვთ, საიდან ხდება ბოსტნეულის იმპორტი, რატომ იყენებთ გაყინულ პროდუქტს და ფრი მზადდება თუ არა ყოველ ჯერზე ახალ ზეთში?

— მსოფლიოში არსებული ხარისხის სტანდარტის შესაბამისად, უმაღლესი ხარისხის პროდუქცია გვაქვს. სწორედ ამ სტანდარტით ხდება პროდუქციის მოწოდება-ტრანსპორტირება-ოპერირება-მომზადება. სამწუხაროდ, ჩვენ არ გვყავს ადგილობრივი მომწოდებლები, მხოლოდ იმიტომ, რომ აქაური სტანდარტები საერთაშორისო უმაღლესი ხარისხის მაჩვენებლებს არ შეესაბამება. ადგილობრივად, მხოლოდ კიტრსა და პომიდორს ვიღებთ, სხვა ყველა პროდუქტი სხვადასხვა ქვეყნიდან მოგვეწოდება. მაგალითად, ხორცი შემოგვაქვს გერმანიიდან. „მაკდონალდსის“ ხორცი კონტროლდება ყველა ეტაპზე — მის შეფუთვაზე მითითებული კოდის „მაკდონალდსის“ სისტემაში შეყვანით, იხსნება ინფორმაცია, სად, რა პირობებში იზრდებოდა საქონელი, რით იკვებებოდა, როგორ დაიკლა, როგორ დახარისხდა. ნებისმიერი ცოცხალი არსება, დაკვლიდან 45 წუთის შემდეგ იწყებს ლპობას, ამიტომ საერთაშორისო სტანდარტით, საქონლის დაკვლისთანავე ხორცი იყინება და ეს შენახვის გაცილებით უსაფრთხო წესია, ვიდრე ნებისმიერი სხვა. ჩვენ ვიყენებთ საქონლის მხოლოდ სამკერდე ნაწილს, რაც საუკეთესო ხორცია. გვაქვს ასევე, საუკეთესო და ძალიან ძვირადღირებული ალასკას თევზი „საიდა“, რომელიც ეკოლოგიურად სუფთა გარემოში იზრდება. კარტოფილი შემოგვაქვს პოლონეთიდან, სადაც მისი დაჭრა-შენახვა შოკურად ხდება, რათა ყველა თვისება შეინარჩუნოს. ზეთის ხარისხზე უკვე მოგახსენეთ, რაც შეეხება წვის დროს მის გამოცვლას, მას ვფილტრავთ და ლაკმუსის ქაღალდით ვაკონტროლებთ კიდეც, როდის უნდა მოხდეს მისი გამოცვლა. ასევე, უმაღლესი ხარისხის სალათა შემოგვაქვს ესპანეთიდან, ირანიდან და თურქეთიდან. „მაკდონალდსი“ სალათის მხოლოდ სპეციფიკურ ჯიშს იყენებს, რომელსაც აისბერგი ჰქვია, უმაღლესი ხარისხისაა და ორგანიზმის საუკეთესო გამწმენდად ითვლება. ასე რომ, ჩვენი პროდუქცია, სასარგებლოც კია.

— მაგრამ, „მაკდონალდსი“ რესტორნების ქსელია და თქვენი პროდუქციის სისტემატურად მიღება, განსაკუთრებით ბავშვებისთვის, სასურველი არ უნდა იყოს.

— არ გეთანხმებით. მთავარია, მიირთვა ხარისხიანი პროდუქცია და იცოდე, რაციონი როგორ შეადგინო. არ არის სასურველი, ყოველდღიურად ერთი და იგივე კერძის მიღება. ჩვენ ვცდილობთ, საკვები კიდევ უფრო ჯანსაღი გავხადოთ, ამისთვის, ვამცირებთ ცხიმიანობას, მარილიანობას, მენიუს ვამდიდრებთ მცენარეული საკვების ფართო არჩევანით, როგორც უფროსების, ასევე ბავშვებისთვის, მაგრამ მომხმარებლის არჩევანზეც ბევრია დამოკიდებული. მაგალითად, სამწუხაროდ, „ჰეპიმილი“ აღქმულია როგორც მხოლოდ „კოკა- კოლა“ და კარტოფილი. არადა, ჩვენ „ჰეპიმილში“ არის ასევე წვენი, წყალი, ვაშლი, იოგურტი... მშობელს შეუძლია, შეიძინოს კარტოფილი და ფრეში ან კარტოფილი და იოგურტი, ვაშლი და სენდვიჩი ან ქათმის ნაგეცები...

— თავად ხშირად დაგყავთ ბავშვები „მაკდონალდსში“?

— დიახ. ჩემს მეუღლეს ძალიან ხშირად მოჰყავს ბავშვები „მაკდონალდსში“. ვიმეორებ, მთავარია, სწორი კომბინაციით აურჩიო პატარებს რაციონი და რაც ძალიან მნიშვნელოვანია, სხვადასხვა დღეს, სხვადასხვა პროდუქცია მიაწოდო. სხვათა შორის, მომხმარებელს კვების კულტურის გამომუშავებაშიც ვეხმარებით — მხოლოდ ჩვენ გვაქვს საინფორმაციო ბუკლეტები, სადაც ყველა პროდუქტის კალორიულობა და შემადგენლობაა მოცემული. მისი დახმარებით, თუ სურვილი გაქვს, თავისუფლად აიწყობ ჯანსაღ რაციონს „მაკდონალდსში“.

ეს კი, უკვე ალბათ მშობლებისთვის იქნება საინტერესო. აბა, საქართველოში სხვაგან სად გაქვს ფუფუნება, ბავშვს ჯანსაღი საკვები აჭამო, თავად კი, კალორიები დაითვალო და ის მიირთვა, რაც კარგადაც დაგანაყრებს და წონაში მომატების პრობლემასაც არ შეგიქმნის.

„დასამალი არაფერი გვაქვს, ყველას შეუძლია ჩვენს სამზარეულოში შეიხედოს“, — მითხრა „მაკდონალდსის“ გენერალურმა დირექტორმა თენგიზ კაპანაძემ და მათთან დამკვიდრებული ტრადიცია, ღია კარის დღეები შემახსენა, რომელთა ფარგლებშიც, ნებისმიერ მსურველს აქვს საშუალება, „მაკდონალდსის“ ნებისმიერ რესტორანში ექსკურსია მოიწყოს, ნახოს რომელი პროდუქცია როგორ მზადდება და თავად კომპანიის წარმომადგენლებისგან მიიღოს ყველა კითხვაზე პასუხი. მათ შორის იმაზეც, სკოლის დამთავრებისთანავე „მაკდონალდსში“ სამუშაოდ მისული რიგითი თანამშრომელი, მონდომების შემთხვევაში, ამერიკული საერთაშორისო სისტემის უმაღლესი მენეჯერიც კი როგორ შეიძლება გახდეს. ეს „მაკდონალდსში“ არც ისე რთულია, რადგან აქ ცდილობენ, ნებისმიერ თანამშრომელს სათანადო ტრენინგები ჩაუტარონ და წინსვლაში დაეხმარონ, სამუშაო პირობები და გრაფიკიც მათ ცხოვრების წესზე მოარგონ. აქ ასაქმებენ 20-22 წლის ახალგაზრდებს ისე, რომ პარალელურად, სწავლაში ხელი არ შეეშალოთ. ეს კი, ცხადია, „მაკდონალდსის“ ხელმძღვანელების ინტერესშიც შედის — სასიამოვნო, სუფთა გარემოსთან ერთად, სამუშაო პირობებითა და ანაზღაურებით კმაყოფილი პერსონალი, მომხმარებელს ათმაგად მაღალხარისხიან მომსახურებას სთავაზობს და იმაზეც სიამოვნებით ზრუნავს, ნებისმიერი ასაკის ადამიანისთვის, განსაკუთრებით კი პატარებისთვის, „მაკდონალდსში“ სტუმრობა ნამდვილ დღესასწაულად იქცეს.

ნინო ლურსმანაშვილი

ნელი თორდია
593-61-07-72

„ვერსიამ“ თბილისელი ბავშვებისთვის წართმეული 45 ბაგა-ბაღის სია მოიპოვა!

საპარლამენტო უმრავლესობის წევრის, თინათინ ხიდაშელის მიერ წარმოდგენილმა კანონპროექტმა, რომელიც სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში გადასახადის გაუქმებას ითვალისწინებს, აქტუალური გახადა მერიის მიერ დახურული, გაყიდული თუ გასაყიდად გამზადებული ბაგა-ბაღების სახელმწიფოსთვის დაბრუნების საკითხი. თბილისის საკრებულოში ასევე აქტიურად განიხილება მერიის მიერ 2007 წელს კანონდარღვევით ჩატარებული კონკურსის შედეგების ბათილად ცნობის საკითხიც.

თბილისის საკრებულოში სკოლამდელი დაწესებულებების საქმის შემსწავლელი დროებითი კომისია იქმნება

„ვერსიამ“ მოიპოვა 2007 წლის სექტემბრიდან დღემდე ბავშვებისთვის წართმეული ბაგა-ბაღების სია, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

ბაგა-ბაღები №7, 15, 25, 30, 49, 53, 57, 68, 69, 82, 132, 139, 152, 91, ვალდორფის ბაღი, 130, 199, 203, 14, 165, 168, 149, 118, 12, 179, 146, 204, 128, 206, 37, 99, 120, 140, 35, 101, 33, 134, 175, 78, 93, 88, 44, 60, 21, 106.

45 ბაგა-ბაღის გარდა, აქტუალურია კითხვები, რომელზეც დღეს საზოგადოებას პასუხი არ აქვს. „ვერსია“ შეეცადა გაერკვია, ვინ და როგორ აპირებდა პატარების ხარჯზე ხელის მოთბობას, რატომ ჭიანურდება სკოლამდელი აღზრდის სისტემაში დაგროვილი პრობლემების მოგვარება და რატომ არ ხდება ბაგა-ბაღებიდან პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებული თანამშრომლების საქმეების შესწავლა? — ამ საკითხებზე თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-თბილისელების“ თავმჯდომარეს, **გულიკო ზუმბაძეს** დავუკავშირდით, რომელმაც განმარტა: „ჯერჯერობით, დეტალებზე ვერ გესაუბრებით, მაგრამ სკოლამდელი აღზრდა და მასთან დაკავშირებული საკითხები მიმდინარე კვირის ბოლოდან ჩვენი ყველაზე მნიშვნელოვანი პრიორიტეტი გახდება. უახლოეს ხანებში ჩვენი ფრაქცია მიმართავს ზაალ სამადაშვილს თხოვნით, შეიქმნას სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების პრობლემების შემსწავლელი დროებითი კომისია. ეს აუცილებელია, რადგან საკრებულოში არსებული განათლებისა და კულტურის კომისია არაფერს აკეთებს. რამდენიმე თვეა საკრებულოში ვარ, კომისიას არც ერთ საკითხზე არ უმსჯელია.

უფასო სკოლამდელი აღზრდა იმას ნიშნავს, რომ ყველა ბავშვს, მათ შორის იმათაც, ვინც მერიის მიერ დაწესებული გადასახადების გამო, ამას მოკლებული იყო, ბაღში სიარულის საშუალება მიეცემა. არსებული საბავშვო ბაღები ვერ უზრუნველყოფენ მთელი კონტინგენტის მომსახურეობას, ამიტომაც დროებითმა კომისიამ სასწრაფოდ უნდა გაატაროს მთელი რიგი ღონისძიებები: აღწეროს მოქმედი და გაუქმებული საბავშვო ბაღები და შეაფასოს მათი მდგომარეობა. მოქმედ ბაღებში დათვალოს ბავშვთა რაოდენობა. დაადგინოს, არის თუ არა გაუქმებულ ბაღებს შორის რომელიმე გაყიდული და გაარკვიოს, რამდენად კანონიერად მოხდა ეს.

— ერთ-ერთი ვერსიით, თბილისის პრესტიჟულ უბნებში მდებარე დახურული ბაღები მერიის მაღალჩინოსნებმა და მათთან დაახლოებულმა პირებმა სიმბოლურ ფასად, 1 ლარად შეიძინეს.

— ამასთან დაკავშირებით, ჯერჯერობით, ვერაფერს გეტყვით, რადგან დასადგენია, არსებობს თუ არა გაყიდული ბაღები და გასარკვევია, რამდენად კანონიერად ჩატარდა გასხვისების პროცედურები. ამის შემდეგ უნდა განისაზღვროს, რა თანხა იქნება საჭირო დახურული ბაღების გახსნისათვის. რაც შეეხება კადრებს, ამ მიმართულებით პრობლემა არ არსებობს, რადგან ძალიან ბევრი კვალიფიციური თანამშრომელი უმუშევრადაა დარჩენილი. სამწუხაროდ, სკოლამდელი დაწესებულების თანამშრომლების პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან გათავისუფლების საკითხი განათლების სამინისტროს კომისიაში არ განიხილება. რადგან საბავშვო ბაღები თვითმმართველობის ორგანოებს აქვთ დელეგირებული, ჩათვალეს, რომ არ იყო საჭირო. საკრებულოს დროებითი კომისია ამ კუთხითაც დასვამს საკითხს, ხოლო როცა საკრებულოს უმრავლესობაში ვიქნებით, აუცილებლად შევქმნით სპეციალურ კომისიას სკოლამდელი აღზრდის სისტემიდან პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლებული ადამიანებისთვის. მე ვიცი ბაღის გამგეები, რომლებიც 2007 წელს ხელის ერთი მოსმით გაათავისუფლეს. მერიის მიერ კონკურსად გამოცხადებული ფარსის შემდეგ, ამ ადამიანებმა სასამართლოში იჩივლეს და პირველ ინსტანციაში საქმის მოგების შემდეგ, სააპელაციოში წაგეს. დღეს კი არსებობს მერიის მიერ 2007 წელს ჩატარებული ბაგა-ბაღების შესარჩევი კონკურსის შედეგების ბათილად ცნობის შანსი. უბრალოდ, ჩვენ ამას სწრაფი ტემპით ვერ მივყვებით, რადგან საკრებულოს უმრავლესობაში დღესაც ნაციონალური მოძრაობაა.

ქვეყნის გაერთიანება ეკონომიკით დაიწყება

ზურაბ გამრეკელი

საქართველოში 2008 წლამდე კონფლიქტების მშვიდობიანი, ეკონომიკური თანამშრომლობის გზით დარეგულირების, ერთი-ორი წინადადება იყო შემუშავებული. ისინი ადმინისტრაციულ საზღვრებსმიღმა ეკონომიკურ თანამშრომლობაზე იყო დაფუძნებული, რაც თბილისის არაკონტროლირებად ტერიტორიაზე, ბუნებრივია, ვერ განხორციელდებოდა...
რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ კოლუმბიის უნივერსიტეტის ჰარიმანის ინსტიტუტის პოლიტოლოგების შექმნილ კონცეფციაში „ჩართულობა აღიარების გარეშე“ (2010 წლის ოქტომბერი) წარმოდგენილი წინადადებები საყურადღებოა, მაგრამ ზედმეტად ნეიტრალური. წარმოდგენილი სტრატეგიის არსი პოლიტიკურ პროცესებში რუსეთის მეორეხარისხოვან პოზიციაზე გადანაცვლებასა ან ვითარების მისი გვერდის ავლით მართვაში მდგომარეობს, მაგრამ მასში მინიმალურადაა ასევე წარმოდგენილი ამ პროცესებში თბილისის მონაწილეობა.
მოგვიანებით, გამოქვეყნდა საქართველოს მაშინდელი მთავრობის დოკუმენტები — „სახელმწიფო სტრატეგია ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ — ჩართულობა თანამშრომლობის გზით“ და „ჩართულობის სტრატეგიის სამოქმედო გეგმა“, რომლებიც მიმართულია აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესებისაკენ. ამ დოკუმენტებში ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრებთათვის და საქართველოს დანარჩენი მოსახლეობისთვის გარანტირებული უფლებებით სარგებლობის უზრუნველყოფისკენ, საზოგადოების წევრებს შორის ურთიერთობების აღდგენისკენ მოწოდებები უფრო ჩანს, ვიდრე კონკრეტული ნაბიჯები. რეუნიფიკაციის მსოფლიო გამოცდილება სწორედ კონკრეტული ნაბიჯების გადადგმაზეა ორიენტირებული.

რეუნიფიკაციის ეკონომიკური სივრცე

25 თებერვალს, ქართული ტერიტორიების ოკუპაციის დღესთან დაკავშირებით, გვინდა, დეოკუპაციისა და რეუნიფიკაციის რამდენიმე მაგალითი წარმოვადგინოთ. კერძოდ, ჩინეთის საგარეო კომერციის სამინისტროს ინიციატივით, ქვეყნის ცენტრალური, ჰენანის პროვინციის მთავარ ქალაქ ჩენჯოუში, ყოველწლიურად იმართება ჰენანის საერთაშორისო ბაზრობა. ეს მასშტაბური ღონისძიება ჩინეთის საერთაშორისო ეკონომიკური კავშირების განმტკიცების („ახალი აბრეშუმის გზა“) და მოწინავე მსოფლიო ტექნოლოგების მოზიდვის გარდა, ქვეყნის ეკონომიკური ინტეგრაციის განმტკიცებას უწყობს ხელს. ჩინეთის გეოგრაფიულ ცენტრში მოწყობილი ეს ბაზრობა, უპირველესად, ჩინეთის ავტონომიებში ცენტრისკენული ტენდენციების სტიმულირებისა და სეპარატისტული ტაივანის და ახლადშემოერთებული (1997 წ.) ანუ დეოკუპირებული ჰონგკონგის ეკონომიკური რეუნიფიკაციისთვის იმართება. აქვე უნდა ითქვას, რომ ტაივანიცა და ჩინეთიც, 2001-2002 წლებიდან მსო-ს წევრები არიან და ერთმანეთთან საკმაოდ მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობა გააჩნიათ. საკმარისია აღინიშნოს, რომ ამ საუკუნის დასაწყისისთვის (2004 წ.), ჩინეთში 60 მლრდ დოლარამდე ტაივანური ინვესტიცია იყო შესული, სამაგიეროდ, ყველა ჩინური პორტი და აეროპორტი ღია იყო ტაივანური ტრანსპორტისათვის. რაც ყველაზე საინტერესოა, თვით ტაივანის მმართველ ლიბერალურ-კონსერვატიულ პარტიაში პრეზიდენტ ჩენ შუ-ბიანსა და რადიკალური სეპარატიზმის ფრთას შორის სერიოზულად დაიძაბა ურთიერთობები. პოლიტიკოსების ნაწილი ჩინეთ-ტაივანის რეუნიფიკაციაზე ალაპარაკდა.

გაერო-ში შემუშავებული კლასიკური თეორიით, კონფლიქტების მოწესრიგებაში უპირველესი ნაბიჯი ეკონომიკური რეაბილიტაციისა და თანამშრომლობის დაწყებაა. სწორედ ამ ამოცანის გადაწყვეტაზეა დამოკიდებული დემილიტარიზაციისა და პოლიტიკური სტატუსის შესახებ მოლაპარაკებების წარმატება. ეს ეტაპი კონფლიქტების მშვიდობიან მოგვარებაში აუცილებლად გასავლელია, რადგანაც საყოველთაოდ ცნობილია, რომ ეკონომიკის მამოძრავებელი ძალა ინტერესებია. ცალკეული რეგიონების, სოციალური ფენების, დარგების ინტერესები ფორმირდებიან ხელისუფლების შტოების, სახელმწიფო ორგანოების ლობისტურ ინტერესებად. ეს ობიექტური რეალობაა. ასეთი დაინტერესების მაგალითები მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში შეიძლება მოვიძიოთ. კერძოდ, სტატისტიკა გვიჩვენებს, რომ ბოლო წლებში დიდი ბრიტანეთის ცენტრალური ბიუჯეტიდან ერთობლივი (პარიტეტული) პროექტების დაფინანსება ოლსტერში დაძაბულობის ზრდასთან ერთად იზრდებოდა. ასევეა ესპანეთში ბასკეთისა და კატალონიის ავტონომიების შემთხვევაში. 1997 წელს, დიდი ბრიტანეთის ჰონგკონგიდან გასვლის შემდეგ, ამ ყოფილ კოლონიაში საკმაოდ მძლავრობდა სეპარატისტული ტენდენციები, მაგრამ როგორც კი ჰონგკონგის ადმინისტრაციულ საზღვართან ჩინეთის ცენტრალურმა მთავრობამ რამდენიმე სპეციალური ეკონომიკური ზონა დააფუძნა, სეპარატისტული ტენდენციები შესუსტდა.

ამასთან, საქართველოს მსგავსად, ჩინეთიც მრავალეროვანი ქვეყანაა და იქ ცენტრიდანული ტენდენციები პერიოდულად მაინც ვლინდება – ის ტიბეტის, სინძიან-უიღურის, შიდა მონღოლეთის ავტონომიებს, 55-ზე მეტ მცირე (ამ სიტყვის ჩინური გაგებით, თორემ რაოდენობრივად თითქმის ყველა მათგანი რამდენიმე მილიონს შეადგენს!) ერს და შესაბამისად, ავტონომიურ ოლქსა და რაიონს აერთიანებს. ამ ეთნიკურ სიჭრელეს ემატება 16 მასშტაბური სპეციალური ეკონომიკური ზონა, რომლებიც ქვეყნის დანარჩენი ტერიტორიისგან ზონის დაცული ეკონომიკური საზღვრითაა გამოყოფილი.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, დღეს უკვე ჩამოყალიბდა ჩინეთის ერთიანი ბაზარი, რაც ჰენანის და მისი მსგავსი ბაზრობების „დამსახურებაა“. ცხადია, კომუნისტურ ჩინეთში ახსოვთ ერთი ბედკრული ქართული წარმოშობის ბოლშევიკის განმარტება, რომლითაც ერის ერთობის ხუთ ნიშანს შორის „ერთიანი ეროვნული ბაზარი“ — ერთ-ერთი მთავარია. სხვათა შორის, ანალოგიური დატვირთვა აქვს ინდოეთში, ნიუ–დელის ბაზრობას (India International Trade Fair), რომელიც შარშან 32-ჯერ ჩატარდა...

თუ ჰენანს თავისი დანიშნულებით (და არა მასშტაბებით), ძალიან უხეშად, საქართველოს რეალობას შევადარებთ, — ის ჩინეთისთვის დაახლოებით იგივე როლს თამაშობს, რასაც ჩვენში 2004 წლამდე ერგნეთის ბაზრობა ასრულებდა.

სპეციალური ზონების როლი

ერგნეთის ბაზრობის ქვეყნის რეუნიფიკაციისთვის გამოყენებისა და მისი გაუქმების მოსალოდნელი ნეგატიური შედეგების შესახებ, ამ სტრიქონების ავტორმა რამდენიმე პუბლიკაცია 2004-2005 წლებში, გაზეთ „24 საათის“ ფურცლებზე გამოაქვეყნა. იმ დროს, ცხინვალსა და ჯავაში, ერგნეთის ბაზრობის გავლენით, უკვე ქართული ლარი მიმოიქცეოდა, ცხინვალში ქართული კომპანიებისა და ბანკების ფილიალების გახსნა იგეგმებოდა, ხოლო იქაური მეწარმეები ყოველდღიურად ჩამოდიოდნენ ლილოს და სხვა ბაზრობებზე, საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში. აღარაფერს ვამბობთ ერგნეთის ბაზრობაზე ჩამოყალიბებულ ყოველდღიურ და გრძელვადიან პარტნიორულ ურთიერთობებზე, რომლებიც ადამიანურ მეგობრობაშიც გადაიზრდებოდა ხოლმე.

დასასრული მე-14 გვერდზე

როდესაც ჭორი სიმართლეს სჯობს

რამდენიმე დღის წინ, ერთ-ერთ არხზე დილის გადაცემაში ვიყავი მიწვეული დაუმთავრებელი მშენებლობების თემაზე. გადაცემამდე თემას უფრო დეტალურად გავეცანი. საოცარია, რამდენი ადამიანია, რომელსაც ბანკში სესხი აქვს აღებული, მისი ბინის ჩაბარების პერსპექტივა კი არ ჩანს. სამწუხაროა, რომ ბევრ შემთხვევაში, ასეთი მდგომარეობიდან გამოსავალი თითქმის არც არსებობს. აღნიშნულმა სიტუაციამ კვლევის ჩატარების იდეა გამიჩინა, საინტერესოა, ჯამურად, რამდენია ის თანხა, რომელიც მხოლოდ დაუმთავრებელი მშენებლობების გამო დაკარგეს ადამიანებმა?

თუმცა, საინტერესო ისიცაა, ვინმე თუ ოდესმე „მოიცლის“ ამ ადამიანებისთვის. სახელმწიფო აქ ოფიციალურად არაფერ შუაშია, მას არ მიუცია არანაირი გარანტია მოსახლეობისთვის სამშენებლო კომპანიებთან მიმართებაში. რაც შეეხება კერძო კომპანიებს, ისინი ან გაკოტრდნენ ან მათი მეპატრონეები გაიქცნენ, „უკეთეს შემთხვევაში“ კი, პასუხისგებაში არიან მიცემულები, თუმცა ვერავინ იშვერს ხელს ერთი პირის თუ ერთი კომპანიისკენ და ვერ ამბობს, რომ მხოლოდ მან (პირმა ან კომპანიამ) მიითვისა სამშენებლო თანხები და უბინაოდ დატოვა მოსახლეობა. ყველა თანხმდება და იაზრებს, რომ პრობლემა სისტემური იყო და საქმე „რაღაც სხვა,“ შესაძლოა, ობიექტურ მოვლენასთანაც გვაქვს.

რეალობაა ისიც, რომ სულ გვიყვარს ახალ პრობლემებზე საუბარი და ბევრს გვავიწყდება ის ადამიანები, რომლებიც რამდენიმე წლის წინ, ყველაზე მეტად დაზარალებულები აღმოჩნდნენ. ვგულისხმობ ბოლო რამოდენიმე კვირის განმავლობაში გააქტიურებული ანაბრების თემას. თითქოს ბევრმა დაივიწყა ეს პრობლემა, თუ არ დაივიწყა, ყოველ შემთხვევაში, გამოსავლის ძიებითაც არ იწუხებს თავს, თუმცა ეს ხომ კერძო პრობლემა არ არის.

როდემდე უნდა მოიქცეს სახელმწიფო ისე, თითქოს ეს მისი ვალია, მაგრამ ამავე დროს, მისი ვალიც არ არის, როდემდე უნდა ელოდოს მოსახლეობა უკვე „არა საკუთარ“, არამედ სახელმწიფოს მხრიდან ერთგვარი „მოწყალების სახით“ მისაღებ ფულს? მგონი, დროა, რაღაც შევცვალოთ.

სპეკულაციები კი მრავლადაა ამ თემის გარშემო. წმინდა ქართულ რეალობასთან გვაქვს საქმე: მოდი, მოვძებნოთ ვინმე, ვისაც ყველაფერს დავაბრალებთ, დანარჩენები ხომ ყველანი ანგელოზები ვართ. თუ ვინმეს დაბრალდება, პრობლემაც მოიხსნება, სახელმწიფოს ვალდებულებებიც გაქრება, უბრალოდ, მერე სახელმწიფო „კეთილ ნებას“ გამოიჩენს და ვითომ ვინმეს მიერ „შეჭმულ“ თანხას დააბრუნებს.

ეს ბოლო ეპიზოდი თითქოს მომავალ დროში მოვყევი, მაგრამ სინამდვილეში, ეს უკვე მოხდა: საქართველოს საკუთარი მოსახლეობის წინაშე 90-იან წლებში 8 მილიარდ დოლარზე მეტი დავალიანება აღმოაჩნდა. ეს დავალიანება მოსახლეობის მიერ შეტანილი ანაბრები იყო. რა გამოსავალი მოიძებნა ამ დროს? ზემოთ ნახსენები, ძალიან მარტივი გამოსავალი. გამოიკვეთა ერთი მცირე ჯგუფი და ერთიც ორგანიზაცია და ითქვა, რომ ყველა თანხა მათ წაიღეს.

უამრავმა ადამიანმა დაიჯერა ეს. სახელმწიფომ კი ამით ძალიან მოიგო. მისი უდიდესი პრობლემა რამდენიმე ადამიანსა და ერთ ორგანიზაციას „უაპელაციოდ“ აკიდა, თავად კი ამ სიტუაციაში დიდად კეთილმოსურნე გამოვიდა — გარკვეული პერიოდის მერე, გამოიჩინა რა კეთილი ნება და 8 მილიარდი დოლარიდან 502 მილიონი ლარი ვალად აღიარა.

თუ ეკონომიკის ანბანი გესმის და საქართველოს ბოლო ოცწლიან ისტორიას ცოტათი მაინც იცნობ, ერთი ადამიანის ან ორგანიზაციის მიერ 8 მილიარდზე მეტი დოლარის მითვისებას ირონიით შეხედავ, თუმცა, სამწუხაროდ, ბევრს, სიმართლესა და ანალიზს ჭორი ურჩევნია, რადგან ჭორი ფიქრს არ მოითხოვს, მარტივად ისმინება. სიტუაცია აშკარად შესაცვლელია, თან რადიკალურად, რადგან, მუდმივი სპეკულაცია, მუდმივი გადაბრალება ვერაფერი შვებაა იმ მოქალაქეებისათვის, რომელთაც საკუთარი თანხები სახელმწიფოს ანდეს. სინამდვილეში, რამდენიმე სასწრაფოდ გადასადგმელი ნაბიჯია ამისთვის საჭირო:

1. ვალი აღიარებულია, თუმცა ვფიქრობ, მისი ინდექსაცია კითხვის ნიშნებს ბადებს, შესაბამისად, კარგი იქნება, თუ ეს თემა კიდევ ერთხელ გადაიხედება;

2. საჭიროა, მოძიებულ იქნას წყარო, რომელიც უზრუნველყოფს წარმოქმნილი დავალიანების გასტუმრებას (მაგალითად, ლიტვამ პრივატიზაციიდან შემოსული თანხების დიდი ნაწილი მიმართა პრობლემის მოსაგვარებლად);

3. საჭიროა, მეთოდოლოგია შემუშავდეს, თუ რა „სტატუსით“ გასცემს სახელმწიფო ამ თანხებს; ნებისმიერ შემთხვევაში, ჩემს მიერ ჩამოთვლილ სამ ეტაპს, აუცილებლად ესაჭიროება კიდევ ერთი რამ — მონიტორინგი. მონიტორინგი, რომელშიც მონაწილეობა, შესაძლოა, მიიღონ შესაბამისი სფეროს ექსპერტებმა, ანალიტიკოსებმა, მკვლევარებმა, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

მონიტორინგის პროცესში ფართო ჩართულობა პროცესის გამჭვირვალობას უზრუნველყოფს. გამჭვირვალობა კი, თავის მხრივ, საჭიროა იმისთვის, რომ გამოირიცხოს საფუძველი ახალი სპეკულაციის, ახალი ლეგენდის, ახალი გადაბრალების ტალღის და პროცესის სამართლიანობაში მაქსიმალურად მეტი ადამიანი დარწმუნდეს. ვფიქრობ, დროა, გადაიდგას ნაბიჯები, რათა ეს თემა ერთხელ და სამუდამოდ დაიხუროს, რადგან სხვა საქმე ისედაც საკმარისად ბევრია. ამასთან, პირველ რიგში, სწორი დიაგნოზის დასმაა საჭირო.

ზემოთ მშენებლობებზე ვსაუბრობდი, პრობლემა არის, მაგრამ პრობლემა სწორად გააზრებული და აღქმულია, აი, ანაბრების შემთხვევაში კი სამწუხაროდ, პრობლემის სწორად აღქმა ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა, თუმცა ბოლო პერიოდში ინიცირებული დისკუსია ამ თემაზე მაძლევს იმედს, რომ პრობლემის სწორად გაანალიზებას საქართველოს ყველა მოქალაქე შეძლებს.

P.S. რამოდენიმე დღის წინ, „ფორბსის“ მილიარდერების სიას ვათვალიერებდი, ვერც ერთი ქართველი ვერ ვიპოვე, ვინც 8 მილიარდზე მეტი დოლარის მფლობელი იყო.

გიორგი აბაშიშვილი, commersant.ge

რეჯეპ ტაიპ ერდოღანი CNN-თან ინტერვიუში: „ქართული ფესვები მაქვს“

თურქეთის პრემიერ-მინისტრის რეჯეპ ტაიბ ერდოღანის განცხადება, გაკეთებული ტელეკომპანია CNN-თან ინტერვიუში: **„მე ეროვნებით თურქი არ ვარ. დავიბადე რიზეში, სოფელში, რომელსაც ბერძნული სახელი აქვს. ფესვები კი ქართული მაქვს. ძალიან მიყვარს თურქეთის მეზობელი ეს პატარა ქვეყანა. ქართული ენაც ძალიან ლამაზია და ახლა ჩვენ დავიწყეთ ქართული კულტურული ძეგლების რესტავრაცია და აღდგენა. ეს მთელი თურქეთისთვის საამაყო საქციელია“.**

„ნიუს პოსტი“

გუდაური-კობის მონაკვეთზე ავტოტრანსპორტის მოძრაობა აკრძალულია

მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის გუდაური (ფოსტა) - კობის მონაკვეთზე, ინტენსიური თოვისა და ქარბუქის გამო, ყველა სახის ტრანსპორტის მოძრაობა აკრძალულია.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტიდან აცნობეს.

მათივე ინფორმაციით, არაგვისპირი-გუდაურისა(ფოსტა) და კობი-ლარსის მონაკვეთებზე აკრძალულია მისაბმელიანი, ნახევრადმისაბმელიანი ავტოტრანსპორტისა და 30 ადგილზე მეტი ტევადობის ავტობუსების მოძრაობა. დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია არაგვისპირიდან მლეთამდე და კობიდან ლარსამდე მონაკვეთებზე.

მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის საავტომობილო გზის მლეთა-გუდაურის (ფოსტა) მონაკვეთზე დანარჩენი სახის ავტოტრანსპორტის მოძრაობა დასაშვებია მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვების გამოყენებით, ორი და მეტი წამყვანი ხიდის ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია. აღნიშნული რეჟიმით გადაადგილება ხორციელდება საპატრულო პოლიციის უშუალო ზედამხედველობითა და კოორდინაციით.

როგორც საავტომობილო გზების დეპარტამენტში განმარტავენ, საქართველოს გზებზე სხვა რეჟიმები არ მოქმედებს და ყველა სხვა მონაკვეთში ავტოტრანსპორტის მოძრაობა თავისუფალია.

„ინტერპრესნიუსი“

ქვეყნის გაერთიანება ეკონომიკით დაიწყება

მე-13 გვერდიდან

2004 წელს, შიდა ქართლის რეგიონში კონტრაბანდასთან ბრძოლის საბაბით, საქართველოს პროკურატურამ და უშიშროებამ ცხინვალისკენ მიმავალი გზების განადგურება დაიწყო, ხოლო აფხაზეთის ადმინისტრაციული საზღვრის პერიმეტრზე შსს სპეცრაზმი ჩააყენა. იმ დროს ერგნეთის ბაზრობის ან ენგურისპირა ვაჭრობის დასაცავად ხმები კანტი-კუნტად გაისმოდა. ენგურის გასწვრივ ეკონომიკური აქტივობის შეფერხებამ და ცხინვალთან, 2004-2005 წლებში, ერგნეთის ბაზრობის გაუქმებამ, მართალია, ხელი შეუწყო კონტრაბანდასთან წარმატებულ ბრძოლას, მაგრამ ამ აკრძალვებმა არაღიარებული რესპუბლიკების მოსახლეობის დიდ ნაწილში (მათ შორის ქართულენოვანშიც) ეკონომიკური კავშირების, გარკვეულწილად, ჩრდილოეთისკენ გადამისამართებასაც შეიძლება შეუწყოს ხელი....

საქმე ისაა, რომ დღეს ასეთი ბაზრობის არსებობის შემთხვევაში, საქართველოს ყველა რეგიონი და კავკასიის ყველა ქვეყანა, რუსეთი, ირანი და თურქეთი, საქართველოსთან უვიზო რეჟიმის არსებობის პირობებში, თავისი პროდუქციის შემოტანას და სარფიანად რეალიზაციას შეეცდება. საქართველო ამ რეგიონის ერთადერთი ქვეყანაა, რომელსაც ყველა მეზობელთან, ევროკავშირის მსგავსად, „ოთხი თავისუფლების“ — სამუშაო ძალის, საქონლის, მომსახურებისა და კაპიტალის დაუბრკოლებელი გადაადგილების (იმპორტი მხოლოდ დღგ-თი იბეგრება) რეჟიმი აქვს. მეტიც, რუსი მესაზღვრეების „სასაზღვრო პუნქტების“ არსებობის მიუხედავად, ცოტა მოგვიანებით, ოკუპირებული რეგიონების მეწარმეებიც შეეცდებიან ქართულ ბაზრობებზე თავისი პროდუქციის რეალიზაციას, რაც მათს ცენტრიდანულ მისწრაფებებს შეასუსტებს. მაგალითად, ვთქვათ, აფხაზეთიდან ადგილობრივი გლეხები და მეწარმეები სოჭის ოლიმპიურ მშენებლობებს კი არ მოამარაგებენ, არამედ თავის პროდუქციას ქართულ ბაზარზე გაყიდიან და ა.შ.

გერმანიის ერთიანობის ფონდის გამოცდილება

სავარაუდოდ, ჩვენში „სპეციალური ეკონომიკური ზონისა“ და სხვა ნორმატიული აქტების არსებობა, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში თავიანთ წვლილს შეიტანენ. საქმე ისაა, რომ შესაძლებელია სპეციალური ზონები შეიქმნას გალი-ზუგდიდისა და ცხინვალი-გორის ადმინისტრაციულ საზღვრებთან, გარკვეულ ზოლში. მოსახლეობის თვითიდენტიფიკაციისთვის უმნიშვნელოვანესია ერთიანი ეკონომიკური სივრცის, ერთიანი ბაზრის შეგრძნება. სწორედ ამიტომ, თუკი გეზი კონფლიქტების მშვიდობიან მოწესრიგებაზეა აღებული, სასურველია, შესაბამისი ეკონომიკური მექანიზმებიც შეიქმნას კონფლიქტისპირა რეგიონებში სპეციალური ზონების სახით.

კერძოდ, ამ ზონებში უნდა განხორციელდეს ე.წ. მშვიდობიანი რეუნიფიკაციის სახელმწიფო პროგრამები. მათ შორის, ოკუპირებულ და არაოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ფიზიკური და იურიდიული პირების პარიტეტული მონაწილეობით. შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებით შესაძლებელია, შეიქმნას სახელმწიფო (ცენტრალური) ბიუჯეტის „მშვიდობიანი რეუნიფიკაციის ფონდი“. მის შემოსავლებს შეადგენს თბილისის კონტროლირებად რაიონულ ბიუჯეტებში აკრეფილი საშემოსავლო გადასახადის, ვთქვათ, 1%. ადგილობრივი ბიუჯეტები, სავარაუდოდ, არ მოითხოვენ დანაკლისის ცენტრალური ბიუჯეტიდან ტრანსფერით შევსებას, რადგან თითოეული მოქალაქე და თვითმმართველობა ფსიქოლოგიურად დაინტერესდება თავისი შემოსავლის ნაწილით მონაწილეობა მიიღოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში. ფონდის სახსრების განმკარგავი შესაძლებელია იყოს სსიპ „ეროვნული საინვესტიციო სააგენტო“, რომელიც განახორციელებს სუბსიდირების (სუბვენციების) და საბანკო გარანტიების პროგრამებს, რაც დღეს მოქმედი კანონმდებლობით, სააგენტოს ფუნქციაა.

ასეთი ფონდის ფუნქციონირების კარგი გამოცდილებაა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ფინანსური გამოთანაბრების 1990-1994 წწ. არსებული კლასიკური — „გერმანიის ერთიანობის“ (German Unity Fund) ფედერალური ფონდის სახით. ეს ფონდი შეიქმნა „ლაანდების“ ანუ ფედერაციის სუბიექტების ბიუჯეტებიდან აკუმულირებული საშემოსავლო გადასახადების თანხებით. ის ყოფილი გდრ-ის, შედარებით ეკონომიკურად ჩამორჩენილი ექვსი „ლაანდისთვის“, დასავლეთ გერმანიის 10 „ლაანდიდან“ თანხების მობილიზაციისათვის შეიქმნა. ამ თანხებით ყოფილ გდრ-ში სხვადასხვა ბიზნეს-პროექტები ხორციელდებოდა. ოდნავ ამის მიმსგავსებული ფონდი არსებობდა 2001-2003 წწ. საქართველოს ბიუჯეტშიც „საინვესტიციო ფონდის“ სახით, ოღონდ რა თქმა უნდა, სხვა მიზნებით და მან, ძირითადად, წვრილი და საშუალო საინვესტიციო პროექტების განხორციელებას შეუწყო ხელი, თუმცა იმ წლებში არსებული საბიუჯეტო დეფიციტის პირობებში, „საინვესტიციო ფონდმა“ ვერ შეძლო სერიოზული საინვესტიციო კლიმატის შექმნა. „რეუნიფიკაციის ფონდის“ ფორმირების პროცესი შემდეგნაირად წარმოგვიდგება:

რეუნიფიკაციის ეკონომიკური მექანიზმი კონფლიქტურ ზონებთან ადმინისტრაციული საზღვრები საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების კონტროლირებადი ტერიტორიიდან უნდა გაიხსნას, კანონით ნებადართული ყოველგვარი სამეწარმეო საქმიანობისთვის. საბიუჯეტო „რეუნიფიკაციის ფონდის“ პარამეტრიდან გამომდინარე, მთავრობა სსიპ „ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოს“ ყოველწლიურად, თავისი დადგენილებით, დაუმტკიცებს სუბსიდირებისა (სუბვენციის) და გარანტიის პროგრამებს. შემდეგ „სააგენტოში“ შექმნილი საკონკურსო კომისია განიხილავს გალისა და ცხინვალის ადმინისტრაციულ საზღვრებთან შექმნილ სპეციალურ ეკონომიკურ ზონებში რეგისტრირებული მეწარმეების წარმოდგენილ პროექტებს. ასეთი პროექტების საფუძველი იქნება აფხაზურ ან ოსურ მხარესთან გაფორმებული კონტრაქტები (რომლებისთვისაც კონტრაქტების გაფორმების ინტერესი კონკურენტული ფასი ან რაიმე სხვა ეკონომიკური სტიმული შეიძლება გავხადოთ). ტენდერით შერჩეული ფირმების პროექტები დასამტკიცებლად წარედგინება „სააგენტოს“ სამეთვალყურეო საბჭოს. ძალზე მნიშვნელოვანია ის, რომ სამეთვალყურეო საბჭო არა მარტო ცენტრალური და ავტონომიის სამთავრობო სტრუქტურებით (ეკონომიკის, ლტოლვილთა და განსახლების, ფინანსთა სამინისტროები და სხვ.) იყოს დაკომპლექტებული, არამედ ისიც, რომ მასში არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებიც შევიდნენ.

საბჭოზე დამტკიცების შემდეგ პროექტი დაფინანსდება „რეუნიფიკაციის ფონდიდან“, ხოლო კონტრაქტის პირობების შესრულება სააგენტოს მხრივ მუდმივი მონიტორინგის ქვეშ იქნება. ასე მაგალითად, ვთქვათ „სააგენტოს“ მთავრობის დადგენილებით დაუმტკიცდა „2014 წლის გალიდან თხილის შესყიდვის პროცენტის სუბსიდირების“ პროგრამა. თუ ადმინისტრაციულ საზღვართან შექმნილ სპეციალურ ეკონომიკურ ზონაში, ვთქვათ, ზუგდიდის საგადასახადოში რეგისტრირებული ფირმა X წარმოადგენს გალელ გლეხებთან ან ბიზნესმენებთან კონტრაქტს და მის საფუძველზე შექმნილ (სადაც აუცილებელ პირობად დაფიქსირდება კონკურენტული ფასი, ლტოლვილთა რაღაც რაოდენობის დასაქმება, ვადები, პასუხისმგებლობა და ა.შ.) პროექტს, თხილის აფხაზეთის დანარჩენი ტერიტორიიდან კონკურენტულ ფასად, ვთქვათ, კილოგრამის 0,5 აშშ დოლარით მეტად შესყიდვის შესახებ, მაშინ ეს ფირმა მიიღებს მომსახურე კომერციული ბანკიდან აღებული კრედიტის ნაწილობრივ (ვთქვათ, არაუმეტეს 70%-ისა — იმის მიხედვით, თუ იმ წლის პროცენტის სუბსიდირების პროგრამაში როგორ დამტკიცდება მთავრობის დადგენილებით სუბსიდიის სიდიდე) „რეუნიფიკაციის ფონდიდან“ სუბსიდირებას. ასევე მთავრობის დადგენილებით დამტკიცდება, ვთქვათ, „2015 წლის გალიდან მანდარინის შესყიდვის სუბვენციის“, „2017 წლის ცხინვალის რეგიონში ყველის ერთობლივი წარმოების სუბსიდიის“, „2018 წლის სასმელი წყლის ერთობლივი ჩამოსხმის საბანკო გარანტიის“ პროგრამა და ა.შ.

ყოველივე ზემოაღნიშნული, არა მარტო დაასაქმებს ადგილობრივ მოსახლეობას, არამედ, რაც უფრო მნიშვნელოვანია, აღადგენს ურთიერთნდობას და არაღიარებულ რესპუბლიკებში წარმოქმნის მძლავრ ცენტრისკენულ ბიზნესლობის, წვრილი და საშუალო მეწარმეების სახით, რომლის უმთავრესი ინტერესი თბილისთან ეკონომიკური კავშირების გაფართოება იქნება.

დაბოლოს, საჭიროდ მიგვაჩნია, მსგავსი რეუნიფიკაციის პროექტების მუდმივად „გენერირება“. აუცილებელია სხვადასხვა კონფერენციებსა და სემინარებზე მათი პერიოდული პრეზენტაცია, რათა საერთაშორისო საზოგადოება დარწმუნდეს იმაში, რომ ჩვენს ქვეყანაში კონფლიქტების მოწესრიგების „მშვიდობის პარტიას“ ალტერნატივა არ გააჩნია და მშვიდობიან ეკონომიკურ თანამშრომლობაზე თბილისი უარს არ ამბობს.

ვერსიანიუსი

„მეცხრე არხის“ გენერალური დირექტორი ტელეკომპანიის გაყიდვაზე ინფორმაციას უარყოფს

ტელეკომპანია „მეცხრე არხის“ გენერალური დირექტორი ლუბა ელიაშვილი ტელეკომპანიის გაყიდვის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას უარყოფს და აცხადებს, რომ მსგავსი არაფერი სმენია.

„არაფერი ვიცი. მაგ ამბავს მე არავინ შემეკითხება, ხომ ასეა?“, — განაცხადა ლუბა ელიაშვილმა, თუმცა შემდეგ ხაზგასმით აღნიშნა, რომ „არხი არ გაყიდულა“.

გავრცელებული ინფორმაციით კი, „მეცხრე არხის“ ახალი მფლობელია კომპანია „გლობალ TV“-ს ამერიკელი თანამფლობელი ალექსანდრე რონჟესი. ტელეკომპანიის ყიდვა ქართველ ბიზნესმენ ვანო ჩხარტიშვილსაც სურდა, თუმცა საბოლოოდ არხი რონჟესს დარჩა. ალექსანდრე რონჟესი საზგდოებისთვის 2012 წლის ზაფხულში გახდა ცნობილი, როდესაც იგი თბილისის აეროპორტში რამდენიმე ხნით დააკავეს. ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური მას უკანონო შემოსავლის შესაძლო ლეგალიზაციის გამო ედავებოდა.

„ინტერპრესნიუსი“

ჯემალ ჭკუასელი: „ჩვენი პოლიტიკა ხელოვნებაა“

უამინდობის გამო, 4 მარტს, „ერისიონი“ გასტროლებზე ვერ გაემგზავრა. როგორც ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელმა, ჯემალ ჭკუასელმა „ინტერპრესნიუსთან“ საუბარში აღნიშნა, დიდთოვლობის გამო გამგზავრება შეფერხდა, თუმცა კომპანია „აირზენას“ დახმარებით, მოსკოვში 5 მარტს, დილით, გაფრინდებიან.

ამასთან, ჯემალ ჭკუასელმა კომენტარი გააკეთა იმ უარყოფით შეფასებებზე, რომელიც რუსეთში დაგეგმილ გასტროლებს მოჰყვა.

„ჩვენი პოლიტიკა ხელოვნებაა. ნუ ურევენ პოლიტიკას, სპორტს და ხელოვნებას ერთმანეთში. ჩვენ ვერავინ გვასწავლის ვინაა, რუსეთი, რა ხალხია და რა დამპყრობლები არიან. თუ მეტყვიან, წამოდი დავცხოთო, გავყვები მუშტითაც და ზარბაზნითაც. რატომ არ იხსენებენ 26 მაისს? მაგრამ ამ ამბის გადაფარვა უნდათ, 26 მაისი რა არის, ნახეთ „ერისიონი“, რას გვიშვრებაო. ჩვენ აუცილებლად გავფრინდებით რუსეთში და გავმართავთ კონცერტებს, რადგან სუროგატ ანსამბლებს არ მივცეთ საშუალება, ჩვენი სახელით გამართონ კონცერტები“, — განაცხადა ანსამბლ „ერისიონის“ სამხატვრო ხელმძღვანელმა ჯემალ ჭკუასელმა. „ერისიონის“ გასტროლები მოსკოვში რუსეთში მოქმედი ებრაული საპრომდიუსერო კომპანიის ეგიდით იმართება. კონცერტები, რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში, მათ შორის მოსკოვში, კრემლის საკონცერტო დარბაზიც გაიმართება. ტექნიკურ მხარდაჭერას მათ ფრანგი სპეციალისტები გაუწევენ. ანსამბლი საქართველოში 12 მარტს დაბრუნდება.

„ინტერპრესნიუსი“

150 000 მეტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოქალაქე საკანონმდებლო ბაზის მოწესრიგებას ითხოვს!

მერაბ ბერიძე

ჩვენს საზოგადოებაში არიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, მათ შორის ბავშვები, რომლებიც თანამემამულეებისგან მეტ ყურადღებასა და თანადგომას მოითხოვენ. სამწუხაროდ, სახელმწიფო და საზოგადოება მათ ადეკვატურ ყურადღებას ვერ აქცევს. პირიქით, ასეთი ადამიანები თავს გარიყულად გრძნობენ და მშობლების გარდა, მათი ბედით არავინ ინტერესდება.

შექმნილ მდგომარეობაში დედები იღებენ საკუთარ თავზე მთავარ პასუხისმგებლობას და ამ მხრივაც, ქვეყანაში არსებულ რთულ ვითარებაზე საუბრობენ. სწორედ მათ უწევთ იმ პრობლემებთან გამკლავება, რაც საზოგადოებისა და სახელმწიფოს მხრიდან ყოველდღიურად ხვდებათ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანებს. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მშობლები იმ საკითხებზე ამახვილებენ ყურადღებას, რომელთანაც ყოველდღიურად უწევთ გამკლავება. მათი თქმით, საქართველოში ამ მხრივ, ბევრი ხარვეზია. განსაკუთრებით, შესამჩნევია ეს პრობლემები განათლებისა და ჯანდაცვის სფეროში, თუმცა პრობლემა არსებობს საზოგადოებაშიც. მშობლების განცხადებით, ქვეყანაში ჯერ კიდევ არ არსებობს სრულყოფილი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოქალაქეების უფლებებს დაიცავს, მათ შორის არ არის რატიფიცირებული გაერო-ს შესაბამისი კონვენცია.

საქართველოში კი, ოფიციალური მონაცემებით, 150 000 მეტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოქალაქეა, ამიტომ მშობლები, პირველ რიგში, მოითხოვენ, დაუყოვნებლივ მოგვარდეს საკანონმდებლო ბაზა უნარშეზღუდულებისთვის, განათლებისა და ჯანდაცვის სფეროში. დედები სახელმწიფოს მოუწოდებენ ამ პრობლემების მოგვარება და ბავშვების მომავალზე ზრუნვა, ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად აქციოს.

ლია ტაბატაძე ამბობს, რომ ერთ-ერთი მთავარი პრობლემა სახელმწიფოს დამოკიდებულებაა; რადგან მისივე თქმით, იგი ამ საზოგადოების ნაწილს წარმოადგენს და მისი უმრავლესობის ნებას გამოხატავს: **„ჩვენ, დედები, სახელმწიფოსა და საზოგადოებას ტოლერანტობისა და სოლიდარობისკენ მოვუწოდებთ ამ თემის მიმართ. სახელმწიფოს მხრიდან არ არსებობს საკანონმდებლო ბაზა; არ არის რატიფიცირებული ამ დარგში გაერო-ს მიერ მიღებული კონვენცია. საზოგადოების მხრიდანაც არაჯანსაღი დამოკიდებულებაა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების მიმართ. ხშირად მათ ჰგონიათ, რომ ეს მდგომარეობა გადამდებია; თითქოს ტრაგედიაა, როცა ოჯახში შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვი იბადება. ჩვენ გვინდა ვთქვათ, რომ ძალიან ბედნიერები ვართ, რომ დედები ვართ და ასეთი შვილები გვყავს“.** თავის მხრივ, რუსუდან ტატიშვილის თქმით, ასეთი ოჯახების ძირითადი პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ყველაფერი ძალიან დიდ თანხებთან არის დაკავშირებული: **„შექმნილი ვითარებიდან გამოსავალი ისაა, რომ, ზოგადად, სახელმწიფომ ვალდებულება აიღოს ასეთ ადამიანებზე და მათი მომავლის გაუმჯობესებისთვის იზრუნოს. ძალიან საპასუხისმგებლოა, როდესაც შენი ოჯახის წევრი უნარშეზღუდულია“.**

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისა და მათი ოჯახებისთვის ბარიერები არსებობს სხვადასხვა ფორმით, მათ შორისაა, მაგალითად, უარყოფითი დამოკიდებულება, პოლიტიკა და კანონმდებლობა, რომელიც დისკრიმინაციული ხასიათისაა და არ არის ინკლუზიური ან ფიზიკური გარემო, რომელიც არ არის შესაბამისი. იქნება ეს სკოლაში მიღება თუ სათამაშო მოედანზე დაშვება, ჯანდაცვის მომსახურების ხელმისაწვდომობა, აუცილებელი კვება თუ საგანგებო სიტუაციების დროს დახმარება; ასეთი ბავშვები ბარიერს აწყდებიან ყოველდღიურად, რაც ხელს უშლის მათ თანაბარ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში. გაერო-ს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენცია, რომელიც ძალაში შევიდა 2008 წელს, აღიარებს, რომ ხშირად ეს ბარიერები უფრო მეტად ხელშემშლელია, ვიდრე თავად ინდივიდის შეზღუდული შესაძლებლობა. ბავშვთა კონვენციის თანახმად, „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვი (იგულისხმება, როგორც გონებრივი და ასევე ფიზიკური შესაძლებლობების შეზღუდვა) სრულფასოვნად და ღირსეულად უნდა ცხოვრობდეს იმგვარ პირობებში, რომლებიც უძლიერებს მას ღირსების გრძნობას, ეხმარება მისი თვითრწმენის ჩამოყალიბებას და ამსუბუქებს მის აქტიურ მონაწილეობას საზოგადოების ცხოვრებაში“.

არსებული ინფორმაციით, საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანების რიცხვი მთლიანი მოსახლეობის 3%-ს შეადგენს მაშინ, როდესაც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ქვეყნების უმეტესობაში ეს რიცხვი 10%-ია, ხოლო მსოფლიოს მოსახლეობის 15% შეზღუდული შესაძლებლობების მქონეა. მათი უფლებები უმრავლესობის მხრიდან, როგორც წესი, იგნორირებულია.

დროთა განმავლობაში, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ჯგუფებმა თავად დაიწყეს ბრძოლა საკუთარი უფლებების დასაცავად. ამ ბრძოლის ერთ-ერთი შედეგი საქართველოში ინკლუზიური განათლების განვითარებაა. ეს მიმართულება მთავარ გამოწვევად რჩება — ამჟამად, ქვეყანაში მხოლოდ 12 ინკლუზიური სკოლაა. მთავრობა ცდილობს, გააუმჯობესოს ინკლუზიური განათლების შესაძლებლობები. მიღწეული პროგრესის მიუხედავად, ჯერ კიდევ გრძელი გზაა გასავლელი და სახელმწიფომ, ადგილობრივმა თემებმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ ამ საქმეში. ინკლუზიური განათლება თანამედროვე საგანმანათლებლო სისტემის ერთ-ერთი ნაწილი და მიმართულებაა. ასეთი განათლება ნიშნავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეების თანატოლებთან ერთად ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლას. ამ ტიპის განათლების ძირითადი პრინციპია, ყველა მოსწავლე, მიუხედავად მათ შორის არსებული განსხვავებების და თავისებურებებისა, სკოლაში ერთად უნდა სწავლობდეს. ასეთი მიდგომა, სამომავლოდ, საზოგადოების ტოლერანტობის ზრდაზეც ალბათ, სასიკეთო ზეგავლენას იქონიებს.

ამ ფონზე, „იუნისეფი“ (გაერო-ს ბავშვთა ორგანიზაცია) მოუწოდებს საქართველოს მთავრობას, მოახდინოს გაერო-ს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენციის რატიფიცირება და გააორმაგოს ძალისხმევა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვიანი ოჯახების დასახმარებლად, ბავშვთა მიტოვების პრევენციისთვის და მათ მიმართ სტიგმის შესამცირებლად. ძალიან მნიშვნელოვანია დღის ცენტრებისა და ადრეული ჩარევის მომსახურების ხელშეწყობა იმ ოჯახებისთვის, სადაც განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვები ცხოვრობენ, ასევე ადგილობრივ დონეზე სერვისების რაოდენობისა და სახელმწიფო დაფინანსების გაზრდა. მტკივნეული თემა სოციალურ ქსელშიც განიხილება.

მაია გ. თბილისი: **„ხალხის დამოკიდებულება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების მიმართ სკოლაში თუ სკოლის გარეთ, სავალალოა. ყოველივე ეს, გამოწვეულია ამ ხალხის გაუნათლებლობით, აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში. ქართველი ადამიანი, თავისი ბუნებით, ძნელად ეგუება მისგან განსხვავებულს, ზოგი გადამეტებულ ყურადღებას აქცევს მათ, ზოგი პირიქით, იგნორირებას უკეთებს. მშობლებისგან გაისმის შემდეგი ფრაზები — „ჩემს შვილთან რომ ზის კლასში, ხომ არ გადაედება რამე?“ „ინვალიდი ცოდოა“ და უამრავი მსგავსი რამ; ეს ადამიანები ერთხელაც არ დაფიქრებულან იმაზე, რომ რადგან უფალმა დაუშვა მათი არსებობა დედამიწაზე, ისინიც ისეთივე ადამიანები არიან, როგორც ჩვენ, ნებისმიერი. ხშირ შემთხვევაში, უფრო კეთილებიცა და ნიჭიერებიც. ამიტომ უნდა მოხდეს საზოგადოების ინფორმირება. უფრო აქტიურად უნდა იყვნენ ჩართულები საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მომავალ თაობას, რომლებთან ერთადაც ისწავლიან სკოლებში, შეეცვლებათ დამოკიდებულება მათ მიმართ“.**

საზოგადოება, ალბათ, მალე გაიზრდება იმისთვის, რომ თავისი უნარშეზღუდული წევრები არ დაჩაგროს და კუთხეში არ დააყენოს. საზოგადოებამ უნდა უზრუნველყოს ისეთი სტრუქტურების ჩამოყალიბება, რომ ყველა ბავშვს უფლება ჰქონდეს, იცხოვროს ღირსეულად, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე.

თავისუფალი პრესის მხარდაჭერის ორგანიზაციის მორიგი ფინანსური ანგარიში საზოგადოებას

თავისუფალი პრესის მხარდაჭერის ორგანიზაცია 2013 წლის მეორე ფინანსურ ანგარიშს აქვეყნებს. წინამდებარე ანგარიში მოიცავს ორგანიზაციის მიერ 2013 წლის თებერვალში გაწეულ ხარჯებს.

პირველი თებერვლისთვის, ორგანიზაციის ანგარიშზე, ნაშთის სახით, დარჩენილი იყო 69047.06 ლარი. თებერვლის განმავლობაში გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 62561.46 ლარი. 2013 წლის 21თებერვალს ორგანიზაციამ მიიღო გრანტი 271526 ლარის ოდენობით.

ორგანიზაციის მიერ 2013 წლის თებერვალში გაწეული ხარჯები, დეტალურად, თანდართულ ცხრილშია წარმოდგენილი.

თავისუფალი პრესის მხარდაჭერის ორგანიზაციის მიერ ერთი თვის განმავლობაში გაწეული ხარჯები (ლარებში) 01.02..2013 – 01.03.2013

შემოსავლები

№	თანხა	შენიშვნა
1.	69047.06	ნაშთი 2013 წლის 1 თებერვლისთვის
2	271526	გრანტი, ჩარიცხული - 21.02.2013

ხარჯვითი ნაწილი

№	დანიშნულება	ფაქტიური ხარჯი	შენიშვნა
1.	ხელფასები	34708	
2.	ბიუჯეტში ხელფასიდან გადარიცხული საშემოსავლო გადასახადი	8000	
3.	საწვავი	10635	
4.	ბანკის მომსახურება	18.68	
5.	ლოჯისტიკის ცენტრების იჯარა	3839.81	
6.	ოფისის იჯარა	1590.72	
7.	ოფისის კომუნალური გადასახადები	582.25	
8.	ინტერნეტმომსახურება	70	
9.	კორპორატიული ტელეფონების სააბონენტო გადასახადი	1060	.
10.	დაზღვევა	2057	
	ჯამი	62561.46	
	ნაშთი, 2013 წლის 1 მარტისთვის	278011.60	

ჰოროსკოპი
6 მარტი

ვერძი — ვერძებს მოუწევთ, კიდევ ერთხელ გადაფურცლონ საკუთარი ჩანაწერები, შეამოწმონ დოკუმენტები, რათა მნიშვნელოვანი პერსონის წინაშე უაზრო პიროვნებად არ წარმოჩინდნენ. თუმცა, დღეს მაინც შეძლებთ თანამოსაუბრის საკუთარ სიმართლეში დაარწმუნებას.

კურო — თუ დიდი ხანია მხიარულ ღონისძიებაზე არ ყოფილხართ, თუნდაც ცირკში, ახლა გაქვთ ამის დრო. მხოლოდ ნუ იტვეთ, რომ ცირკი სახლშიც გეყოფათ. ეს სულ სხვა ცირკია, უბრალოდ, შეცადეთ, არ იქცეთ ჯამბაზად კარშემომყოფებისთვის და მხოლოდ მაყურებლად დარჩეთ.

ტყუპები — ტყუპები დღეს სიყვარულს ვერსად დაეძალებიან და ვერც გულს მოატყუებენ. თუ უკვე გყავთ საყვარელი ადამიანი, დროს ფუჭად ნუ დაკარგავთ და ნურც გრძნობებს დაძალავთ.

კირჩხიბი — ამ ნიშნის წარმომადგენლებს დღეს ვიდაც-ვიდაცები „თავის დაკრულზე აცეკვებენ“, რამაც შესაძლოა, ბევრი უსიამოვნება გამოიწვიოს, მაგრამ თქვენ შეძლებთ, ასეთი დამოკიდებულება შეწყვიტოთ, თუკი მტკიცედ იტვეთ „არას“.

ლომი — ლომებს სიამაყე არ მისცემს უფლებას, შეურიგდნენ იმ ადამიანებს, ვინც აწყენინა. არადა, სამწუხაროა, რადგან სარგებელი, რომელიც ამ ადამიანთა კავშირმა შეიძლება მოგიტანოთ, გაცილებით დიდია და მნიშვნელოვანი, ვიდრე წუთიერი ამბიციები.

ქალწული — შანსი იმისა, რომ სწორედ დღეს გაიცნობენ ქალწულები ადამიანს, რომელიც მათი ცხოვრების თანამგზავრი გახდება, ძალიან დიდია. მაგრამ პრობლემა ისაა, რომ ადამიანების მიმართ ძალიან კრიტიკული და ქედმაღალი ხართ.

სასწორი — ამ ნიშნის წარმომადგენლებს მოწყენილობა და სევდა მოულოდნელად ეწვევათ და მისი გავლენის ქვეშ აღმოჩნდებიან, ხოლო თუკი ვინმე შეძლებს თქვენს გამხიარულებას, სიმხნევის ისეთ დოზას მიიღებთ, რომ საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში გეყოფათ.

ღრიანკალი — ყველაზე მთავარი, რაც ახლა უნდა გააკეთოთ, საეჭვო პროექტებში მონაწილეობაზე უარის თქმაა. სახლის საქმეებიც კი, რაც ასევე უცნაურად მოგეჩვენებათ, სჯობს, გადადოთ და არც კი განიხილოთ ასეთი თემები.

მშვილდოსანი — მშვილდოსნები ამ პერიოდში წარმოუდგენელი მოვლენების ეპიცენტრში აღმოჩნდებიან. შესაძლოა, მოგეჩვენოთ კიდეც, რომ ფანტასტიკური ფილმის მონაწილე ხართ, სინამდვილეში კი — თქვენს ახლობლებს ძალიან უყვარხართ და პატივს გცემენ, ამიტომ ზოგჯერ, ჩვეულებრივი ქმედებების ჩარჩოებიდან გამოდიან ხოლმე.

თხის რქა — დღეს ვარსკვლავები ქალებთან ურთიერთობას არ გირჩევენ, სამაგიეროდ, მამაკაცებთან ერთად შეგიძლიათ მთელი დღე გაატაროთ და რეალური სარგებელიც ნახოთ.

მერწყული — მერწყულებს დღეს არავინ ჭკვიდება, რომ აუცილებლად განძს იპოვიან, მაგრამ რაღაც მსგავსი თქვენს ცხოვრებაში აუცილებლად მოხდება. არ არის გამორიცხული, დიდი ფულადი თანხა მოიგოთ. თუმცა, შესაძლოა, ისეც მოხდეს, რომ თქვენი „განძი“ აღმოჩნდეს ადამიანი, რომელსაც სრულიად შემთხვევით გაიცნობთ.

თევზები — დღეს ვარსკვლავები არ გირჩევენ შორ მოგზაურობაში ან ხანგრძლივ მივლინებაში წასვლას. დიდი ალბათობაა კონფლიქტისა ხელისუფლების წარმომადგენლებთან, შემდგომში კი პრობლემები მხოლოდ გაღრმავდება. ყველაზე კარგი, რაც შეგიძლიათ დღეს გააკეთოთ, დრო ოჯახთან ან შეგობრებთან ერთად, თბილ კამპანიაში გაატაროთ.

ბევრი სუნამო დეპრესიაზე მეტყველებს

ამბობენ, მშვენიერი სქესის წარმომადგენლები სუნამოს მხოლოდ მამაკაცების გამო ხმარობენ, სასიამოვნო არომატით რომ მიიზიდონ ისინი, თუმცა ზოგჯერ, ზომიერების გრძნობას კარგავენ და იმდენს იფრქვევენ, რომ სურნელით შეიძლება დაიხრჩოს კაცი. თელ-ავივის უნივერსიტეტის პროფესორი, ფიზიოლოგი და აუტოიმუნურ დაავადებათა სპეციალისტი, შოენფელდი სხვაგვარად ფიქრობს. მისი მოსაზრებით, მამაკაცები არაფერ შუაში არიან და სუნამოს უხვად მოხმარების მთავარი მიზეზი დეპრესიაა. მეცნიერის განცხადებით, გაღიზიანებული და ნერვებმოშლილი ქალი სურნელის ნორმალურად აღქმის უნარს კარგავს და ყნოსვის უკმარისობის კომპენსირებას, პარფიუმერიის დიდი რაოდენობით გამოყენებით ცდილობს. ყნოსვის დაკარგვის ჰიპოთეზა ებრაელმა სწავლულებმა თაგვებზე შეამოწმეს. მათ ხელოვნურად დეპრესიაში აგდებდნენ, ამის შემდეგ მღრღნელები ძალიან ცოტას ჭამდნენ დ ნონაში კლებას იწყებდნენ. გაირკვა, რომ ასეთი საქციელის მიზეზი ის იყო, რომ თაგვები საკვების მიღებით სიამოვნებას ვერ იღებდნენ, რადგან მისი სუნი არ სცემდათ.

შენდემა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის სავანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

ზარის ღირებულება 1 ლარი

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205. გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი). სს „კორ სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!

ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com



წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები


ანგარიში
ბანზი ლიელი მწერალი
ტაბლეტი ანუ..
ფანტასტიკა
ფარანი
მუსიკ. ინსტრუ მენტი
ნოტის ერთეული
ბინაური ყოველი
ბინოსის ურჩხული
ბინოტა
ოთანგოლა ანუ...
ალბომი ანის ორგანო
ძვირ ფასი ქვა
საქმიო ქოველი
ბალანი
უაზრო მცდელობა
ბალანი
ია ლონის ხომალდი
ალბანი
ოთავსა ტეხი
ბინაური
ბალი
ია ნური ვალუტა
ალა
ალა
საგმელ ვიანო საგოსი
აშშ-ს ქოსმოს. ხომალდი
ბალი
ბალი
ალა
ალა
ალა

ჰოროსკოპი
7 მარტი

ვერძი — ვერძებს დიდი ძალისხმევის გაღება მოუწევთ, გარშემოყოფებს რომ დააჯერონ ის ინფორმაცია, რომელსაც თავად მიაწვდიან. ამასთან, რაც მეტ ენთუზიაზმს გამოიჩენთ და საკუთარ აზრს დაიცავთ, მით ნაკლები შანსი გექნებათ, წარმატებას მიაღწიოთ.

კურო — თუ თქვენ ზუსტად იცით, დღეს რა უნდა გააკეთოთ, ამ საქმიანობის შედეგი აუცილებლად წარმატებული იქნება. შეგიძლიათ, ახალი პროექტის წამოწყებაზე იფიქროთ ან ახალ ნაცნობობაზე. შეგობრებისა და ახლობლების რჩევები პირად ცხოვრებასთან დაკავშირებით, თქვენთვის დროული და სასარგებლო იქნება.

ტყუპები — ამ ნიშნის წარმომადგენლებისთვის ეს დღე გონებრივი სამუშაოსთვისაა სასურველი. საკმაოდ კარგ შედეგებს მიაღწევთ, მოვლენების ორომტრიალში თუ იოლად გაერკვევით. შეგიძლიათ, არა მხოლოდ გეგმების განხორციელების გზას მიაგნოთ, არამედ საქმესთან დაკავშირებით, კარგი რჩევები მისცეთ ახლობლებსაც.

კირჩხიბი — კარგი დღეა შორსმიმავალი გეგმების დასაწყობად, ცხოვრებაში ახალი მიზნების დასახვისთვის. გარშემოყოფებიდან ბევრი მიხვდება, რომ ნამდვილად მზად ხართ ოჯახური ცხოვრებისთვის და შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებენ.

ლომი — სასიამოვნო საუბრები გელით მეგობრებთან ან ახლობლებთან. ოჯახური პრობლემები მოსალოდნელი არ არის. ახლო ნაცნობებთან სიფრთხილე და გონიერება გამოიჩინეთ. დღეს შესაძლოა, ინტუიციამ გიდალატოთ, ამიტომ ნაკლებად ნაცნობ ადამიანებთან ურთიერთობისას ლოგიკასა და ჯანსაღ აზროვნებას ენდეთ.

ქალწული — დღეს შეგიძლიათ სახლში, შინაურებთან ნებისმიერ თემაზე ისაუბროთ: ოჯახის წევრები მზად არიან, გაგებით მოეკიდონ ყველაფერს და სიამოვნებით მოგისმენენ ამ შემთხვევაშიც კი, თუ თქვენს შეხედულებას არ იზიარებენ. სადამო, სჯობს, რომანტიკულ შეხვედრასა და საუბრებს დაუთმოთ — მიეცით საკუთარ თავს შანსი, სასიამოვნო სიტყვები მოისმინოთ.

სასწორი — დღეს პრაქტიკულად, უველა საკითხის მოგვარებას შეძლებთ, განსაკუთრებით კი, ფინანსებთან დაკავშირებულს. აღდგა წვალობით თავს აარიდებთ უსარგებლო ხარჯებსა და უპერსპექტივო დაბანდებებს. დღეს სასურველი არ არის კონტაქტები სახელმწიფო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

ღრიანკალი — ამ ნიშნის წარმომადგენლებს დღეს თავის განებივრება შეუძლიათ: ვარსკვლავები დიდი ხნის ნატვრის ასრულებას ჰპირდებიან. მხოლოდ ახლად გაცნობილ ადამიანებთან ფრთხილი იყავით — არის რისკი, რომ ზედმეტი წამოგცდეთ, რაც უსიამოვნებას მოგიტანთ, თუმცა თქვენი ღიმილი და მომხიბვლელობა უკეთესი დაცვაა „კეთილისმსურველებისგან“.

მშვილდოსანი — დღეს ამ საქმეებისადმი გაგიჩნდებათ ინტერესი, რასაც აქამდე მხოლოდ ინერციით აკეთებდით. შესაძლოა, ემოციები ვერ შეიკავოთ იმ ადამიანთან, რომელიც თქვენი ინტერესის სფეროს წარმოადგენს. გაჩნდება ახალი საფიქრალი, გაუზიარეთ აზრები ადამიანს, რომელიც საქმის მცოდნე და გამოცდილია.

თხის რქა — დღეს საქმეში მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწევთ და პროფესიულ პოზიციებს გაიმყარებთ, თუკი ხელმძღვანელობასთან კამათს თავს დაანებებთ. დისკუსიაში ჩართვის ცდუნება დიდი იქნება, რადგან საკუთარ სიმართლეში დარწმუნებული ხართ და ეჭვიც არ გეპარებათ, რომ თქვენს მოსაზრებას ყურადღებას მიაქცევენ.

მერწყული — მერწყულებს დღეს შესანიშნავი შესაძლებლობა ეძლევათ, დაწყებული საქმე ბოლომდე წარმატებით მიიყვანონ, თუმცა არ არის გამორიცხული სერიოზული ინტელექტუალური ბრძოლა. მზად იყავით იმისთვისაც, რომ ახლანდელი მოკავშირეები კონკურენტების ან არაკეთილმოსურნეთა ბანაკში გადაბარგდებიან.

თევზები — დღეს ნუ იჩქარებთ ხელშეკრულების დადებას ან საკუთარ თავზე რაიმე ვალდებულების აღებას. ეს უველაფერი, შესაძლოა, თქვენთვის სრულიად უსარგებლო აღმოჩნდეს და როცა ამას მიხვდებით, შეიძლება, უკვე გვიანი იყოს. ამ დღეს ვარსკვლავები არც ძველი პროექტების წინ წამოწევას გირჩევენ, რადგან ამ საქმეში დაინტერესებული პირი გაცილებით ნაკლები იქნება, ვიდრე თქვენ ფიქრობდით.

რამდენს იწონის პლანეტის მოსახლეობა?

მკვლევარებმა დედამიწაზე მცხოვრები ყველა ადამიანის საერთო წონა გამოთვალეს და აღმოჩნდა, რომ ჩვენ პლანეტას 287 მილიონი ტონით ვამძიმებთ. აქედან 15 ტონა იმ ადამიანებზე მოდის, ვისაც ჭარბი წონა აქვს, — აღნიშნულია კვლევაში, რომელიც ჟურნალში BMC Public Health გამოქვეყნდა. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის 2005 წლის მონაცემებზე დაყრდნობით, მკვლევარებმა გამოთვალეს, რომ ადამიანის საშუალო წონა, დაახლოებით, 62 კილოგრამია, თუმცა აშშ-ში ეს მაჩვენებელი ერთი მესამედით მეტი აღმოჩნდა. რეგიონების მიხედვითაც წონის საშუალო მაჩვენებელი საკმაოდ განსხვავებულია. მაგალითად, ჩრდილოეთ ამერიკაში ზრდასრული ადამიანის საშუალო წონა დაახლოებით, 81 კილოგრამია, აზიაში კი — 57 კგ. ბრიტანელი სწავლულების თქმით, აზიაში დედამიწის მოსახლეობის 61% ცხოვრობს, თუმცა ამ კონტინენტზე მოსახლეობის წონის მხოლოდ 13% მოდის. ამავე კვლევის მიხედვით, ყველაზე ჭარბწონიანი შეერთებული შტატები აღმოჩნდა, ათეულში მოხვდნენ ასევე ეგვიპტე, ქუვეითი და ხორვატია.

ჩინეთში „ფეხმძიმეების“ მოდაა

ჩინეთში ნელ-ნელა მოდაში შემოდის სილიკონის მუცელი, რომელიც წელზე მაგრდება და ფეხმძიმობის ილუზიას ქმნის. ყველაზე ხშირად აქაური მანდილოსნები ყალბ მუცელს ყიდულობენ, ბავშვის აყვანამდე ორსულობის სიმულაცია რომ მოახდინონ, თუმცა ჩინელი ქალბატონები ყოველთვის არ არიან კმაყოფილნი „მუცლების“ ხარისხით. ერთ-ერთმა მათგანმა უჩივლა კიდეც მწარმოებელს, რადგან ეს სილიკონის საფენი მეტროში ჩამოუვარდა და მგზავრების დასაცინი გახდა. მან კომპანიას ზარალის ანაზღაურება მოსთხოვა, მაგრამ მწარმოებლები კლიენტს არ დათანხმდნენ, რადგან ყალბი მუცელი ყოველდღიური მოხმარებისთვის არ იყო გათვლილი. აღმოჩნდა, რომ გოგონას ფეხმძიმობის სიმულაცია მხოლოდ იმიტომ სჭირდებოდა, საზოგადოებრივ ტრანსპორტში ადგილი დაეთმოთ. აღსანიშნავია, რომ მისაკრავი მუცელი ჩინეთის ინტერნეტ-მაღაზიებში ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი პროდუქციაა. როგორც ჩინელი სუსტი სქესის წარმომადგენლები ამბობენ, ეს სილიკონის ბალიში მათ სამსახურში უფროსის „გადაჭარბებული ყურადღებისგანაც“ იხსნის და კიდევ, ასეთი ტყუილი ქალებს იმ პრივილეგიებს ანიჭებს, როგორითაც მომავალი დედები სარგებლობენ.

ვირეკს მანქანაში ცვლიან

კოლუმბიის დედაქალაქ ბოგოტაში, ცხენებისა და ვირების მფლობელებს, ვინც საკუთარ ცხოველებს სახელმწიფოს ჩააბარებს, სანაცვლოდ ფულად კომპენსაციას ან ახალ ავტომანქანას სთავაზობენ. გარდა ამისა, ბოგოტელებს შეუძლიათ, დახმარება მიიღონ საკუთარი ბიზნესის განსავითარებლად. ხანშიშესულებისთვის ან ავადმყოფებისთვის ცალკე დახმარებაა გათვალისწინებული — სახლის კაპიტალური რემონტი. დედაქალაქის ხელისუფლება ამ ღონისძიებებით გეგმავს, ბოგოტა დაახლოებით 2 ათასი ცხოველისგან გაათავისუფლოს, რომელსაც მერე ქალაქგარეთ, საძოვრებზე გაუშვებს. აქცია მოსახლეობის მოტორიზაციის კამპანიის ფარგლებში მიმდინარეობს, რომლის მიზანია, ბოგოტა მსხვილფეხა შინაური ცხოველებისგან თავისუფალი ქალაქი გახდეს.

კორეელ ტაქსისტებს კომპენსაციას გადაახდევინებენ

სამხრეთ კორეაში ტურისტებს გამდიდრების საშუალება მიეცათ, თუკი ისინი ტაქსის მძღოლს უხეშობაში დაადანაშაულებენ. სეულის ხელისუფლება 450-დოლარიან ჯილდოს ჰპირდება თითოეულ ტურისტს, რომელიც ადგილობრივ ტაქსის მძღოლებს უხეშობასა და თაღლითობაში ამხელს და ამას დაადასტურებს. კორეელი ჩინოვნიკების მონაცემებით, მიუხედავად დიდი ძალისხმევისა, ტაქსისტები მაინც ბოროტად სარგებლობენ თავიანთი მდგომარეობით. ტურისტების მოტყუების ყველაზე გავრცელებული მეთოდი მრიცხველის „დატრიალება“ და დანიშნულების ადგილზე მგზავრის გაცილებით შორი გზით მიყვანაა. მძღოლებზე საჩივარი რომ შეიტანოთ, საკმარისია, ცხელ ხაზზე დარეკოთ და საკუთარი ისტორია მოუყვეთ ინგლისურად მოლაპარაკე ოპერატორს, ასევე მიაწოდოთ ტაქსის მძღოლის მონაცემები და მანქანის ნომერი. ამ შემთხვევაში, ტაქსისტი იძულებული იქნება, მოტყუებულ ტურისტს კომპენსაცია საკუთარი ჯიბიდან გადაუხადოს.

ᲡᲣᲓᲝᲙᲣ ᲨᲔᲜᲘᲨᲕᲜᲐ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

				4		3		5
		6			8			
	3		2			8		7
				2	9	1	4	
	1						5	
	9	3	5	1				
8		2			7		3	
			1			6		
1		7		9				

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

5			2	1				
8							3	9
9		6				5		
				2	1		8	
4				8				3
	9		6	3				
		9				6		2
2	1							8
				7	2			5

ᲠᲗᲣᲚᲘ

3				1			4	
6		4	8					
	5		2	6		3		
8	4	7						
						5	3	4
		9		3	8		7	
					1	4		3
	6			5				2

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

	4			3				
7	9	2	1				4	
		5	7					
		4			3	2	9	
				5				
	7	6	4			1		
					1	9		
	5				9	4	7	1
				4			5	

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲨᲘᲓᲡᲘᲐᲜᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲘ ᲒᲐᲜᲙᲣᲠᲜᲔᲡ

პირველად მსოფლიოში, ამერიკელმა მედიკოსებმა, აივ-ინფექციით დაავადებული ორი წლის ბავშვი განკურნეს. გოგონა, რომელიც მისისიპის შტატის მცხოვრებია, ახლა უკვე ორწლინახევრისაა და წელიწადია, პრეპარატებს აღარ იღებს, რადგან ინფექციის ნიშნები აღარ ჩანს. ჰოპკინსის უნივერსიტეტის მკვლევარების განცხადებით, მათ შეძლეს პატარა პაციენტის გამოჯანმრთელება სტანდარტული თერაპიით, ძლიერი პრეპარატების გამოყენებით. ბალტიმორელი ექიმები აღნიშნავენ, რომ ჯერ კიდევ საჭიროა რამდენიმე ტესტის ჩატარება იმის გასარკვევად, მსგავსი თერაპია დაეხმარება თუ არა სხვა ბავშვებს, ვინც აივ-ინფექციით დაიბადა. თუ გოგონა ჯანმრთელი დარჩება, ეს მხოლოდ მეორე ფაქტი იქნება ისტორიაში, როცა შიდსიანი ადამიანი განიკურნა. პირველი კი ტიმოთი რეი ბრაუნი იყო, რომელმაც 2007 წელს მკურნალობის რთული კურსი გაიარა.

ᲙᲘᲠᲫᲘ ᲛᲝᲠᲩᲔᲒᲐ ᲐᲚᲐᲠᲘ ᲓᲐᲡᲯᲘᲠᲓᲔᲑᲐ



იაპონელმა დანტისტმა ვატანაბემ, რომელსაც დროის დეფიციტის გამო სამზარეულოში ლამის ყველა კერძი ეწვებოდა, მდგომარეობიდან გამოსავალი იპოვა და უნიკალური ქვაბი დაამზადა, რომელიც კულინარს საქმესაც გაუადვილებს და დროსაც დაუზოგავს. Kuru-Kuru Nabe ანუ „მრგვალი-მრგვალი ქოთანი“ დაღარულფსკერიანი და კედლებიანი ქვაბია, რისი საშუალებითაც, კონკრეტულ ტემპერატურაზე, ქვაბში მოთავსებულ სითხეში პატარა მორევი ჩნდება, შედეგად, კერძი ბრუნვას იწყებს და დამატებითი მორევა აღარ სჭირდება. Kuru-Kuru Nabe თერმოდინამიკის ძირითადი პრინციპებით მუშაობს, რომლის მიხედვითაც, რაც უფრო მაღალია ტემპერატურა, მით სწრაფად ბრუნავს ქვაბში მოთავსებული მასა. სტომატოლოგი ვატანაბე საკუთარი პროდუქციის მასობრივ წარმოებას გეგმავს.

ᲪᲮᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲣᲞᲐᲚᲚᲔᲡᲘ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲡᲐᲡᲢᲣᲛᲠᲝ ᲒᲐᲣᲜᲗᲔᲡ

ყატარის უდაბნოში თეთრი ფერის არაბული სასახლე „უმ ქარნი“ ყველა იმ სერვისითაა აღჭურვილი, რაც 6-ვარსკვლავიან მდიდრულ სასტუმროს მოეთხოვება. აქ მარმარილოს ვესტიბიულს ულამაზესი ჭაღი ანათებს, აქვე ნახავთ ფიტნეს-სტუდიას, საცურაო აუზს, სოლარიუმსა და რესტორანს, თუმცა ოქროთი დაფერილი კარის მიღმა, სასტუმროს პერსონალი და სპეციალისტების გუნდი მეტად უჩვეულო სტუმრებს ემსახურება — ეს ფეშენებელური ოტელი პლანეტაზე ყველაზე წარმატებულ და ძვირადღირებულ შეჯიბრებებში მონაწილე ცხენებს მასპინძლობს. საკმაოდ დიდ ფართზე გადაჭიმული სასტუმრო ქვეყნის ყოფილი პრემიერის, შეიხ აბდულა ალ-ტანის საკუთრებაა. დაწესებულება დაახლოებით, 60-მდე ჩემპიონი ცხენის მფლობელობაშია, რომლებსაც აქ წვრთნიან და მომავალი შეჯიბრებისთვის ამზადებენ. აქაურ ცხენებს საჯიშედაც იყენებენ, ახალი თაობების გასაზრდელად და გასამრავლებლად.

ᲯᲘᲜᲡᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲤᲔᲠᲡ ᲘᲪᲕᲚᲘᲡ

კანადურმა ბრენდმა Naked&Famous ჯინსი გამოუშვა, რომელიც სხეულის ტემპერატურის მიხედვით, ფერს იცვლის. თუ ადამიანს შესცივდა, ჯინსი ლურჯ შეფერილობას იღებს, ხოლო როცა სხეულის ტემპერატურა მაღლა იწევს, თეთრად „იღებება“. ეფექტი თერმოქრომული საღებავის მეშვეობით მიიღწევა, რომლის შემადგენლობაშიც შედის მოლეკულები და სწორედ ისინი იცვლის ფერს ტემპერატურის მიხედვით. ჯინსი უკვე გაყიდვაშია და მათი შეძენა 240 დოლარადაა შესაძლებელი. კანადური ფირმა Naked&Famous სულ რამდენიმე წელია ბაზარზე გამოვიდა და კლიენტებს თავი ორიგინალური ნაწარმით დაამახსოვრა. ცოტა ხნის წინ, მომხმარებელს შესთავაზეს ჯინსი, რომელსაც ჟოლოს კანფეტის სურნელი ჰქონდა და ასევე სიბნელეში მანათობელი ჯინსი.

ᲡᲢᲐᲤᲘᲚᲝᲡ ᲬᲕᲔᲜᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲛᲡ ᲕᲜᲔᲑᲡ?

საზოგადოებაში გავრცელებული მოსაზრებით, ერთი ჭიქა სტაფილოს წვენი საუზმეზე ძალიან სასარგებლოა, თუმცა სპეციალისტებმა აღმოაჩინეს, რომ ამ სასმელის არამიზნობრივად და დიდი რაოდენობით მიღება ჯანმრთელობისთვის საშიშია. სტაფილოს წვენი მასში შემავალ საშიშ ნივთიერებებს მალავს, რომელიც წვენის რეგულარული მიღებისას ორგანიზმისთვის მავნე ხდება. ის უარყოფითად მოქმედებს დიაბეტით დაავადებულ ადამიანებზე, რადგან მის შემცველობაში სხვადასხვა სახის შაქარია. სტაფილოს წვენის მიღება ეკრძალებათ ასევე, იმ ადამიანებს, ვისაც პანკრეასის ფუნქცია აქვს მოშლილი. კუჭის ტკივილისა და სხვადასხვა სახის ანთებითი პროცესების დროს კი, სტაფილოს წვენის მიღება კატეგორიულად აკრძალულია. ამ ბოსტნეულის უარყოფითი თვისებების ჩამოთვლისას, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პროდუქტში შემავალი ნივთიერება ბეტა-კაროტინი სახის ფერს ყვითელ შეფერილობას აძლევს. სტაფილოს წვენის შესწავლისას, საბოლოოდ, მეცნიერები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ მისი მიღება კვირის განმავლობაში მაქსიმუმ სამჯერაა დასაშვები.

ᲞᲝᲛᲘᲓᲝᲠᲘ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲝᲑᲐᲡ ᲨᲔᲒᲘᲜᲐᲠᲩᲣᲜᲔᲑᲗ

სუსტი სქესის წარმომადგენლებს შეუძლიათ, დაივინყონ ძვირადღირებული კრემები და ნიღბები, რადგან ახლა კანის ახალგაზრდობის შენარჩუნებაში პომიდორი დაეხმარებათ. როგორც სწავლულები ამტკიცებენ, ეს გემრიელი ბაღჩეული კანს სიგლუვესა და ელასტიურობას უნარჩუნებს, ის საუკეთესო მალამოა მზის დამწვრობისა და ულტრაიისფერი სხივების წინააღმდეგ. ამ თვისებებს პომიდორს ლიკოპინი — წითელი ფერის მიმცემი ბუნებრივი პიგმენტი ანიჭებს, რომელიც კანის დაბერებას აფერხებს და ასაკობრივ პრობლემებს უმკლავდება. მეცნიერები გვირჩევენ, ხშირად მივირთვათ ეს ბოსტნეული და მისგან დამზადებული საკვები — ტომატის სანებელი და წვენი. პომიდვრის სასარგებლო თვისებების გამოსავლენად ექსპერიმენტი ჩაატარეს, რომელშიც 21-დან 47 წლამდე, 20 მანდილოსანი მონაწილეობდა. მათ 12 კვირის განმავლობაში, ყოველდღე, ზეითუნის ზეთთან ერთად, 5 სუფრის კოვზ პომიდვრის წვენს აძლევდნენ. გამოკვლევის ბოლოს, მონაწილეთა კანი გაცილებით ელასტიური და გლუვი გახდა. გარდა ამისა, ცნობილია ისიც, რომ პომიდორი სიმსივნის უჯრედებს კლავს.

ყველაზე ხანმოკლე ქორწინება

ყველაზე ხანმოკლე ქორწინებისთვის ავსტრიელი წყვილი, შესაძლოა, გინესის რეკორდების წიგნში შევიდეს. მამაკაცმა მეუღლეს რამდენიმე საათში, ქორწილშივე უღალატა. ქმრის ღალატი პატარძლის მამამ აღმოაჩინა. როცა ცოტა ხნით გასული სიძე დიდხანს არ დაბრუნდა სადღესასწაულო სუფრასთან, მის მოსაძებნად გასულმა სიმამრმა შოკისმომგვრელი სურათი აღმოაჩინა: ქალიშვილის ახალგამომცხვარი მეუღლე, საქორწინო ბანკეტის დროს მიმტან ქალთან სექსით იყო დაკავებული. 27 წლის მოღალატე მამაკაცი აცხადებს, რომ საკმაოდ ნასვამი იყო და ვერ აცნობიერებდა, რას აკეთებდა. რასაკვირველია, დღესასწაული მალევე შეწყდა და სტუმრები სახლში წავიდნენ, პატარძალმა კი განქორწინებაზე განცხადება შეიტანა.

ნინო კომახიძეს

გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ბედნიერებასა და ულევ სიხარულს ახლადშექმნილ ოჯახთან ერთად. ყველა სურვილი აგსრულებოდეს, რომელსაც გულით ნატრობ. უფალი გფარავდეს.

„ვერსიელები“

ალბანელი ქალები „კაცურად“ ცხოვრობენ

ალბანეთის ჩრდილოეთში, მთის პატარა სოფლებში ცხოვრობენ ქალები, რომლებიც მთელი სიცოცხლის განმავლობაში „კაცურად“ ცხოვრობენ — ასე მათი კულტურა და საზოგადოება მოითხოვს. სუსტი სქესის აქაურმა წარმომადგენლებმა კაცის როლი ადრეული ასაკიდანვე მოირგეს, რათა თავი აარიდონ უძველეს კანონებს, რომელთა მიხედვითაც, ქალი საკუთარი ქმრის საკუთრება ხდება. არჩევნებში ხმის მიცემის, მანქანის მართვის, ბიზნესის წარმოების, ფულის შოვნის, დალევის, მოწევის, გინების, შარვლის ჩაცმისა და იარაღის ტარების უფლება აქ მხოლოდ მამაკაცებს აქვთ, ახალგაზრდა გოგონებს კი, ხშირად აიძულებენ ხოლმე, ცოლად გაჰყვნენ უკვე ხანშიშესულ კაცებს შორეული სოფლებიდან. თუმცა, აქაურ ქალებს ერთი ალტერნატივა მაინც აქვთ — გახდნენ „ბილწსიტყვა ქალწულები“ და... მამაკაცის სტატუსი მოიპოვონ. გარშემომყოფებს ასეთი გადაწყვეტილების შესახებ რომ აცნობოს, ალბანელი ქალი მოკლედ იჭრის თმას, იცვამს კაცის სამოსს და ზოგჯერ სახელსაც იცვლის. ამავე დროს, ქალი პირობას დებს, რომ სიცოცხლის ბოლომდე უმანკოდ დარჩება. ასეთი ქალები ადგილობრივებში ავტორიტეტით სარგებლობენ და არანაირად არ განიცდიან ასეთ მეტამორფოზას.

ქორწინების ჩვეულება აიკაძულად

საუდის არაბეთის მცხოვრები ნურა, რომელმაც 14 ქმარი საიქიოს გაისტუმრა, ხოლო ერთს გაეყარა, მეთექვსმეტედაც აპირებს გათხოვებას. როგორც თავად ნურა ამბობს, ის ყოველთვის ისეთ მამაკაცს ეძებდა, რომელიც პასუხისმგებლობას აიღებდა ოჯახზე და მდიდარი იქნებოდა, ამიტომ მისი რჩეულები 60 წელს გადაცილებულები იყვნენ. საუდელი ნურას ქორწინების სტაჟი 10 ქმართან მხოლოდ 2 წელიწადს შეადგენს. მათგან ყველაზე დიდი ქონება — 150 ათასი რეალი (40 ათას დოლარზე მეტი) მას მეათე ქმარმა, 85 წლის ბიზნესმენმა დაუტოვა. ის ქორწილიდან ორ თვეში მოკვდა. ყველაზე უმნიშვნელო თანხა (8 ათასი დოლარი) კი მას ბოლო მეუღლისგან, ქუვეითელი ბიზნესმენისგან ერგო. მასთან ნურამ მხოლოდ სამი თვე გაატარა. მოხუც მამაკაცებთან ქორწინების გამოცდილების მქონე ქალბატონი ასეთი კავშირების ნაკლსაც აღიარებს. კერძოდ, მისი შვილი, რომელიც ახლა 13 წლისაა, გონებრივად ჩამორჩენილი დაიბადა. მიუხედავად ამისა, ნურა მზად არის, კიდევ ერთხელ გათხოვდეს.

იაპონელებმა ცისფერი ვარდები გამოიყვანეს

იაპონურმა კორპორაცია „სანტორიმ“, რომელიც ვისკის წარმოებით არის დაკავებული, განაცხადა, რომ როგორც იქნა, გამოიყვანეს მსოფლიოში პირველი ლაჟვარდოვან-ცისფერი ვარდი. ასეთი ყვავილების პირველი საცდელი პარტიები კომპანიის სპეციალისტებმა აშშ-სა და ავსტრალიაში გამოიყვანეს. გენური ინჟინერიით მოყვანილი, კაშკაშა ცისფერი ფერის მქონე ყვავილის შექმნაზე იაპონელმა სწავლულებმა 14 წელი დახარჯეს. პრობლემა ის იყო, რომ ვარდის ქრომოსომაში ლურჯი პიგმენტის — დელფინიდინის გენი არ არსებობს, რომელიც განსაზღვრავს მთელ რიგ სხვა ყვავილებში, ხილსა თუ ბოსტნეულში (მაგალითად, მოცვში, ბადრიჯანში) ამ შეფერილობას. მრავალი წლის განმავლობაში, მეცნიერები მთელი მსოფლიოდან ცდილობდნენ ცისფერი ვარდის გამოყვანას, მაგრამ უშედეგოდ. იაპონური კომპანიის განცხადებით, ახალი ჯიშის ვარდი წელიწადში მხოლოდ რამდენიმე ასეული ცალი და თან ყველაზე ძვირად გაიყიდება.

ბრიტანელები სექსს ტელევიზორზე ცვლიან

გამოკითხული ბრიტანელების მესამედზე მეტი, მათ შორის მამაკაცთა 47% და ქალების 35% მზადაა, უარი თქვას სექსზე 6 თვის განმავლობაში 50-დიუმიანი პლაზმური ტელევიზორის სანაცვლოდ. გამოკვლევა ინგლისის საყოფაცხოვრებო ტექნიკის მაღაზია „კომეტმა“ ჩაატარა. უნდა აღინიშნოს, რომ რესპოდენტთა 24% თანახმაა, ასევე უარი თქვას მოწევაზე, 25% — შოკოლადზე, თუკი მათ ამისთვის ტელევიზორით დააჯილდოვებენ. გარდა ამისა, 17% იმაზეც კი მიდის, რომ ფეხბურთს არ უყუროს, თუკი საჩუქრად პლაზმურ ტექნიკას მიიღებენ. როგორც „კომეტის“ წარმომადგენლები აცხადებენ, ორი წლის განმავლობაში, ტელევიზორების გაყიდვა 7000%-ით გაიზარდა. ყველაზე ძვირიანი 50-დიუმიანი ტელევიზორი 3499,99 გირვანქა სტერლინგი (დაახლოებით 7 ათასი დოლარი) ღირს.

ამინდის პროგნოზი

	ოთხშაბათი	ხუთშაბათი
თბილისი	+9	+5
ქუთაისი	+6	+13
ბათუმი	+5	+14
სოხუმი	+7	+14

	ოთხშაბათი	ხუთშაბათი
თელავი	+9	+5
გუდაური	-7	-5
ბაკურიანი	-7	-2
მესტია	-1	+5

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, ნინო ხარშილაძე, რუსუდან შელია, ნელი თორდია, დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.